

გიორგი ციციშვილი

საქართველოს 1924 წლის
აჯანყების ორგანოების
ხელმძღვანელთა შეფასება-
გაგების მეთოდოლოგიური
პრინციპები და
კრიტიკიუმები

2016

წიგნში გაშუქებულია 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოების ლიდერთა შესახებ გამოთქმული, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსების მოსაზრებები, რომლებიც ფაქტობრივად გვევლინებიან, როგორც აჯანყების ხელმძღვანელთა შეფასება-დაფასების მეთოდოლოგიური პრინციპები და კრიტერიუმები.

წიგნი განკუთვნილია დაინტერესებული მკითხველებისათვის, განსაკუთრებით ისტორიკოსი სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოლიტიკოსებისათვის.

რეგაქტორი: ოთარ ჯანელიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

რეცენზენტი: დავით სანდოძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

კომპიუტერულად უზრუნველყო ირაკლი უბილავაძე

ყოველი განათლებული ეროვნებისათვის. ნომელსაც თვითშეგნება მიეპოვება. აუცილებლად საჭიროა აკოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია: უნდა აკოდეს. რასადაინოვლია. უცაყანი. ქეშმანივა ისტორია და ანა განგაიდებული. ყალიბა...

ცხადია „ადიოყავური“ ისტორიის დანერა მხოლოდ ამ მეცნიერს შეუძლია განც არაგითარი ხნეობრივ მოვალეობას ანა გრძნობს...

ქართვლემა ისტორიისმა სრულიად პირუთინელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული. პირუთინელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემოყლეებსა და უცხოელებსაც...

თუ წარსულში რაიმე ნაყლი გექონდა. ამას დამოლეა ყი ანა. გამოძლეაინება უნდა: მხოლოდ ამას. გან თავის ნაყლს შეიგნებს. შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს.

(იგანე ჯავახიშვილი)

წინათქმა

ქართველი ხალხის 1924 წლის აჯანყებისა და ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მისი სისხლში ჩახშობის ისტორიის შესწავლა-გაშუქებას, მრავალი პიროვნების პუბლიკაცია მიეძღვნა. მათ შორის არიან ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ წინააღმდეგ მებრძოლი, ოპოზიციაში მყოფი და დაპირისპირებული პოლიტიკოსები, პროფესიონალი ისტორიკოსები და სხვა, ამ ისტორიოგრაფიული თემით დაინტერესებულები. მათ მიერ 1924 წლის აჯანყების ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნდა მონაწილეთა მოგონებები, პოლიტიკოსთა და მკვლევარ ისტორიკოსთა მრავალმხრივი პროდუქცია (წერილები, სტატიები, დოკუმენტები, შეიქმნა სადისერტაციო ნაშრომები და ა.შ.)¹. შედეგად საქართველოს

ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემებიდან ამ დასახელებულმა თემამ კპოვა ყველაზე მეტი ყურადღება და სათანადო მრავალმხრივი გაშუქება. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მოცემული მოვლენა ერთი მხრივ წარმოადგენდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ცარიზმისა და ბოლშევიზმის შემკრებლური-იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლების აპოთეოზურ გამოვლინებას, ხოლო მეორე მხრივ, იგი იყო ამ ბრძოლების მონაწილე და მასების მიერ განცდილი უმაგალითოდ დიდი უბედურების გამომწვევი. შესაბამისად, 1924 წლის აჯანყების ისტორიით დაინტერესებული პოლიტიკოსებისა და მკვლევართა მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მებრძოლი ქართველი ხალხის მიერ სამშობლოს სუვერენიტეტის მოპოვებისათვის წარმოებულ გმირობას. ამავე დროს ჩვენმა თანამედროვე ქართველმა ისტორიკოსებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს აჯანყების უზენაეს ხელმძღვანელთა მიერ „უმომენტოდ“ ორგანიზებული აჯანყების გამო გაღებული კოლოსალური მსხვერპლის მიზეზების გამოკვლევა-გაშუქებასა და შეფასებას. ეს არის უაღრესად საყურადღებო მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელსაც უნდა იცნობდნენ მოცემული თემით დაინტერესებული პოლიტიკოსები, აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების ახლებური, გადრმავებული შესწავლით დაინტერესებული მკვლევარები, მათ შორის მაგისტრანტები და დოქტორანტები.

აღნიშნული მიზნით საბჭოთა ბოლშევიკური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაისარჯა, დიდძალი პროდუქცია ასაზრდოვა და შეეცადა, რომ დაინტერესებული მასები დაერწმუნებინა თითქოს აჯანყების მთავარი მიზეზი იყო მხოლოდ „მუშურ-გლეხური“ ხელისუფლების დამხობა და ძველი ექსპლუატატორული ხელისუფლების ახალი წვრილბურჟუაზიული ფორმით აღდგენის მცდელობა². ამდენად მათი შეფასებით, აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ საერთაშორისო ბურჟუაზიის ადგილობრივი წარმომადგენლები-ბურჟუები, თავადაზნაურობა, მეფისა და მენშევიკური ხელისუფლების ოფიცრობა, საბჭოთა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში მომრავლებული კულაკობა, გამდიდრებული ვაჭრები, სამღვდელთა და ანტისაბჭოთა შოვინისტური ინტელიგენცია. მათ მიერ აჯანყების ხელმძღვანელ ძალად, ანუ სუბიექტურ ფაქტორად, გამოცხადდა საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ წაქეზებული საქართველოს ემიგრანტული, მენშევიკური მთავრობა და ჩვენს რესპუბლიკაში არაღებულად მებრძოლი „კონტრრევოლუციური“ ხელმძღვანელობა - „დამკომი“, ანუ „პარიტეტული კომიტეტი“³.

ხელისუფლების ოფიციალური აზრისა და მისი მხარდამჭერთა, მოწინააღმდეგე ოპოზიციური აზრის მქონე პატრიოტულმა წარმომადგენლობამ დიდხანს მხოლოდ ემიგრაციიდან შემოდგეული

ერთეული პუბლიკაციებითა და საქართველოს პატრიოტული საზოგადოების ინტიმურ აზრთა ურთიერთგაცვლით შეძლო საკუთარი აზრის გამოხატვა, მაგრამ ცენზურა გაუვლელმა ემიგრანტულმა პუბლიკაციებმა საქართველოში არსებული ტოტალიტარულ-ჩეკისტური რეჟიმისა და ცენზურის ზემოქმედების პირობებში, მხოლოდ იშვიათი ერთეულებისა და თანაც უპირატესად ანტისაბჭოთა მებრძოლთა ჰეროიკული მოგონებების სახით მოახერხა შემოღწევა⁴. ამის გამო 1924 წლის აჯანყების მომზადება-განხორციელების ისტორია იმთავითვე შავ-თერ ფერებში გაშუქდა. ასევე წარმოჩნდა აჯანყების ხელმძღვანელი ძალის, ანუ სუბიექტური ფაქტორის შეფასებაც. იგი ასევე როგორც მთლიანად აჯანყების მონაწილე ძირითადი მამოძრავებელი ძალის, ანუ მასების როლი, ძველი, სტეროტიპული მეთოდოლოგიური გაგებით, ცალსახად, მხოლოდ გმირობად წარმოჩნდა და მათი შეცდომები მიიჩქმალა. არა და, ისტორიის წარსულში დაშვებული შეცდომების შესწავლას მოცემული მეცნიერების პრაგმატული გამოყენების თვალსაზრისით, ხშირად არანაკლები მნიშვნელობა აქვს ვიდრე, მის დადებით გამოცდილებას.

მოცემული თემის თავისუფალ, ყოველმხრივ შესწავლასა და გაშუქებას საქართველოში მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიეცა ჯეროვანი ბიძგი. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ემიგრაციაში გახიზნული მენშევიკური მთავრობის არქივის გაცნობამ, აკად. გურამ შარაძის პირადი ღვაწლით ამ არქივის საქართველოში გადმოტანამ და დაინტერესებულთა, უპირატესად სპეციალისტი ისტორიკოსების მიერ მისი მეცნიერულად გაღრმავებული გამოკვლევა-შესწავლის შესაძლებლობამ⁵. ამით მკვლევარ-სპეციალისტებმა აითვისეს არა მხოლოდ არქივის მესაკუთრე პარტიის, არამედ, ამასთანავე საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ 1921-1924 წლების, კერძოდ აჯანყების მომზადება-ორგანიზების მონაწილე და ყველა სხვა პარტიების საქმიანობის შესწავლა. ამ მხრივ გამორჩეული ნოვატორული როლი შეასრულეს ისტორიკოსებმა ავთანდილ მენტაშაშვილმა, ნესტან კირთაძემ, ოთარ ჯანელიძემ, გიორგი ცხოვრებაძემ, რევაზ გრძელიძემ და სხვ⁶. მათ მიერ 1924 წლის აჯანყების მომზადება-განხორციელების ისტორიის ახალ შესაძლებლობათა გამოყენებით, მოცემული ისტორიის მრავალი საყურადღებო წყარო გამოქვეყნდა და ბევრი კომპეტენტური ახალი აზრი გამოითქვა. მაგრამ აჯანყების შეფასება-დაფასების საკითხში ძირითადად მაინც შენარჩუნებული იქნა პრობლემის საერთო ნაადრევი გაგება - აჯანყების ყველა მონაწილე, მასებიც და ხელმძღვანელებიც კვლავ საერთო ბითუმი გაგებით, დადებითად წარმოჩნდნენ. არადა, თვით მათ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდანაც კი, მკაფიოდ და ნათლად ჩანს, რომ აჯანყების წამოწყება-ხელმძღვანელობაში მონაწილეობდნენ

მხოლოდ მცდარი სტრატეგიითა და ტაქტიკით მებრძოლი მენშევიკი, ეროვნულ ტემოკრატი და სოციალისტ რევოლუციონერი ხელმძღვანელები. რომელთა პატრიოტულმა შემოქმედებამ ქართველ ერს გაუთვალისწინებელი უბედურება მოუტანა და უნებურად, თუ ფაქტობრივად ეროვნული ენერჯის ჭავლი მისი მტრის წარმატებას მოახმარა. მათი ბევრი თვალსაჩინო და აღიარებული ლიდერი კი აჯანყებისათვის მზადებას შეგნებულად გაერიდა, რადგან იგი არსებული საერთაშორისო და ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში შეაფასა უმომენტოდ, ანუ უდროოდ და ეროვნული სარგებლიანობის თვალსაზრისით დიდი უბედურების გამომწვევ ავანტიურად. ამიტომ აჯანყებას ჯერ კიდევ წამოწყებამდე გამოეთიშნენ პარიტეტული კომიტეტის წევრი „სხიველთა“ და მემარჯვენე სოციალისტ ფედერალისტების ლიდერები⁷. ამასთანავე ფედერალისტმა მეთაურებმა მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაგმეს დამოუკიდებლობის კომიტეტის მუამბოხური გეზი და თავიანთ სპეციალურ სხდომაზე შეაფასეს, როგორც უთუოდ დიდი ეროვნული უბედურების მომტანი ავანტიურა⁸.

დასახელებულმა ისტორიკოსებმა მოგვიანებით ის საარქივო დოკუმენტებიც წარმოაჩინეს რომლებიც ნათლად მეტყველებენ, რომ აჯანყების შემდეგ ემიგრაციაში დევნილმა ანტისაბჭოთა აღიარებული ინტელექტუალების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა აჯანყების ხელმძღვანელობა დაგმო, როგორც „უმომენტო“, საერთაშორისო მხარდაჭერისა და შინაგანი ძალის არ არსებობის ვითარებაში ორგანიზებული, უთუოდ დამარცხებისათვის წინასწარ განწირული დანაშაულებრივი ქმედება. ამ მხრივ მკაფიო აზრის შემცველი დოკუმენტები გამოაქვეყნეს ა.მენტეშაშვილმა, ნ.კირთაძემ, ო.ჯანელიძემ, კ.წენგუაშვილმა, ო.ჯანელიძემ და სხვამ. დასახელებული ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ აჯანყება პროვოცირებული იყო არა მარტო საზღვარგარეთის და შიდა ქართული ორგანოების, არამედ, რაც განსაკუთრებით შემზარავია, თვით ხელისუფლების მიერ, რომ ამ საზარელ წაბიძგებაში უშუალოდ მონაწილეობდა არა მარტო ჩეკა და ბერია, არამედ სტალინი⁹. მართალია, ამ მიგნებების შესაძლებლობას ქმნიდა თანადროული საგაზეთო და სხვადასხვა არქივებში დაცული მასალის გაცნობაც, მაგრამ მათი შესწავლა-გაანალიზება დამატებით ცხადყოფს, რომ საქართველოს ბოლშევიკური საბჭოთა იმპერიიდან გამოგლეჯვისა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება, მხოლოდ ქართველი ხალხის საყოველთაო აჯანყების გზით, იყო სრულიად შეუძლებელი. ამდენად 1924 წლის ზაფხულში აჯანყების წამოწყება-განვითარება იყო მისი პატრიოტული ხელმძღვანელობის ექსპერიმენტულ-ავანტიურისტული შეცდომა. ამ წყაროების შემეცნებისა და ანალიზის საფუძველზე მე, ჯერ კიდევ 1989 წელს, სათანადო აზრის

შემცველი საარქივო წყაროების გაცნობამ დამარწმუნა და 1990-იანი წლების დასაწყისის ისტორიკოსთა შორის ერთადერთს გამომაქვეყნებინა ამ დროისათვის საკმაოდ გაბედული მოსაზრება, რომლის მიხედვით 1924 წლის აჯანყების საერთო სახალხო, მასობრივ-პატრიოტულ მოძრაობაში აღინიშნებოდა ავანტიურისტული ნაკადი¹⁰. შემდგომში ჩემს და სხვა ისტორიკოს-სპეციალისტთა მიერ წარმოჩენილმა წყაროებმა, მათ შორის აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოების ლიდერთა და ხელმძღვანელ-მონაწილეთა ტაქტიკური და სტრატეგიული შეცდომების მამხილებელი წყაროების გამოვლენამ, შესაძლებლობა მომცა მეტი გაბედულობით გამომეთქვა, რომ ეს ავანტიურისტული ნაკადი აჯანყების ხელმძღვანელთა უდროოდ წამოწყებული და ორგანიზებული ექსტრემისტული ინიციატივის, ანუ აჯანყების მოკლე დროში ლიკვიდაციისა და დიდი ეროვნული უბედურების გამოწვევის სახით აისახა¹¹. ამის მიუხედავად ზოგმა ისტორიკოსმა იგნორირება გაუწია არა მარტო ისტორიის ცნობილ ფაქტებს, არამედ ჩემსა და სხვათა მიერ სათანადო წყაროებსა და ცოდნაზე დაყრდნობილ იმ აზრებს, რომელიც გულისხმობს მასებისა და ხელმძღვანელების ბითუმი, ერთგვაროვანი შეფასების ნაცვლად, მათ მიმართ ინტელექტუალი ემიგრანტების მსგავსად, დიფერენცირებულ დამოკიდებულებას. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა პუბლიკაციებში მკაცრად და მიზნობრივადაც კი, 1924 წლის აჯანყების შეფასება-დაფასების გაგების წარმოჩენის დროს, მიფუჩეჩებულია იმ რეალობის გაშუქების აუცილებლობა, რომელიც ცხადყოფს, რომ ერთია, პატრიოტი მასების თავგანწირული ბრძოლების, ხოლო მეორეა, აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოების (საზღვარგარეთული ცენტრის და დამკომის) ლიდერთა სტრატეგიული, თუ ტაქტიკური მეთაურების მიერ დაშვებული შეცდომების შეფასება. ამასთანავე, ხელმძღვანელთა ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმის, თუ მათი შეცდომებისა და საერთო შედეგების გამო მათი კრიტიკული მხილება, არ ნიშნავს მათი ღვაწლის სრულ უგულვებელყოფას, ან აჯანყებული, მებრძოლი მასების გაკიცხვას.

საყურადღებოა, რომ ზოგი ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები იმ მხრივ გაირჯნენ, რომ წყაროების ტენდენციური გაგებით და პირადი ამბიციებით, ჩემი კონცეპტუალური ნააზრევი ბელადების მიერ 1924 წლის აჯანყების „უმომენტოდ“, ანუ უდროოდ და ავანტიურისტულად, ე.ი. პრაქტიკულად მცდარად წამოწყება-განხორციელების შესახებ, შემიფასეს პოსტსაბჭოურ-ნეობოლშევიკურ აზრად და გამოაცხადეს მცდარად. მათ ჩემი სათანადო ისტორიის წყაროებზე დაყრდნობით მოაზრებული არგუმენტებით დასაბუთებული აზრი გაბათილების ნაცვლად, უპასუხისმგებლო სოფისტური განცხადებით „გამორიცხეს“. მათი აზრით, ჩემს მიერ აჯანყების ხელმძღვანელთა ავანტიურის

წარმოჩენა არის აჯანყებისა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის სწორი ტაქტიკითა და სტრატეგიული გეგმით მებრძოლი ხელმძღვანელების, ანუ ისტორიკოსების სწორად გაგებულის, შემდგომი ეიფორია და ნეობოლშევიკური შეფასების გამოვლინება. ისინი ცდილობენ მკითხველი უსაფუძვლო არგუმენტებით დაარწმუნონ, რომ თითქოს, 1924 წლის აჯანყება იყო ყოველმხრივ სწორი, მოვლენათა კანონზომიერი განვითარებით გამართლებული, გარდაუვალი აუცილებლობა, ხოლო მათი ხელმძღვანელების მიერ ორგანიზებული აჯანყების თანმხვედრი ეროვნული უბედურება, ისე წარმოაჩინეს თითქოს იგი იყო ერის ინტერესების შესაბამისი მსხვერპლშეწირვა. არა და, ჩემი შესაბამისი ანალიტიკური გამოკვლევები, რომლებსაც კარგად იცნობენ სპეციალისტ ისტორიკოსები და დაინტერესებული მკითხველები კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებენ, რომ 1924 წლის აჯანყების ორგანიზების დროს პატრიოტი ხელმძღვანელების მხრივ გამოვლინდა ექსტრემიზმიც და ავანტიურაც.

ზოგ პროფესორ ისტორიკოსსა (კონკრეტულად ვ.გურულსა და დ.შვილიძეს) და მათ მიერ მიზნობრივად დაკვალიანებულ დოქტორანტს (ლ.ჯიქიას), ვერ გაუგია, რომ 1924 წლის აჯანყება, არ წარმოადგენდა ორი უკიდურესობიდან, აჯანყების ან მორჩილების, ერთად-ერთ გამოსავალსა და გარდაუვალ აუცილებლობას, ანუ ისტორიული მომენტით გამართლებულ მოვლენას; 1924 წლის აჯანყება გამართლებას ვერ პოულობს ვერც საერთაშორისო მხარდაჭერის და ვერც შინაგანი მზადყოფნის, ანუ წარმატების შანსის არსებობის თვალსაზრისით; ყალბია აჯანყების შეჩერება აცილების შეუძლებლობის მტკიცება და აჯანყების მსხვერპლთა ორჯონიკიძისეული, მიზნობრივად შემცირებული რაოდენობის (980 კაცის), მეცნიერულად და ვისიმე პრიორიტეტად შეფასება; მცდარია ის აზრიც, რომლის მიხედვით, აჯანყება ხელისუფლების მიერ დაგეგმილად გამოცხადება უნდა გამოირიცხოს; ტყუილია თითქოს საბჭოთა პერიოდის პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების პუბლიკაციებსა, თუ შეფასებებში დრამა და დირებულები არაფერია და თითქოს მათ მიერ არაფერი თქმულა გარდა აჯანყების ავანტიურად შეფასებისა; არ ყოფილა, რომ აჯანყებულებს არსენალი ხელში ჩაეგდოთ, მე, ან ვინმეს აჯანყების ხელმძღვანელებისთვის „ერის გენოფონდის უაზრო (! – გ.ც.) განადგურებაში დამედობრალი“; მათ ვერც ის გაუგიათ, რომ „ავანტიურა“ ბოლშევიკების მიერ შემოგდებული ტერმინი კი არ იყო და სხვ. არამედ ნიშნავდა შედეგების გაუთვალისწინებელ რისკს¹³, „ცუდად მომზადებულ ოპერაციას“ (ბერია)¹⁴ და ვერ გაუგიათ, რომ ეს ტერმინი ჩემი მოგონილი და გამოყენებაში ჩემს მიერ დანერგილი კი არ არის, არამედ პარიტეტული კომიტეტის ტაქტიკის მიმართ აჯანყებამდე და ჩეკისტებამდე იხმარებოდა თვით ანტისაბჭოთა მებრძოლების მიერ,

ჯერ კიდევ ადრე, პარიტეტული კომიტეტის წევრთა 1924 წლის 5
 სექტემბრის დეკლარაციაში იძულებით დაფიქსირებამდე¹⁵;
 ახალგაზრდა მეცნიერის ძველმა დამკვალიანებელმა უნდა
 გაითვალისწინონ, რომ არ შეიძლება ტერმინ „ავანტიურას“, ვითომ
 კეთილი მიზანდასახულობით „პოლიტიკური რომანტიზმითა“ და სხვა
 ლოიალური სიტყვებით ჩანაცვლება, რადგან იგი ვარაუდი და
 შეთქმულება კი არ არის, არამედ, არსებული სინამდვილის
 ოპტიმისტური იდეალიზაციაა, ამის გამო მათ მიერ
 განხორციელებული წინდაუხედაობა მომხდარი საუბედურო ფაქტი
 გამოდგა და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ეროვნულად საუბედურო
 რეალური მოვლენის ინიციატორთა არაკვალიფიციურ გაგებას; არ
 არის სწორი, რომ ისინი მკითხველს, შ.ამირეჯიბის ერთი ნათქვამის
 მიხედვით არწმუნებენ, თითქოს აჯანყების გამოწვეული მსხვერპლის
 გამო პატრიოტებსა და მებრძოლთა შორის უკმაყოფილობის სახით
 არავინ იძებნება; რომ აჯანყებამდე 15 თვით ადრე დახვრეტილი
 „კოსტა“ აფხაზი „აქტიურად იყო ჩაბმული 1924 წლის აჯანყების
 მომზადების პროცესში¹⁶“. ამასთანავე, მისი აჯანყების პროცესის
 მონაწილედ გამოცხადება არის რეალობასთან შეუსაბამო,
 ისტორიკოსისთვის მიუღებელი მეტაფორული აპლიკაცია. საჭიროა
 დავინახოთ, რომ მათი, ჩემი მიგნების საწინააღმდეგო ფაქტები, მათ
 შორის, მათი მიზანდასახული ქმედებების ექსტრემიზმად და
 ავანტიურად წარმოჩენილი მტკიცებულობები მობილიზებულია, არა
 მარტო ჩემსა და ჩემი საყრდენი ავტორების პუბლიკაციაში, არამედ
 როგორც ქვემოთ გაგაცნობთ, თვით ჩემი აზრის ზოგ
 მოწინააღმდეგეთა მიერ, მათი ავტორობით, რედაქტორობითა და
 რეცენზენტობით გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულში.
 აჯანყების ხელმძღვანელთა თანამონაწილეობით მომხდარი
 უბედურების ავტორთა ექსტრემისტებად და ავანტიურისტებად
 შეფასება ისტორიით დადასტურებული რეალობის კვალიფიციური
 ასახვაა და არა ნეობოლშევიზმისა, როგორც ლ.ჯიქიას და მის
 მასწავლებლებს გ.გურულსა და დ.შველიძეს ხელოვნურად გამოჰყავთ.
 ჩემი მიგნების იგნორირების სურვილით შეპყრობილნი იქამდე
 დაეშვნენ, რომ ანგარიშს არ უწევენ არა მარტო ჩემს, არამედ
 სპეციალისტების, მათ შორის, თვით ლ.ჯიქიას მიერ გამოქვეყნებულ
 საარქივო წყაროებს, მის მიერ გამოყენებულ იმ დამაჯერებელ
 ფაქტებზე დაყრდნობილ აზრებს, რომლებიც სრულ უნისონშია
 ცნობილი ქართველი აღიარებული პოლიტიკოსების და ეროვნული
 მოღვაწეების იმ ნააზრევთან, რომელთა გადმოცემასაც წინამდებარე
 წიგნის მომდევნო პარაგრაფები ეძღვნება. ამ სამწუხარო
 გაუგებრობებს აქვს სავალალო ახსნა, რომელიც მეცნიერულ
 მიზანდასახულობებს სცილდება და მიზნად ისახავს საკუთარი
 ღვაწლის გაზვიადების მიზნით წინამორბედი მკვლევარის
 მეცნიერული მიგნებებისა და ღვაწლის დაკნინებას. მაგრამ ასეა, თუ

ისე, ჭეშმარიტება იმაშია, რომ ისტორიკოსებისგან მოვლენების სწორი ინტერპრეტაცია და მათი მეცნიერული ახსნის აუცილებლობას მოითხოვს წარსულის მძიმე გამოცდილებით თანამედროვე პოლიტიკანთა და პოლიტიკოსთა შეიარაღების მოთხოვნილება. მაშასადამე, საჭიროა აჯანყების და მისი ხელმძღვანელობის შეცდომების მამხილებელი ფაქტების და ნიუანსების მიმართ კვალიფიციური დამოკიდებულება.

ისტორიის მწარე გამოცდილების კვალიფიციურად შეუფასებლობამ, მისმა გაუთვალისწინებლობამ და ერის სახელით მოქმედი, ჩვენი თანამედროვე პოლიტიკოსების ერთი ნაწილის წინდაუხედაობამ, დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელების ექსტრემიზმმა და მათმა სტრატეგიული და ტაქტიკური წინდაუხედავი ავანტიურიზმით გამოწვეულმა მოქმედებამ, ქართულ თანამედროვეობას ე.წ. პერესტროიკის მერეც არაერთი დიდი უბედურება (1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლი, 1991-1992 წლის სამოქალაქო ომი, ეთნოკომფლიქტები, დევნილობა, 2008 წლის ომი რუსეთთან, ტერიტორიების დაკარგვა და სხვა.) მოუტანა. როგორც გვახსოვს, ზოგმა პოლიტიკოსმა „ნაციონალების“ ანტიეროვნული პოლიტიკის გამო ე.წ. „კომბლების“, ანუ იგივე სამოქალაქო ომის შესაძლებლობაც არ გამორიცხა, მაგრამ იმუამად სასიკეთოდ იმძლავრეს ერის ჯანსაღად მოაზროვნე კოალიციურმა ძალებმა. მათ შესძლეს მოსალოდნელი ახალი უბედურების, ანუ სამოქალაქო ომის გამორიცხვა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდში საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე კრიზისულ ვითარებაში აღმოცენდა საქართველოს შემდგომი დემოკრატიზაციის რეალური შესაძლებლობა, რომელიც კოალიციური გაერთიანების შექმნამ განაპირობა. ეს იმას მოწმობს, რომ ისტორიკოსთაგან წარსული, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ მოტანილი უბედურების მიზეზთა მეცნიერულმა შეუსწავლევლობამ, იგნორირებამ და ზოგი პრაქტიკოსი პოლიტიკოსების მხრივ მისმა გათვალისწინებამ, ჩვენ თანამედროვე პოლიტიკოს-პოლიტიკანებს მისცა სათანადო ისტორიის გამოცდილებით შეიარაღებისა და ახალი უბედურებისგან ქვეყნის დაღწევის შესაძლებლობა. მაშასადამე წარსული ეროვნული უბედურობების დროს დაშვებული შეცდომების და მათი შედეგების მიზეზთა მეცნიერული ახსნის საჭიროების იგნორირების გამო, თეორიულად ისტორიკოს-სპეციალისტებიც ცოდვილნი ვართ, იმის მიუხედავად, რომ გონიერი ლიდერების ძალისხმევამ უთუოდ მოსალოდნელი და დამღუპველი სამოქალაქო ომი აგვაცილა.

„სადაც არა სჯობს,
გაცლა სჯობს...“
(შოთა)

1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოებისა და მათი ლიდერების შემფასებელი ზოგადი აზრები და კომენტარები

1924 წლის აჯანყების გაკვეთილების მეცნიერული შესწავლა-შეფასების საკითხმა, თანამედროვე მკვლევარ-ისტორიკოსთა ყურადღება უმთავრესად იმ მხრივ მიიპყრო, რომ მათ ნაშრომებში აღინიშნა აჯანყების დიდი საერთო-ეროვნული მნიშვნელობა და დამარცხების მიზეზთა მოულოდნელობა¹. მაგრამ 1924 წლის აჯანყების ისტორიის გაშუქების მართლაც ერთგვარი პატრიოტული ეიფორიის ვითარებაში არავინ იზრუნა, რომ ამ წარსული აპოთეოზის შემოქმედი უზენაესი ხელმძღვანელობის შეცდომები წარმოეჩინა. თუმცა ზოგმა ობიექტურმა პოლიტიკოსმა და ისტორიკოსმა ის სწორი აზრიც გამოთქვა, რომ ეს აჯანყება ხელმძღვანელობი სახით შეიცავდა ავანტიურისტულ ნაკადსაც² და იმთავითვე განწირული იყო დასამარცხებლად³. მაგრამ, აჯანყების მიზანშეწონილობის საკითხისა და მის ხელმძღვანელთა უდროო ინიციატივის სიღრმისეული შესწავლა, ფართოდ წარმოჩენისა და მისი შეფასება-გაგების მკაფიოდ განსჯისათვის არავინ იზრუნვა. უმთავრესად იმით დაკმაყოფილდნენ, რომ აჯანყების ხილულ მომავალში განმეორების საკითხი მოიხსნა. ამიტომ ამ მხრივ გამოსაკვლევი და გასაშუქებელი კვლავაც ბევრი დარჩა. ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. ამ მხრივ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ჩვენი მკვლევარ-ისტორიკოსებისთვის დიდხანს ხელმისაწვდომი ხდებოდა მხოლოდ ის საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ოფიციალური და ყალბი ინფორმაცია, რომელშიც ბითუმად, დანაშაულად გაშუქდა აჯანყების უზენაეს ლიდერთა და საერთოდ მონაწილეთა მამულიშვილური თავდადება. მეორე მხრივ, ჩვენში პოლიტიკური აზრები თავდაპირველად შემოიჭრა და როგორც ოფიციალურ-სახელმწიფოებრივი აზრის საწინააღმდეგო აღტერნატივა. იგი თანამედროვეობაში თავიდანვე ძირითადად კრიტიკული შემეცნების გარეშე დამკვიდრდა აჯანყების მონაწილეთა ემიგრანტული მოგონებები, რომლებშიც 1924 წლის აჯანყების ისტორია წარმოჩენილია უპირატესად ჰეროიკული მაგალითებითა და გაგებით, მაგრამ ამავე დროს ნაკლებად შესამჩნევი ტენდენციური ინტერპრეტაციებით⁴. პატრიოტულად განწყობილმა ისტორიკოსებმა ეს სიახლე აიტაცეს როგორც ბაჯალლო ოქრო. მათ მიერ გაუგებარი დარჩა, ემიგრანტულ მოგონებებშიც კი, ყველაფერი რაც ბრწყინავს და კომუნისტური გაგების საწინააღმდეგოა, ოქრო როდია⁵. არაფერი ითქვა იმის შესახებ, რომ აჯანყება იყო „უმომენტო“, ანუ

ხელმძღვანელთა მიერ უდროოდ ორგანიზებული ავანტიურა, რომელიც საჭიროებდა მასების მიმართ თავშეკავების მოწოდებასა და სისხლისღვრის აღკვეთას. ამ ვითარებაში ხელი შეეწყო, როგორც ხელისუფლების, ისე აჯანყების ხელმძღვანელთა და მონაწილე მასების როლის ტენდენციურ – შავსა და თეთრ ფერებში დანახვა-გაშუქებას. ორივე მტყუანი მხარე შეეცადა საკუთარი შემზარავი ქმედების გამართლებას, ისტორიკოსთა ზოგმა წარმომადგენელმა ვერ გაიგო და შეცდომებად მიაჩნია, იმის თუნდაც სათანადო წყაროებზე დამყარებული წარმოჩენა, რომ: ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები და ბრძოლის ხელმძღვანელი მონაწილეები ხშირად მიმართავდნენ ბოლომდე შეუცნობელი შედეგების მომტან ქმედებებს, შიდაპარტიულ სეპარატიზმს, ტერორსა და ექსპროპრიაციას; რომ ისინი ხშირად სწორედ, ვერ აფასებდნენ სიტუაციას, უგულვებელყოფდნენ ან გაუგებრად აკნინებდნენ მათ საწინააღმდეგო ჩეკას ოპერატიული მუშაობის მნიშვნელობას; არ უნდოდათ ეღიარებინათ, რომ 1924 წლის აჯანყების ბელადებმა შეცდომა დაუშვეს როცა „უმომენტოდ“, ანუ უდროოდ, ილუზიებზე და ტყუილებზე დაყრდნობით წააქეზეს მასები; რომ ამით ხელი წაახმარეს გაძლიერების გზაზე მდგარსა და საერთაშორისო რევოლუციურად მებრძოლი პროლეტარიატის მხრივ მხარდაჭერილი აქტივისტების მრავალ მილიონიანი ჯარისა⁶ და ჩეკას ორგანოების თავზეხელაღებული ჯალათების დასაყრდენის მქონე სისხლის მღვრელ საბჭოთა ტოტალურ ხელისუფლებას, რომელსაც ჰქონდა მილიონობით თვისტომი ოპოზიციონერის სამოქალაქო ომში მოსპობის საშინელი გამოცდილება და არა მარტო კიდევ უფრო დიდი სისხლის დაღვრის შესაძლებლობა, არამედ ამასთანავე ურყევი მზადყოფნაც⁷.

როგორც ცნობილია 1924 წლის აჯანყების ჩამხშობი ბოლშევიკური და მისი მათორგანიზებელი მენშევიკური ემიგრაციული ხელმძღვანელობა, ყოველმხრივ შეეცადნენ, რომ მიეჩქმაღათ ერის მიერ აჯანყების მიზეზით გაღებული მსხვერპლის გამო საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა. ამიტომ 1924 წლის აჯანყების შეფასება მათ მიერ მიზნობრივად და ტენდენციურად გაშუქდა. საბჭოთა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ და ისტორიოგრაფიამ იგი გააშუქა, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების საწინააღმდეგო ყოველმხრივ გაუმართლებელი საერთო ავანტიურა.

ს.ორჯონიკიძეს მსხვერპლი ხან 1000, ხან კი 500 კაცის რაოდენობით მიაფუჩეხა. მათ საწინააღმდეგოდ, ნოე ჟორდანიას ემიგრანტული მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაციის 1924 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე, საქართველოს 1924 წლის აჯანყების მიზეზების ახსნის დროს, აცხადებდა: „ყოველივე კი რაც ჩვენში მოხდა, ისტორიის და მომავალი გამოკვლევების საქმეა. ჩვენი მტრები ხმებს ავრცელებენ,

თითქოს ჩვენ ვგმობდეთ მათ (აჯანყების ხელმძღვანელთა – გ.ც.) საქციელს, რადგან იგი არ გათავდა გამარჯვებით. თუ არ გათავდა გამარჯვებით, ეს მეტროქოლთა ბრალი არ არის ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. დაფასება აჯანყების შედეგების არ შეიძლება, მხოლოდ ახლოებელ შედეგებით (ანუ უკიდურესად დიდი მსხვერპლით და ქართველი ხალხის გაუბედურების მაჩვენებლებით – გ.ც.) ავხსნათ, არამედ გარემოების შორეული შედეგებითაც... ეს იყო დიდი გამოსვლა უცხოეთის უღლის წინააღმდეგ⁸. ამ აზრით მას ისე გამოჰყავდა თითქოს უდროოდ ორგანიზებული აჯანყების მიზანი ამართლებდა შედეგებს და თითქოს მსხვერპლის გამო დანაშაული არავის გააჩნდა. აქედან ის გამოდიოდა, თითქოს მსხვერპლი, რომელსაც ჰქონდა ეროვნული და აპოთეზური ხასიათის გამოვლენაც, ცხადდებოდა სამშობლოს მომავალი დამოუკიდებლობა-აღორძინების აუცილებელ ზვარაკად. აჯანყების შედეგების ასეთ გაგებას, ჩემი აზრით, გამართლება არა აქვს.

სინამდვილეში 1924 წლის აჯანყებისა, მისი შედეგების ხელმძღვანელთა სწორი გაგებისათვის იმთავითვე არსებობდა და სადღეისოდაც არსებობს უამრავი საყურადღებო წყარო, რომელიც გვიჩვენებდა და გვიჩვენებს, რომ 1924 წლის აჯანყება ორგანიზებული და წარმოებული იყო უდროოდ, ანუ „უმომენტოდ“. ეს აზრი კარგა ხნის წინ გამოითქვა ჩემს მიერ გამოქვეყნებულ წერილებში. აგრეთვე საგნობრივად აისახა ჩემს კარგა ხნის წინ დაანონსებულ ტეკად მონოგრაფიაშიც („1923-1924 წლების ანტისაბჭოთა ექსტრემისტული ბრძოლისა და აჯანყების ორგანიზება. წიგნი II“). მისი შემაჯამებელი კონცეპტუალური აზრების საილუსტრაციოდ, ამჟამად გთავაზობთ ამ მონოგრაფიული გამოკვლევის შემაჯამებელ XII თავს. იგი ამტკიცებს, რომ 1924 წლის აჯანყების შეფასება-გაგების მიზნით გამოთქმულ, თანადროულ ქართველ ინტელექტუალთა, მათ შორის აჯანყების ზოგი ხელმძღვანელებისა და ხელმძღვანელ-მონაწილეთა მიერ აჯანყება და მისი შედეგები, ალტერნატიულად შეფასდა. ისტორიის მოცემული პრობლემის გარშემო სადღეისოდ არსებული ცნობილი წყაროებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე კარგად ჩანს და ნათლად საბუთდება, რომ 1924 წლის აჯანყება მართალია იყო ბოლშევიკურ-იმპერიული პოლიტიკით გამოწვეული ქართველი ხალხის საერთო ეროვნული, მასობრივი ძალისხმევის გამოვლინება, ისიც მტკიცდება, რომ ამ აჯანყებამ ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ უმომენტოდ წამოწყებისა და სათანადო მოუმზადებლობის გამო გამოიწვია დიდი ეროვნული უბედურება. შესაბამისად იგი უზენაესი ხელმძღვანელობის იმ შეცდომას წარმოადგენდა, რომელიც მოითხოვა მონაწილეებისა და ხელმძღვანელების შემოქმედების დიფერენცირებულ-ალტერნატიული შეფასების აუცილებლობას. ამ გზით შესწავლის შედეგად კი, ცხადი ხდება, რომ 1924 წლის

აჯანყების მონაწილე მასების ბრძოლა წარმოადგენდა მთელი ანტიქართული, იმპერიული ძალმომრეობის საპასუხო აპოთეოზურ გამოვლინებას, მაგრამ ამავე დროს, ისიც მტკიცდება, რომ მისი ემიგრანტი და ადგილობრივი ბელადების მიერ უდროოდ, ანუ უმომენტოდ, ავანტიურისტულ გათვლებზე და შესაბამის საბრძოლო სტრატეგიულ გეგმაზე ნავარაუდები ეს აჯანყება იყო ხელმძღვანელების მიერ პროვოცირებული, დიდი ეროვნული უბედურების მომტანი და ყოველმხრივ გაუმართლებელი აქცია. ამის საილუსტრაციოდ წინამდებარე წიგნის ავტორი საჭიროდ მივიჩნევ ჩემს მიერ მომზადებული წინამდებარე ნაშრომის მოცემულ თავში, დაინტერესებულ მკითხველს მივაწოდო შედარებით ვრცელი მასალა, ერთი მხრივ ცნობილი, ისტორიკოსთა მიერ მობილიზებული-გამოქვეყნებული, ხოლო მეორე მხრივ, ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის უცნობი ამონარიდები ჩემს მიერ მოპოვებული, თუ მობილიზებული წყაროებიდან და პუბლიკაციებიდან. მათ შორისაა ამონარიდები საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის უზენაესი პარტიული ხელმძღვანელებისა და აჯანყების მეთაურების, აგრეთვე ქართული კომპრომისული პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლების ნააზრევიდან. ეს ყოველივე, არის უაღრესად ძვირფასი, მრავალი საყურადღებო ფაქტისა და აზრის შემცველი მემკვიდრეობა, რომელმაც ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ვერ მიიპყრო მკვლევართა სათანადო ყურადღება. არა და მათი სიღრმისეული გაგება-შემეცნება-გათვალისწინების გარეშე, საკვლევო ისტორიის სრულყოფილად გაგება შეუძლებელია. მათში გამოთქმულია 1921-1924 წლების ქართული ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობის თავისებურად განზოგადოებული და საკუთარი ხედვის პოზიციებიდან დანახული გაგება-შეფასება, რომელიც იძლევა არა მარტო მოცემულ საკითხზე დაფიქრებისა და მისი სწორი განსჯის ახალ, ფართო შესაძლებლობას, არამედ მისი გაცნობიერება შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ, გამოვიყენოთ და გამოვრიცხოთ ჩვენი ცოდვილი წინაპრების მსგავსი პატრიოტული აღტკინებითა და წინდაუხედაობის გამეორებით მოსალოდნელი, დიდი ეროვნული უბედურების მომტანი, ჩვენი ერისთვის საზიანო რაიმე ფორმის პოლიტიკური ექსტრემიზმი და უსათუოდ უმძიმესი შედეგების მომტანი ახალი ავანტიურა. ამაშია თემის მონოგრაფიული გაშუქების მეცნიერული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა. მისი ილუსტრაცია საჭიროა წარმოვაჩინოთ თანადროული შეფასებებით. ამ მიზნით სასურველია დავიწყოთ ბოლშევიკური აზრის გადმოცემით. იგი დაგვარწმუნებს, რომ ბოლშევიკი ლიდერების ნააზრევში დაუჯერებელთან ერთად წყართმცოდნეობითი და მეთოდოლოგიური შემეცნებისათვის მნიშვნელოვანი, თუ ღირებულიც

ძალიან ბევრია, რაც ზოგი ჩვენი კრიტიკოსი ისტორიკოსების (მათ შორის ლ.ჯიქიას და მისი მასწავლებლების პროფესორების ვ.გურულის, დ.შველიძის და სხვ) მიერ იგნორირებულია.

§1. 1924 წლის აჯანყება ბოლშევიკი ლიდერების შეფასებებით

ბოლშევიკური ხელისუფლების აზრი აუცილებელია დავიწყოთ სტალინიდან. იგი იყო ამ აჯანყების მთავარი დამკვეთი და მისი პროვოცირების ორგანიზატორთა დამკვალიანებელი. სტალინი აჯანყების შესახებ ინფორმაციებს ღებულობდა საქართველოდან გაგზავნილი დაშიფრული სამხედრო და ჩეკისტური ცნობებით¹, ხოლო სახელმძღვანელო ღირეპტივებს აგზავნიდა ფ.ქერჟინსკის, ს.ორჯონიკიძისა და ბერიას არხებით². შემდეგ კი როცა საქართველოს ანტიბოლშევიკური აჯანყება სისხლში ჩაახშო, მან 2-3 საათის განმავლობაში მოისმინა მასთან ჩასული ბ.ლომინაძის აზრი³ და საკუთარი შეფასებებიც ოფიციალურად 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე გამოსთქვა⁴. იგი აცხადებს, რომ აჯანყება იყო ხელოვნური არამასობრივი. ამასთანავე, სტალინი აკნინებს აჯანყების მასშტაბს, თითქოს მასში მონაწილეობდა არანაკლებ 2000, რომელსაც თანაუგრძნობდა მხოლოდ 10-15 ათასი და საყვედურს გამოთქვამს, რომ პარტია კი ვერაფეს ხედავდა. ე.ი. მას ისე გამოჰყავს, რომ თითქოს აჯანყებისა და მისი შედეგების მთავარი მიზეზია სუსტი ადგილობრივი საბჭოთა ხელმძღვანელობის დაუდევრობა. სტალინის აზრით საქართველოში მომხდარი აჯანყება იყო „ბუფერული“⁵. მაშასადამე, გარეშე ძალებზე მიბმული და მათ მიერ გამოწვეული. იგი აცხადებდა: „მე არ ვფიქრობ, რომ აქედგებინათ გლეხი აჯანყებულები მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გულისთვის, რომ ეს ყოფილიყო გადამწვეტი მომენტი, თუნდაც იმ ტრადიციული მენშევიზმის გამო რაც აქ სახეზე იყო“. იგი მიიჩნევდა, რომ მენშევიკებმა ჩაითრიეს გლეხთა ნაწილი. სტალინი პლენუმის მონაწილეების წინაშე სვამს კითხვას - „რა უნდოდათ გლეხებს გურიაში?“ და პასუხობს: „იფი საქონელი, სიმინდის დიდი ფასი. გურია დასავლეთის საზღვარზეა, ის ხედავს საზღვარგარეთული საქონლის სიიაფეს ჩვენს საბჭოთა საქონელთან შედარებით, და მას უნდა, რომ ჩვენში საქონლის ფასი შემცირდეს საზღვარგარეთის საქონლის ფასებამდე მაინც, ან სიმინდის ფასი გადიდდეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა საქონლის ხელსაყრელი ყიდვა. ესაა ეკონომიკური საფუძველი გურიის აჯანყებისა საქართველოში“⁶. როგორც ვხედავთ სტალინმა გურიის გლეხთა აჯანყების მაგალითზე, ფაქტობრივად მოახდინა საქართველოს გლეხთა აჯანყების ტრადიციული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების ნიველირება. სტალინის სახელმძღვანელო ლაკონური გამონათქვამების აზრი ამ და სხვა შემთხვევაშიც ანგარიშგასაწევი და გარკვეული აზრით ღირებულია. იგი მეთოდოლოგიურად გააზრებული, განვითარებული და გაშუქებულია საბჭოთა, ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ლიდერების - ტროცკის, ზინოვიევის,

ს.ორჯონიკიძის, ბ.ლომინაძისა და მ.კახიანის მიერ. მათ ნააზრევებში ნართაულად, თუ გულრწველად გამოთქმული გაგებიდან ცხადი ხდება, რომ მათთვის საქართველოში აჯანყების მოსალოდნელობა გამორიცხვად არ იყო. ლ.ტროცკი აღიარებს: „უკვე აჯანყებამდე კვირებისა და თვეების წინ ვიღებდით ინფორმაციას“⁷. მან გურიის გლეხთა გამოსვლა ტამბოვის აჯანყებას შეადარა და იქვე შენიშნა: „ტამბოვის აჯანყება ეს არის აჯანყება გლეხებისა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ძველი კულაკები, რომელთაც არ უნდოდათ განკულაკება. ახლა კი ვხედავთ მოძრაობას რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი კულაკები, რომელთაც დაიწყეს სიმდიდრის დაგროვება და არ სურთ ხელი შეუშალონ კულაკად ჩამოყალიბებაში. ხინოვიცმა გურიის გლეხთა გამოსვლა კროდშტატის ცნობილ აჯანყებას შეადარა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კროდშტატში ადგილობრივი მიზეზი იყო 10 პროცენტი, გურიაში კი, 50 პროცენტი, ხოლო დანარჩენი საერთო ქართული“. როგორც ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების მეთაურთაგან არცერთს არ სურს გურიაში და საერთოდ საქართველოში მომხდარი აჯანყების ნამდვილი მთავარი მიზეზის წარმოჩენა და იმის აღიარება, რომ აჯანყების მონაწილეთა მასობრიობის მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა ბოლშევიკური ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმით გამოწვეული გაუსაძლისობაზე აღმოცენებული უკმაყოფილება და არსებული ხელისუფლების მიმართ უნდობლობა.

ს.ორჯონიკიძე, სკპ(ბ) ოქტომბრის პლენუმზე, ჩქმაღავს და აფუჩჩებს საქართველოში საბჭოთა ბოლშევიკური დესპოტიის მიერ აჯანყებულთა მიმართ განხორციელებული გენოციდის მძიმე შედეგებს. მას რკპ(ბ) ცკ-ის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე საქართველოს 1924 წლის აჯანყების გამო ბრალდების მთელი სიმძიმე გადააქვს მენშევიკებზე. ს.ორჯონიკიძე იმეორებს სტალინის მიერ 1921 წელს თბილისში გამოთქმულ სახელმძღვანელო აზრს და აცხადებს: „ქართველი გლეხობა და ქართველი მუშები 20 წლის განმავლობაში მენშევიკური პარტიის განუყოფელ გავლენას განიცდიდნენ“. იგი ახლანდელი ვითარების ასხნის მიზნით დასძენს: „სამნახევარ წელიწადში ჩვენ ვერ მოვახერხეთ გურული გლეხები მენშევიკებისგან ჩამოგვეშორებინა“. მან ამასთანავე, საკუთარი, როგორც ამიერკავკასიის პარტიული ლიდერის პასუხისმგებლობის ნაწილი საკავშირო ხელმძღვანელობაზეც გაავრცელა. ს.ორჯონიკიძემ განაცხადა: „მენშევიკები გლეხებს გადასახადს არ ართმევდნენ, ჩვენ კი ვართმევთ და თანაც არცთუ მცირე გადასახადს... აჯანყება წამოიწყეს დამოუკიდებელი საქართველოს დროშით „რუსების განდევნის“ და „რუსული უღლისგან განთავისუფლების“ ლოზუნგებით“. მაშასადამე, იგი მასობრივი რეპრესიების გამო თავსაც იზღვევს და აჯანყებას საბჭოური ძმობის

მოწინააღმდეგეთა მოქმედებად ასაღებს, ამასთანავე მათ მიმართ გატარებული რეპრესიების მასშტაბს მიზნობრივად და მნიშვნელოვნად ამცირებს. იგი 980 კაცს ასახელებს და მას კომუნისტური ინტერნაციონალიზმით ამართლებს. ორჯონიკიძე საქართველოში განხორციელებული მასობრივი სისხლის დაღვრის გამო პოლიტბიუროს ყასიდი პროტესტის გამო თავს ზღვევს იგი რუსული იმპერიული პოლიტიკის გამგრძელებელ, პლენუმის მონაწილე ბოლშევიკებს რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის დაშლისათვის ბრძოლის მენშევიკური ორგანიზებით აშინებს და დასძენს: „მათ წინააღმდეგ მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, შეიძლება ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ამას აღარ ეშველება“⁷. სტალინის ამ პოლიტიკის მიმართ დაპირისპირებულმა ბუსარინმა კითხვა დაუსვა: „ვისი იყო ინიციატივა?“⁸ - ჩემი აზრით, ეს შეკითხვა აჯანყების პროვოცირების იმ საიდუმლოების გახმოვანებას ემსახურებოდა, რომელიც სკპ(ბ) ცკ-ის ბიუროს წევრებისთვის გაუმხელს, მაგრამ კარგად ცნობილი საიდუმლოებას წარმოადგენდა. ს.ორჯონიკიძეს მისი სრული დამალვა არ შეეძლო, რადგან ამ სტალინურ-ჩეკისტური ჩანაფიქრის დამალვის შემთხვევაში, მასობრივი რეპრესიების გამო თავის დაღწევის პრევენციული ღონისძიების გაუმართლებლობით ჯოხი პირადად მასზე ტყდებოდა. ამიტომ მან ლაკონურად უპასუხა: „ინიციატივა... (ანუ აჯანყების პროვოცირება – გ.ც.) იყო ჩვენი“⁹. მაგრამ მან აქვე დასძინა, რომ ამ დახოცილთა შორის 95 პროცენტი იყო თავადაზნაურობა, ანუ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე მტრულად განწყობილი და ბოლშევიკური აზრით უთუოდ მოსასპობი. სინამდვილეში ეს პროცენტული მაჩვენებელი იყო ისეთივე მიზნობრივი ტყუილი, როგორც მის მიერ დასახელებული დახვრეტილთა საერთო რაოდენობა. მაგრამ მისმა ნათქვამმა ამ კონკრეტულმა ტყუილებმა იმუშავა. დახვრეტილების გამო ორჯონიკიძეს პოლიტბიუროს წევრებიდან არავინ შედავებია და ისე მოხდა, რომ აჯანყების მსხვერპლთა რაოდენობა საარქივო ოფიციალურ სტატისტიკაშიც ორჯონიკიძის მაჩვენებელის შესაბამისად დაფიქსირდა და შემოგვრჩა. საყურადღებოა, რომ ჩემს მიერ ყოფილ ჩეკას არქივში 1989 წელს მოპოვებული 857 დახვრეტილის სიის შემაჯამებელ მონაცემებში მითითებულია: „Интеллигентов – 320 (князь, дворянин)“. ეს კი, არის საერთო რაოდენობის მხოლოდ 40 პროცენტი. ესეც უადრესად შემადრწუნებელი მაჩვენებელია. იგი გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში თავადაზნაურობის როგორც კლასის და პიროვნების ლიკვიდაციის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა ბოლშევიკური აგრარული რეფორმის გატარება და რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიწით დაკმაყოფილება. 1924 წლის ბოლშევიკური ვანდეას შემდეგ 1924-1925 წლებში კი, როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფიაც ადასტურებს, თავადაზნაურობა

საშუალო გლეხისათვის განკუთვნილი „პრივილეგიაჲმდე“ შეიზღუდა. საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის ძალმომრეობა, როგორც ცნობილია ამ დროს არსებული სხვადასხვა სოციალური ფენებიდან განსაკუთრებული უსამართლობით სწორედ თავადაზნაურობას დაატყდა.

ბ.ლომინაძემ 1924 წლის აჯანყება და მისი მასშტაბი სრული მოულოდნელობით ახსნა. ამასთანავე სტალინთან საუბრის გავლენით აჯანყების მთავარ დამნაშავედ მენშევიკებთან ერთად, უპირატესად „ნაციონალ უკლონისტები“ გამოაცხადა. მან პლენუმის მონაწილეებს მომენტის სტალინური შეფასებისა და სტალინის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ოპოზიციის (ტროცკისტების, „ნაციონალ უკლონისტების“, კამენევი-ზინოვიელებისა და სხვათა) წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზის გატარებისადმი სოლიდარობის გამოვლენით „აუხსნა“: უკლონისტები მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს გასაბჭოებამდე 80 ათასი იყვნენ, „არავითარ ბრძოლას არ ეწეოდნენ; 1922 წელს მენშევიკური პარტია ხელშეუხებელი იყო“; „მენშევიკების წინააღმდეგ ტერორის საშუალებებს უკლონისტები თითქმის სრულებით გამორიცხავდნენ“; „ჩვენ პირველებს მოგვიწია მენშევიკებთან ნამდვილ ბრძოლაში ჩართვა, ამ ნიშნით ჩაიარა ბოლო წელიწადნახევარმა. ჩვენ თავს არც ვიკავებდით მსხვილი, მასობრივი რეპრესიებისაგან, გადასახლებისაგან და დახვრეტისაგანაც კი... ყველა ზომებს ვღებულობდით, რომ აგეფეთქებინა, შინაგანად გაგვეხრწნა ჩვენს მიმართ მტრული პარტიები, ჩამოგვეშორებინა მათგან მასები და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ ამ გზაზე მივალწიეთ იმ მაქსიმალურ წარმატებას, რაც შეგვეძლო...“¹⁰ ამით მან ფაქტობრივად აღიარა, რომ ანტისაბჭოთა ძალთა მიმართ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა და ჩეკა კომპრომისებს კი არ მიმართავდა არამედ გეგმიურ გამანადგურებელ მუშაობას აწარმოებდა. ამ გულმოდგინე აღიარებით ბ.ლომინაძემ რეალური სიმართლე ასახა, მაგრამ მან, ჩემი აზრით იმდენად გადააჭარბა, რომ სტალინის მოწინააღმდეგეთა მრავალმნიშვნელოვანი და მიზანდასახულად ანტისტალინური რეაქცია გამოიწვია.

მისი დიქტატორულ-რეპრესიული თავმოწონებით ისარგებლა სტალინის ოპოზიციის წარმომადგენლობამ. კამენევი ლომინაძეს სტალინური „ნაჯახის პოლიტიკა“ დაიწუნა. მან ამით ფაქტობრივად სტალინის მსგავს პოლიტიკას გადაუკრა. კამენიევმა შენიშნა ლომინაძის ხელმძღვანელობის მხრივ ნატიფი ინსტრუმენტების გამოუყენებლობა...“¹¹ ბ.ლომინაძემ კი მოხსენება იგივე კურსით გააგრძელა. მან განაცხადა: „უფრო მეტის და უკეთესის გაკეთება შეუძლებელი იყო...“; „მართალია მათი სოფლის რეზერვი ვერ გავითვალისწინეთ, მაგრამ ეს უპირატესად იყო ჩვენი რევოლუციის („ნაჯახის“ პოლიტიკის – გ.ც.) მიერ უკუგდებული კადრი –

ექსპროპრირებული თავადაზნაურობა, ვაჭრები, სამღვდელოება, ნაწილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობა – ასეთია მენშევიკების სოციალური ბაზა“, „უკლონისტების გზით რომ წავსულიყავით... აჯანყების ასე ადვილად ლიკვიდაცია არ გამოვიდოდაო“. მის ამ ნათქვამში უთუოდ არის სიმართლის ის რაციონალური ასახვა, რომლის დანახვას მოითხოვს რეალურ ისტორიის შესწავლა და სამართლიანი გაშუქება. ნაციონალ-უკლონისტებად წოდებული კომუნისტები მართლაც, ორთოდოქსებისაგან განსხვავებით, მათთვის მისაღები მაქსიმალური შესაძლებლობით ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ პატრიოტული ინტელიგენციისა და ეროვნული ინტერესები...

რეპრესიების შესახებ საუბრის დროს ბ.ლომინაძე შეეცადა საკუთარი ბრალეულობა ძირითადად ბ.ორჯონიკიძეს „დამსახურებად“ წარმოეჩინა. იგი ამით, როგორც ჩანს, შეეცადა სტალინისა და მისი მარჯვენა ხელის, სერგოს გულის მოგებას, მაგრამ ფაქტობრივად გაუთვალისწინებელი ბრალდება გამოუვიდა, რომლის გამო შემდეგ მისი ხელქვეითი ქართველი კომუნისტების მიმართ გამოგზავნილ წერილში ერთგვარი ახსნა-განმარტებითი თავის მართლებაც მოუწია. ბ.ლომინაძემ პლენუმს განუცხადა, რომ: მისი ხელმძღვანელობით დაიკეტა 1500 ეკლესია; „ნაციონალ უკლონისტების“ დროს ეთნიკურად არაქართველ რეგიონებში მისი და იმდროინდელი ბოლშევიკური გაგებით, მათ შორის აჭარაში, მენშევიკები ეწეოდნენ ნაციონალური ომს და ადგილობრივთა მენშევიკურ გენოციდს. „უკლონისტების დროს ცოტა შემსუბუქდა დიდპყრობელური შოვინიზმის პოლიტიკა ოსების, აჭარლების და აფხაზების მიმართ. მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად აგრძელებდნენ მენშევიკების პოლიტიკას. აჭარაში და აფხაზეთში მართავდნენ ქართველები და არა აჭარლები და აფხაზები“, „ჩვენი პოლიტიკა საწინააღმდეგო იყო“; შედეგად ეს სამი რესპუბლიკა იქცა მთელს სსრ კავშირში ყველაზე დამოუკიდებელ რესპუბლიკებად“.

ბ.ლომინაძემ აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკის გამო „ჩვენ გვეუბნებოდნენ აფხაზეთი ფორმალურად შედის საქართველოში, ფაქტიურად დამოუკიდებელიაო. ეს ახლო იყო ჭეშმარიტებასთან... მაგრამ არავითარი ზიანი ამისგან არ იყო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ქართველი კომუნისტის გაღიზიანებას“. მან პლენუმის საბჭოთა რუსული იმპერიის სულისკვეთების მონაწილეებს ისე „აუხსნა“, რომ თითქოს „უკლონისტები საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრეები იყვნენ“¹².

როგორც ვნახეთ საქართველოს კომპარტიის „გენერალურმა მდივანმა“ საერთოდ ვერ გამორიცხა ბოლშევიკური პოლიტიკით ქართველი ინტელიგენციის, აგრეთვე მუშებისა და გლეხთა უკმაყოფილება. მან აჯანყების გამო მთელი პასუხისმგებლობა „ნაციონალ უკლონისტებს“, მენშევიკებს და რეჟიმის მოწინააღმდეგე

ეროვნულ ძალებს დააკისრა. ამდროინდელი ბოლშევიკური გაგების მიხედვით აჭარლებიც ქართველებისგან განსხვავებულ ეროვნებებს მიაკუთვნა, საბჭოთა იმპერიული პოლიტიკის მოტრფიალებისთვის მისაღები აფხაზეთის „სრული დამოუკიდებლობა“ მისი ახალი რეჟიმის სიკეთედ გასაღდა და ქართველი ხალხის ინტერესების დამცველთა და აჯანყების ავანგარდის მიმართ რეპრესიული „ნაჯახის“ პოლიტიკა საქართველოში საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების აუცილებლობად „დაასაბუთა“. ლომინაძეს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ ქართველი პატრიოტი ინტელიგენცია მძაფრ უკმაყოფილებას გამოთქვამდა არა აფხაზეთისა და აჭარლების მიმართ განხორციელებული ლოიალური პოლიტიკის გამო, არამედ საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვისა და რსფსრ შაბლონით, განხორციელებული ბოლშევიკური იმპერიული და ანტიეროვნული პოლიტიკის გამო“. ოქტომბრის პლენუმზე ბ.ლომინაძის მიერ ჩამოყალიბებული საერთო აზრი, ანუ საქართველოში აჯანყებული და ამბოხებისდროინდელი ვითარების ანალიზი, ისე როგორც ს.ორჯონიკიძისა, ემსახურებოდა ხელისუფლებისა და საკუთარი დანაშაულის მაქსიმალურ მიჩქმალვას. ამას მოწმობს მათი ნართაული ნააზრევის მიზანდასახულობების შემეცნება, საკუთარი დანაშაულების გამო მეხამრიდის შექმნის მცდელობა და სხვა ლიდერთა თანამონაწილეობის წარმოჩენა. სკპ(ბ) ცკ პლენუმზე, სტალინთან წინასწარი სამ საათიანი საუბარ-კონსულტაციებ გავლილი ბ.ლომინაძის ვრცელი საუბრიდან ისე ჩანს, რომ მან მიზნად დაისახა, საქართველოში სტალინური პოლიტიკის წარმატებათა დემონსტრირება. ამასთან, პლენუმის დამსწრეთა „უკმაყოფილების“ მიზეზები ნაწილობრივ თვითონ იტვირთა, მნიშვნელოვანწილად კი, ს.ორჯონიკიძეს გადააბრალა და თანამოზიარედ გაიხადა. ჩემი აზრით ამით იგი სტალინის ავტორიტეტის ამაღლებას ისახავდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბ.ლომინაძე ბოლოს მაინც სტალინის უმადურობის მსხვერპლი გახდა.

საყურადღებოა სკპ(ბ) ცკ-ის ოქტომბრის პლენუმის რეზოლუცია. დადგენილების თანახმად საქართველოში განვითარებულმა „უკანასკნელმა მოვლენებმა აჩვენა ქართველი ინტელიგენციის ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისკენ შემობრუნება... მოხდა თავადაზნაურობის ლიკვიდაცია. ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გამოყვანა¹³. ე.ი. ხელისუფლებამ დიდი საქმე მოაგვარა.

ჯერ კიდევ ოქტომბრის 4-7 რიცხვებში ჩატარებულმა საქართველოს კომპარტიის პლენუმმა 1924 წელს შეიარაღებული აჯანყების წინასწარი შეფასების საკითხზე მიიღო ასეთი

რეზოლუცია: „შეიარაღებული გამოსვლები საქართველოში მოხდა არა გლეხობის მასიური უკმაყოფილების გამო, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იყო იმპერიალისტების და მეორე ინერნაციონალის, - იმპერიალისტების ამ დასაყრდენის დაკვეთით“¹⁴.

მიშა კახიანიმა საქართველოში განხორციელებული აჯანყების საკუთარ შეფასებას საფუძველად დაუდო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ოქტომბრის პლენუმის რეზოლუცია და შეეცადა მის დასაბუთებას. იგი წერს: „საქართველოში გამოსვლები გამოწვეული იყო ქართული საზღვარგარეთული ცენტრის და ადგილობრივი კონტრრევოლუციური პარტიების ხელმძღვანელობის ნებით, ევროპაში ხმაურის ასატეხად და საერთაშორისო ანტისაბჭოური გართულებების შესაქმნელად. მაგრამ ახლა რომ მოხდა, დაუკავშირეს საერთაშორისო კონფერენციას და ერთა ლიგის სხდომას. ამიტომ იჩქარეს, აჯანყება მოაწყვეს ერთ ცალკე აღებულ საქართველოში“. მისი ეს აზრები ძირითადად ემყარება აჯანყების ხელმძღვანელ მონაწილეთა დაკითხვის დროს მოპოვებულ აღიარებებს და გარკვეულწილად, კიდევ ემთხვევა რეალობას, მაგრამ აქედან გამომდინარე მოტივაციის ახსნის დასკვნების გამოტანისა და მთელი რიგი საკითხების შეფასების დროს იგი მიზნობრივად სცოდავს. მ.კახიანი წერს, რომ თითქოს „აჯანყების მთავარი მამოძრავებელი ძალების როლს ასრულებდნენ – თავადაზნაურობა, ოფიცრობა, ვაჭრები, მღვდლები, სისხლის სამართლის დამნაშავეები და ბანდიტები“. ამდენად ისე გამოჰყავს თითქოს აჯანყება მხოლოდ მათი მოქმედების შედეგი იყო. საქართველოს აჯანყების გამოცდილებამ კი ნათლად დაგვანახა, რომ მ.კახიანის მიერ აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალად გამოცხადებულთა წარმომადგენლები მართლაც იღებდნენ აჯანყებაში მონაწილეობას და ზოგჯერ ადგილობრივ ხელმძღვანელებადაც, მაგრამ აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა საქართველოს გლეხობა, რომელიც მასობრივად მონაწილეობდა ხელისუფლების დამსობის მიზნით წარმოებულ ბრძოლებში.

მ.კახიანი გლეხური გამოსვლების მასობრიობას აღიარებს მხოლოდ გურიაში¹⁵. ჩვენ კი ვიცით, რომ სამეგრელოში მოძრაობა იყო კიდევ უფრო მასობრივი და კიდევ უფრო ორგანიზებული¹⁶. ამის გარდა, ინტელიგენცია, მათ შორის ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიების წარმომადგენლები. ისინი ასრულებდნენ აჯანყების სუბიექტური ფაქტორის, ანუ ხელმძღვანელის როლს. კახიანი გარკვეულად მართალია, როცა წერს, რომ აჯანყება გამოიწვია „აქაური კონტრრევოლუციის (მასებისა და ხელმძღვანელობის – გ.ც.) შეურიგებლობამ“ ხელისუფლებასთან; ანუ მათმა ექსტერემისტულმა მისწრაფებებმა. მართლაც „ეჭვგარეშე იყო, რომ ადრე თუ გვიან საქართველოში შეიარაღებული გამოსვლა უნდა მომხდარიყო“.

მაგრამ მ.კახიანი ჩქმალავს აჯანყების ნამდვილ ეროვნულ, სოციალურ – პოლიტიკურ საფუძვლებსა და მის გამომწვევ ჭეშმარიტ მიზეზებს.

ბ.ლომინაძე და მ.კახიანი ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოს ჩეკა „ბრწყინვალედ მუშაობდა“, მ.კახიანი აღიარებს, „ქართულმა ჯარებმა დაამსხვრიესო ქართული კონტრრევოლუცია“, „კავკასიის (რუსული – გ.ც.) არმიის ნაწილები იბრძოდნენ კარგად“, თავადაზნაურობის მიმართ განხორციელდა „პლებუური დარბევა“¹⁷, მაგრამ ისინი ისე, როგორც საერთოდ ბოლშევიკური ელიტა, გაურბიან არამარტო აჯანყების ჭეშმარიტი მიზეზების ზუსტ ასხნა-გაშუქებას, არამედ მსხვერპლის კონკრეტული რაოდენობის დასახელებას: კომპარტიისა და მთავრობის ლიდერები გულმოდგინედ მაღავენ, რომ მათი დირექტივებით საქართველოს ჩეკა, აჯანყების დღეებში და დამკომის წევრების მიმართ აჯანყებულებისადმი პატიების დაპირების შემდეგაც, ატარებდა მასობრივ დახვრეტებს, ხოლო ხელისუფლება კი, თავადაზნაურების წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში აქეზებდა ეგზალტირებულ გლეხობის თავაშეებულობასა და დარბევებს.

მ.კახიანი, ისე როგორც მისი თანამოაზრეები, არ ერიდება ტყუილების გამოქვეყნებას, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ იგი ისე როგორც საერთოდ კომუნისტური ხელისუფლება, ვერც ბოლომდე მაღავს მასობრივი რეპრესიების არსებობას, რომელსაც ასაღებს, როგორც ხელისუფლების იძულებით ღონისძიებას. ეს ამონარიდები მოყვანილია მისი იმდროინდელი გამონათქვამებიდან, როცა უკვე შეუძლებელი გახდა აჯანყების სოციალური შემადგენლობის დამალვა. უფრო ადრე, 1924 წლის 8 სექტემბერს თბილისის არსენალის რაიონში თავისი პირველი გამოსვლის დროს კი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ეს მდივანი, უსირცხვილოდ სვამდა რიტორიკულ კითხვას - „ვინ გამოვიდა?“ და ასევე პასუხობდა: „არ ყოფილა არცერთი მუშა, არცერთი გლეხი“¹⁸. ჩვენ კი, საარქივო უნიკალური დოკუმენტების ბაზაზე სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობას ვხედავთ და სათანადო წყაროებით ვრწმუნდებით, რომ აჯანყება გარდაუვალი იყო, რადგან 1922-1923 და შემდგომ წლებში საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და მშენებლობა, რეპრესიების გარეშე, შეუძლებელი იყო, იგი ხელისუფლებას აწყობდა და ამიტომ მის მიერ იყო პროვოცირებული. მართალია მათ მიერ ეროვნული საკითხის ძალადობის გზით მოგვარებით გამჟღავნებას ტაბუ აქვს დადებული, მაგრამ მაინც ჩანს სიმართლის შემეცნების საფუძველი.

ლენინის მოძღვრება ახალი, მრავალეროვანი ბოლშევიკური სახელმწიფოს „მშენებლობის მთავარ პრინციპად სახავდა ცენტრალიზებული, ანუ ბოლშევიკურ იმპერიულ პროლეტარულ სახელმწიფოს. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი რჩებოდა

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განხორციელების თეორიული გააზრების შესაძლებლობაც. სტალინი შესაბამისად საჭიროდ მიიჩნევდა საერთო პროლეტარულ ინტერესებს დამორჩილებული ეროვნული ავტონომიების ფედერაციის მშენებლობას. მაგრამ რეალური ისტორიული პროცესის პირობებში ისე მოხდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიის განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობა ნამდვილი დამოუკიდებლობის დაპირებით განიმსჭვალა. ეს მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა პროლეტარული სახელმწიფოს უნიტარული მშენებლობის თვით ლენინური იდეის არსს. ამიტომ სტალინი 1922 წლის 22 სექტემბრის წერილში ლენინის მიმართ წერდა: „ჩვენ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როდესაც ურთიერთობის არსებული წესრიგი ცენტრსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის... აუტანელი ხდება, იწვევს კომფლიქტებს (დამპირებლებსა და მოტყუებულებს შორის – გ.ც.)...“

ორში ერთი: ან ნამდვილი დამოუკიდებლობა და მაშინ ცენტრის ჩაურევლობა... (ამ შემთხვევაში გამოირიცხებოდა საქართველოზე სტალინის ავტორიტეტული ზემოქმედების გავლენა – გ.ც.), ან საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი (ანუ რსფსრ სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სრულიად რუსეთის ცაკ-ის გადაწყვეტილებების მიმართ სავალდებულო მორჩილებაში მყოფი – გ.ც.) გაერთიანება...

სტალინი წერდა: „სამოქალაქო ომის ოთხი წლის მანძილზე, როცა ინტერვენციის გამო იძულებული ვიყავით გვეჩვენებინა მოსკოვის ლიბერალიზმი, ეროვნულ საკითხში, მოვასწარით ჩვენი ნების წინააღმდეგ, კომუნისტებს შორის აღგვეზარდა ნამდვილი და თანმიმდევარი სოციალ დამოუკიდებლები (საქართველოში „უკლონისტები“ - გ.ც.), რომლებიც მოითხოვდნენ ნამდვილ დამოუკიდებლობას ყველა აზრით და რკპ(ბ) ცკ-ის ჩარევა მოსკოვის მხრივ მოტყუებად და პირფერობად მიაჩნდათ... ახალგაზრდა თაობა განაპირა მხარეებში (მ.შ.საქართველოში – გ.ც.) უარს ამბობს დამოუკიდებლობანას თამაში გაიგონ როგორც თამაში... შეუპოვრად მოითხოვს ჩვენგან... განვახორციელოთ დამოუკიდებელი რესპუბლიკების კონსტიტუციები. თუ ჩვენ ახლავე არ შევუდგებით ცენტრისა და განაპირა მხარეებს შორის ურთიერთობის ფორმა შეუსაბამოთ ფაქტიურ ურთიერთობას... მაშინ ერთი წლის შემდეგ შეუდარებლად ძნელი იქნება დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკების ფაქტიური ერთიანობა...“ მაშასადამე, სტალინმა ლენინი დაარწმუნა, რომ ეროვნული საკითხის დროულ მოგვარებას საქართველოში, გარდაუვლად ესაჭიროებოდა რადიკალური ღონისძიებები და თუნდაც პატარა სამოქალაქო ომი დამოუკიდებლობის მოსურნეებთან. სინამდვილეში ასეც მოხდა, სტალინმა ამ აზრით ფაქტობრივად

დაიმთანხმა ლენინი, შემდეგ კი დაიმორჩილა საქართველო, რასაც აჯანყების წაბიძგება და ჩახშობა დასჭირდა.

მაშასადამე, საქართველოში სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელებული ბოლშევიკურ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის რეალიზაციის აუცილებლობამ გამოიწვია „დამოუკიდებლობის თამაში“ მოგვარებულიყო რეპრესიების გზით, ანუ გაგებულიყო, როგორც ბოლშევიკური იმპერიული პოლიტიკით ნაკარნახევი თამაში. ამ მიზნის განხორციელებისთვის სტალინის, ორჯონიკიძის და ჩეკას ორგანოების მიერ გამოყენებული იქნა ქართველი ოპოზიციური უკლონისტური ხელმძღვანელებისა და ანტისაბჭოთა პარტიების, უპირატესად მისი ექსტრემისტული ხელმძღვანელობის შეზღუდული პოლიტიკური გამჭრიახობა. რეალური ისტორია მოწმობს, რომ მან, ლენინის მხარდაჭერით პირველი წარმატებული იერიში მიიტანა ნაციონალ უკლონისტების წინააღმდეგ. მათი განადგურების შემდეგ კი, მთელი ძალით შეუტია ანტისაბჭოთა ოპოზიციური პარტიების ექსტრემისტულ ნაწილებს. 1923 წელი საქართველოში, ოფიციალური ხელისუფლების მხრივ, ორგანიზებული იქნა, როგორც ფაქტობრივად პატარა სამოქალაქო ომის მოსამზადებელი პერიოდი. მაგრამ რა?! საკავშირო და ქართული ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენლობა მხოლოდ იმას აცხადებს, რაც პოლიტიკური მოსაზრებებით აწყობს. ისე გამოყავთ, რომ თითქოს თავისი პოზიციებიდან ყველა მართალია, სინამდვილეში კი, შეუსწავლელი რჩება, რომ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ ოპოზიცია 1924 წლის აჯანყების წამოწყებით, მისთვის სასურველსა და ხელსაყრელ, ანუ კარგად ორგანიზებულ შეტაკებაში ჩაითრია და თავისი საქმე გააკეთა. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიხმო ჩემს მიერ დიდი ხნის წინ გამოქვეყნებული ფაქტი ბერიას ჩეკისტური მმართველობის მოწინააღმდეგეთა მოგონებებიდან, რომელიც აღნიშნული პრობლემის თანამედროვე შესწავლილობის დროს გვაძლევს კიდევ უფრო გასაგები, ნათელი მაგალითების მოტანისა და აღქმის შესაძლებლობას.

როგორც ადრე ვწერდი, გასული საუკუნის 90-იან წლებში როცა ქვეყნდებოდა ჩემი პუბლიკაციების სერია - „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“ - გამოქვეყნდა 1932 წელს ბერიას ჩეკისტური მმართველობის საწინააღმდეგო შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, დახვრეტას ბედად გადარჩენილი, იმდროინდელი თბილისის კომიტეტის ახალგაზრდა თანამშრომელი, საქართველო პოლიტტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი ბატონი ალექსანდრე (საშა) პაპავა, რომელმაც მომითხრო: „1936 წელს მოსკოვში მომიხდა სამკურნალოდ ჩასვლა. იქ შემხვდა ადრე ბერიას საწინააღმდეგო ჩვენი საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ამ დროს უკვე მოსკოვში გადაყვანილი, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი მდივანი, მამია ორახელაშვილი, რომელმაც სხვა

საინტერესო ამბებთან ერთად მომითხრო: 1924 წლის აჯანყების მზადების წინა ხანებში მე, ს.ორჯონიკიძესა და საქართველოს ჩეკას უფროსს, ეპიფანე კვანტალიანს მოუხდა ჩრდილო კავკასიაში დასასვენებლად მყოფი სტალინის მონახულება. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლევებზე საუბრის დროს ე.კვანტალიანმა სტალინს გაუმხილა: კარგად ვიცით „პარიტეტული კომიტეტის“ ადგილსამყოფელი, შეგვიძლია დავაპატიმროთ და მათ მიერ ნავარაუდები აჯანყებაც გამოირიცხებაო. ამის გამო სტალინმა უპასუხა: „საქართველოს არ განუცდია სამოქალაქო ომი, ახლა კი, საჭიროა ვადინოთ სისხლი“. ბატონმა ალექსანდრემ დასძინა: „სტალინს მხედველობაში უთუოდ ოპოზიციური ხელმძღვანელობა ეყოლებოდაო“.

მართლაც არსებობს უამრავი სანდო ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ სტალინმა და ხელისუფლებამ კარგად იცოდა, როგორც საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების მზადების, ასე პარიტეტული კომიტეტის ადგილსამყოფელის შესახებ და ამდენად, არც მათი დაპატიმრება გაუჭირდებოდა და არც აჯანყების წინასწარ გამორიცხვა, მაგრამ ფაქტები იმასაც გვიდასტურებენ, რომ აჯანყება სტალინს არანაკლებ სჭირდებოდა, ვიდრე ოპოზიციას. ოპოზიციის დროული შემუსვრის გარეშე, სტალინის მიერ საქართველოს ეფექტური მორჩილება დროში უთუოდ გაიწელებოდა და არც ის იყო გამორიცხული, რომ იგი სტალინისა და საბჭოთა ქვეყნისთვის ნაკლებ ხელსაყრელ ვითარებაში მომხდარიყო. ამაშია ხელისუფლების მხრივ 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების საიდუმლოება. ჩემს მიერ გამოქმულ აზრთან დაკავშირებით უადრესად საყურადღებოა თუნდაც 1924 წლის აჯანყებისა და საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ცნობილი მკვლევარის, ალექსანდრე დაუშვილის მიერ გამოქვეყნებული ასეთი, დამატებითი სანიმუშო წყარო: იგი გვამცნობს, რომ „ვ.ი.ლენინის გარდაცვალების შემდეგ დაისვა საკითხი მისი პოლიტიკური მემკვიდრის შესახებ. პარტიული ბიუროკრატის წინაშე დადგა საკითხი, თუ ვის გვერდით დადგებოდნენ ისინი ამ ბრძოლაში...“

კრემლში მიმდინარე ვნებათაღელვა საქართველოშიც აღწევდა. იმუამად რეალური სიტუაცია ასე იყო: ერთი მხრივ არსებობდა „ტრიუმფირატი“ გ.ზინოვიევი, ლ.კამენევი, ი.სტალინი და მეორე მხარეს ლ.ტროცკი. ვის მხარეზე დადგებოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (მითუმეტეს სტალინის მომავლისთვის – გ.ც.).

თბილისის პარტიულ ელიტაში შექმნილი ვითარება კარგად ჩანს ერთ პარტიულ დოკუმენტში, რომელიც თარიღდება 1924 წლის 28 იანვრით... ეს არის საქ. კპ(ბ) ცკ. ბიუროს სხდომის ანგარიში. სხდომას ესწრებოდნენ მ.ტოროშელიძე, ფ.მახარაძე, ლ.დუმბაძე, ს.თორდია, პ.ცინცაძე, მ.ბეღია და სხვები(მათი მნიშვნელოვანი

ნაწილი ანტისტალინური და „უკლონისტური“ განწყობილებისა იყო – გ.ც.). მათ განიხილეს მოსკოვიდან მიღებული წერილი. საკითხი ეხებოდა ვ.ი.ლენინის პოლიტიკური მემკვიდრის შერჩევას, ვის უნდა ეხელმძღვანელა პარტიისთვის ტრიუმვირატს (გ.ზინოვიევი, ლ.კამენევი, ი.სტალინი), თუ ძალაუფლება ხელში უნდა აეღო ლ.ტროცკის.

ამ საკითხზე აზრთა ერთიანობა არ იყო. ფ.მახარაძე ამტკიცებდა, რომ ლენინი უნდა შეეცვალათ მის უახლოეს მოსწავლეებს და არა ტროცკის. მისი აზრით... პარტიაში უნდა შექმნილიყო ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელშიც შევიდოდა ტროცკიც“.

საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა უმრავლესობამ. მ.ტოროშელიძემ, მ.ბედიამ და სხვებმა განავითარეს ის აზრი, რომ ვ.ი.ლენინი უნდა შეეცვალა ლ.ტროცკის. ამ აზრმა გაიმარჯვა და კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ბიურო იწონებს მოსკოვის ბიუროს გადაწყვეტილებას ლ.ტროცკის კანდიდატურის შესახებ, რომ მომავალში მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს ლ.ტროცკის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რასაც უნდა მიეცეს კამპანიური ხასიათი. ამის შემდეგ წამოყენებული იქნას მისი კანდიდატურა. ბიურო თვლიდა, რომ აუცილებელია ლ.ტროცკის გამოსვლა თეორიული წერილით და ა.შ.²⁰.

მოხმობილი ტექსტი, ჩემი აზრით, ოქროზე ძვირფასია. იგი დამატებითი და ნათლად მოწმობს, რომ თუ არა საქართველოს ოკუპაციის, ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაბმული და 1924 წლის აჯანყების მონაწილე ქართველების დაღვრილი სისხლით მოხვეჭილი ავტორიტეტი, სტალინის მიერ ლენინის ჩანაცვლებას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა. ისიც გასაგებია, რომ სტალინის მიმართ უნდობლობით გამომჟღავნებულებიდან თითქმის ვერცერთმა ვერ გადალახა 1937 წლის დიდი ტერორის ზღვარი. მაშასადამე, 1924 წლის აჯანყების დროს დაღვრილმა ქართულმა სისხლმა ფაქტობრივად უზრუნველყო სტალინით ლენინის ჩანაცვლება.

§2. აჯანყების მიზანშეწონილობა მენშევიკი ლიდერების გაგებით

როგორც უკვე ვთქვი ანტისაბჭოთა ბრძოლის პატრიარქი ნლე ჟორდანია, 1924 წლის აჯანყების მეცნიერულ შეფასებას მომავლის ისტორიკოსთა საქმედ აცხადებდა. ნ. ჟორდანია 1921 წელს, მას შემდეგ, რაც შემოიარა ევროპის ქვეყნები, გულგატეხილი იწერებოდა: „საქართველოს ბედი არავის აინტერესებს“. მისი ხელმძღვანელი მონაწილეობით შემდგარი აჯანყების შემდეგ კი, როცა საბჭოთა ქვეყნისა და ბოლშევიზმის მდგომარეობა კიდევ უფრო გამყარდა 1925 წელს, თავის ბროშურაში „რა მოხდა?“ იგი ამართლებს პარიტეტული კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს. იგი აქ წერს: „28 აგვისტომ საჯაროდ დასვა საქართველოს საკითხი და მიიღო საკაცობრიო კურთხევა“, ხოლო 1926 წელს სადირექტივო წერილში საქართველოს სოციალ-დემოკრატიისადმი, აცხადებს: „აჯანყება გამართლდა პოლიტიკურად და ისტორიულად და მისი დადებითი მხარეები თანდათან აშკარა ხდება“ - „საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაიქცა საერთაშორისო რეზონანსის მქონე პრობლემად და აამაღლა ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით“¹. ეს შეფასება, მიზნობრივად გაზვიადებულია. სინამდვილეში 1924 წლის აჯანყებამ მართლაც გამოიწვია საერთაშორისო ანტისაბჭოთა ძალთა დაინტერესება და თანაგრძნობა, მაგრამ ამას, როგორც მოსალოდნელიც იყო, ქართველი ხალხისთვის არსებითი მნიშვნელობის შედეგი არ მოუტანია.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ემიგრაციაში ამის დამადასტურებელი არაერთი მსგავსი და საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა. ამის საწინააღმდეგოდ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან სპეციალისტ ისტორიკოსები ნესტან კირთაძე, ოთარ ჯანელიძე, ალექსანდრე დაუშვილი და სხვები.

ნლე რამიშვილი, მთავრობის 1924 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობს: „არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბები სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მაგრამ... ამჟამად ამას არ მოველოდით (? - გ.ც.). მაგრამ მრავალი მუშაკების დაჭერის შემდეგ, იმ გეგმის მიხედვით, რომლის გარეშე ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნდა გამოსვლა, ამჟამად არ იყო მოსალოდნელი. რა მოხდა, რამ დააჩქარა არ ვიცით... ერთი ცხადია, რომ გამოსვლას ნამდვილი ხალხოსნური ხასიათი აქვს... ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რაც შეიძლება საუკეთესოდ და ნაკლები მსხვერპლით დათავებისათვის“. იგი აჯანყებას ამართლებს და თავსაც იმართლებს, დამატებით აცხადებს: „ჩვენ არაერთხელ მიგვიწერია, სპეციალურად ჩამოსული კაციც იყო პარიტეტული კომიტეტის (ვასო ნოდია - გ.ც.) და მასაც გავაცანით მდგომარეობა - რომ შესაძლებელი იქნებოდა ყურადღების ჩვენდამი მიპყრობა მხოლოდ

თუ ამიერკავკასია იქნებოდა განთავისუფლებული. ამიტომ იყო ჩვენი შეხედულება, რომ საქართველოს მასშტაბით – მხოლოდ გამოსვლა ყოველად დაუშვებელი იქნებოდა ყოველმხრივ¹. მაშასადამე, ნ.რამიშვილს ისე გამოჰყავს, თითქოს ვნოდის ვერ ჩაუტანია ზუსტი ამბავი. მას ვერ გაუგია თუნდაც ნ.ჟორდანიას ეს აზრი, რომელიც შემდეგ აისახა მის ე.წ. „სადირექტივო წერილში“. არა და, ნ.რამიშვილს ისე გამოჰყავს, რომ ცხადყოფს – თავადაც ყოფილა ნ.ჟორდანიას ამ წერილის მთავარი აზრის თანაავტორი.

ნ.რამიშვილი იმეორებს: „მხოლოდ დაპირება კი გვექონდა, რომ თუ ძალაუფლებას ხელში ჩავიგდებდით – გვექნებოდა დახმარება“. მან აჯანყების გამო მთელი პასუხისმგებლობა დამკომს დააკისრა - „ამ საკითხს წყვეტდა პარიტეტული კომიტეტი, ადგილობრივი პირობების და მომენტის შეფასება მათი საქმე იყო“, მაგრამ ისიც დასძინა: „პასუხისგებას ჩვენ მათთან მაინც ვიზიარებთ“². ადვილი სათქმელია – პასუხისგებას ვიზიარებთ, როცა მოისპო ათასობით მგზნებარე მამულიშვილი და როცა გაუბედურდა მათი ათიათასობით შთამომავალი.

ჩემი აზრით, ასევე მიუღებელია ანტისაბჭოთა მოძრაობისა და 1921-1922 წლების ბრძოლების აქტიური მონაწილის, ცნობილი ეროვნულ დემოკრატის დავით ვაჩნაძის აზრი. იგი წერს: „მართალია 1921-1924 წლების აჯანყებათა მარცხის შედეგნი უდიდეს საფასურად დაუჯდა ქართველ ერს, მაგრამ მან ქართულ მომდევნო თაობებს დაუტოვა მრავალ ქართველ მამულიშვილთა თავგანწირვის სამაგალითო ფურცლები, რომელმაც დაჰფარეს (? – გ.ც.) აჯანყებათა მარცხის (მ.შ. 1924 წლის ამბოხების, ამ დიდი კატასტროფის – დ.ვაჩნაძე) მიზეზთა შინაური შავი მხარენი“³.

ყვენი გეგტკორი მოგონებაში ლოდ ჯორჯთან თავისი საუბრის და მის მიერ დასმული კითხვის შესახებ, „რატომ არ დაეხმარნენ საქართველოს?“ უკანასკნელის მიერ გამოთქმულ ასეთ პასუხს იძლევა: „თუ ჩვენ საქართველოს მივცემდით თუნდაც ორ პოლკს და ჩავებმებოდით ახალ ომში, ევროპაში აუცილებლად იფეთქებდა რევოლუცია“⁴. მართლაც ევროპის ქვეყნების მშრომელი მასები სისტემატურად ავლენდნენ იმპერიალისტური ომით გამწვავებული უკიდურესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით შექმნილ აღშფოთებას და რუსეთის „პროლეტარული“ რევოლუციით გამოწვეულ აღფრთოვანებას. აღნიშნულ მიზეზთა გამო, როგორც ისტორიის წყაროები მოწმობენ, ამ დროინდელი ევროპა რუსეთის რევოლუციის გავრცელების რეალური შესაძლებლობის საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ევროპულ პროლეტარულ რევოლუციას ვარაუდობდა და ამიტომ საზღვარგარეთულ მმართველ წრეებში საქართველოს პრობლემებისთვის არავის ეცალა და ყველა მხოლოდ იმით იყო დაინტერესებული, რომ საკუთარ ქვეყანაში კრიზისის

დაძლევისათვის ეზრუნვა და ამ მიზნით რუსეთის უსაზღვრო ეკონომიკური ბაზარი მოეპოვებინა. ამავე დროს, ზოგი იმას ცდილობდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს აჯანყების წაქეზებით თავისი მტრის, საბჭოთა რუსეთისთვის პრობლემები შეექმნა და თავის ქვეყნის სარგებელი ენახა.

მრავლად არსებობს ნ.ჟორდანიას ნ.რამიშვილი და ზემოთ მოყვანილი მათ თანამებრძოლთა აზრის პრინციპულად საწინააღმდეგო, აჯანყების ზოგ ხელმძღვანელ მონაწილეთა, მათი თანამედროვე ფხიზელ პოლიტიკოსთა, ანუ შ.ამირეჯიბის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ჭკვიანი ქართველები“ და მათ შორის საქართველოში მოღვაწე, ლეგალურ-კომპრომისულად მებრძოლი პატრიოტული ინტელიგენციის (მეცნიერ-პაედაგოგების, მწერლების და სხვ.) შეხედულებები. ანუ ჟორდანია-რამიშვილის აზრის ალტერნატიული მოსაზრებები. მათი ერთი ჯგუფი საგნობრივად არის ასახული ქართული ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების ცნობილი მკვლევარების ნესტან კირთაძის და ოთარ ჯანელიძის 1997 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს საზღვარგარეთული მთავრობის არქივში დაუნჯებული დოკუმენტების შემცველი, ე.წ. ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკრიფირების სახით. ამ პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ: 1924-1925 წლებში საზღვარგარეთ მრავალჯერ გაიმართა ქართული ემიგრანტული მთავრობისა და აჯანყების ლტოლვილ ხელმძღვანელ-მონაწილეთა ერთობლივი, მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობითი დისპუტები, რომლის ოფიციალურ მიზანდასახულობას წარმოადგენდა საქართველოში მომხდარი უბედურების მიზეზთა გამორკვევა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მორიგი ამოცანების განსაზღვრა, რომლებიც ფაქტობრივად „უმომენტო“ აჯანყების მომწყობთა სასამართლოს მსგავს სამსჯავროდ წარმოჩნდა.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელთა და აჯანყების ადგილობრივი ხელმძღვანელი წარმომადგენლობის პირველი, 1924 წლის 7 სექტემბრის სხდომის დროს გამოთქმული აზრები: ნ.ჟორდანია გულთბილად მიესალმა აჯანყების ხელმძღვანელ-მონაწილეებს. ამის შემდეგ კითხვა-პასუხის სახით გაიმართა ადგილობრივებისა და ჩამოსული ხელმძღვანელი მემბოხეების კითხვა-პასუხის შემცველი საუბარი, რომელიც ფაქტობრივად მწვავე პაექრობას წარმოადგენდა, რადგან აქ აჯანყების ხელმძღვანელებმა გამოხატეს თავიანთი პრინციპული პოზიცია და არ დამალეს აგრეთვე შედეგებით გამოწვეული უკმაყოფილება.

აჯანყების მთავარსარდალმა, სპ.ჭავჭავაძემ აღიარა: „მე რეალურ ძალას გარდა ჩოლოყაშვილის ვერ ვხედავდი“, „როცა საკითხი პრაქტიკულად დადგა გამოსვლის შესახებ მე მოვთხოვე პარიტეტულ კომიტეტს კონკრეტულად დასახელება თუ რისი იმედი

ჰქონდათ. მათ მითხრეს ინგლისი გვპირდება დიპლომატიურ ჩარევას რომ ვერცერთი რუსი ჯარისკაცი ჩვენში ვერ გამოიგზავნოსო; საფრანგეთიდან მივიღებთ ფულს და იარაღსო, პოლონეთიდან და რუმინეთიდან იქნება საზღვრებზე ჯარის დემონსტრაციაო. ოსმალეთი დაიჭერს ნეიტრალიტეტსო და სხვა.“, „ჯუღელის ჩავარდნის შემდეგ საბჭოთა საწინააღმდეგო მზადებამ იმატა... გამოსვლა (გადაწყდა – გ.ც.) 19 აგვისტოს, მაგრამ აჯანყების გეგმა ჩავარდნილი იყო (! – გ.ც.), ჯარები ტფილისში დააგროვეს და ჩვენი გეგმაც, რომ ტფილისი ჩაგვეგდო წინათ ხელში, დაიშალა.

შემდეგ შემუშავდა მეორენაირი გეგმა: (აჯანყება პერიფერიებში, მანგლისის და ვაზიანის აღება და მერე თბილისზე შემოტევა მის ასაღებად, ბრძოლის მოგების შედეგად ქაქუცას და ი.ცაგურიას მხარეზე გადმოსული გარნიზონებისა და მათი სამხედრო ტექნიკური შეიარაღების გამოყენებით – გ.ც.) პროვინციიდან უნდა დაწყებულიყო... ძალიან ზიანი მოგვიტანა პირველი გეგმის ჩაშლამ. დახმარება რომ გვქონოდა, ჩვენ გავიმარჯვებდით“⁵.

აკაკი ჩხენკელი მთავრობის 1924 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე აღიარებს აჯანყების ღირსებასა და მნიშვნელობას. იგი აცხადებს: „ადრე ამბობდნენ თითქოს ქართველი ხალხი შეეგუა და შეურიგდა მდგომარეობას და გვეუბნებოდნენ, თქვენ არ ხართ მისი სულისკვეთების გამომხატველნიო. მაგრამ ახლა საქართველომ ყველას აჩვენა, რომ ის ოკუპაციას და დამოუკიდებლობის დაკარგვას არ შეურიგდება“. მაგრამ ამასთანავე, იგი არა ორაზროვნად და პრინციპულად ემიჯნება ნ.ჟორდანიას და ნ.რამიშვილის მიერ მთავარი პასუხისმგებლობის საქართველოში მოქმედ ლიდერებზე დაკისრებას. აკ.ჩხენკელი აცხადებს: კოტე ანდრონიკაშვილს „რომ აქედან რჩევა მისვლოდა არ გამოხვიდეთ იგი „ყოველის ძალით შეებრძოლებოდა საბედისწერო ნაბიჯებს“.

აკ.ჩხენკელი აღიარებს, რომ ქართველი ხალხი „ვერც განთავისუფლდება... იარაღის აუღებლად“, იგი აცხადებს: „... იმის გამოსახატავად რაც ჩვენში მოხდა (ანუ საერთოდ მასობრივი აჯანყების შესაფასებლად და დასაფასებლად – გ.ც.), სიტყვა ავანტიურა არ არის შესაფერისი. დიდ მოვლენას (ანუ აპოთეოზს – გ.ც.), რომელშიც მასებია ჩაბმული, ასეთი სახელი არ დაერქმევა“. ეს აზრი ა.წ. 14 დეკემბრის სხდომაზე ემიგრანტმა ორაგველაძემაც გაიმეორა: „ახლა საქმე დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ამ დიდი მოძრაობის (და არა მათი ბელადის – გ.ც.) ავანტიურად მონათვლა არ შეიძლება“. მაგრამ ამავე დროს აკაკი ჩხენკელი აჯანყების ბელადებს ასწავლის, რომ: „საჭიროა ანგარიში, რა ძალები გაქვსთ და რა შედეგებს მიაღწევ... სულ სხვა კითხვაა: ღირდა თუ არა ყველა ამისათვის ამდენი სისხლის დაქცევა, ამდენი მსხვერპლი“. ამ კითხვის პასუხად იგი დასძენს: „პატარა ერმა რისკი არასდროს არ უნდა გასწიოს და ეს მით უფრო ნაკლებ მაშინ, როცა საქმე გაქვს

ისეთ საშინელ და ბარბაროს მტერთან, როგორცაა რუსეთის ბოლშევიზმი, რომელიც მზადაა ფიზიკურად გაგველიტოს“⁸. მაშასადამე, აკჩხენკელი ნათლად აფიქსირებს, რომ მისი აზრით აჯანყება მონაწილე მასების მხრივ გამოვლენილი გმირობა იყო, მაგრამ მათი უზენაესი ხელმძღვანელების მხრივ კი, შეცდომა იყო. ამასთანავე იგი აჯანყების ორგანიზება-წამოწყების საკითხში ადანაშაულებს მის საზღვარგარეთის მათორგანიზებულ ცენტრს, ანუ „ორგანოს“. იგი აცხადებს: „ერი დამარცხდა და სხვაგვარ არ შეიძლებოდა, ეს უნდა სცოდნოდა ჩვენს საზღვარგარეთელ ორგანოს. მას უნდა მიეღო ზომა, რომ გამოსვლა არ მომხდარიყო. მას უნდა სცოდნოდა, რომ კავკასიის მასშტაბით არ მოხდებოდა გამოსვლა, არც უცხოეთიდან იქნებოდა დახმარება. მაშ ის უნდა ჩარეულიყო და ეთქვა დამკომისთვის შეჩერდით. ქართველი ერი და მისი ხელმძღვანელები შეჩერდნებოდნენ, ეს ჩემთვის უეჭველია...“⁹. მისი ეს ნათქვამი ამავე წლის 14 დეკემბრის სხდომაზე დასტურდება დამკომის წევრთა 1925 წლის სასამართლოზე სეთ დევდარიანის მიმართ ბრალდების მხრივ დასმული კითხვის პასუხითაც.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, 1924 წლის მიწურულისა და 1925 წლის დასაწყისის საზღვარგარეთული მთავრობის სხდომაზე ხდებოდა მენშევიკური პარტიის აჯანყების შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრა, რომლის დროსაც თავი იჩინა 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების ტაქტიკის შემდგომი ანალიზის აუცილებლობამ. გამოთქმული აზრებიდან უაღრესად საყურადღებოა 1924 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე გაცხადებული ევგენი გეგეჭკორის აზრი. მის მიხედვით: „აჯანყება დამარცხდა იმიტომ, რომ დრო და პირობები ამისათვის არ იყო შერჩეული და ხელსაყრელი“.

ირაკლი (კაკი) წერეთელიმა 1924 აჯანყების გაგების საკითხში საკუთარი ანალიზით მოპოვებული დასკვნები ვრცლად ჩამოაყალიბა მენშევიკებისა და მთავრობის წევრთა 1925 წლის 3 მაისის სხდომაზე, რომელსაც 67 კაცი ესწრებოდა. იგი თავიდანვე მკაფიოდ გაემიჯნა იმ აზრის მომხრეებს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ აჯანყების სახით მხოლოდ უარყოფით გამოვლინებას ჰქონდა ადგილი და რომლებიც „ამბობენ მოხდა სამარცხვინო ამბავი“, მაგრამ იგი ამასთანავე იმასაც ამბობს „აჯანყებულები დაგმობთ არავის უთქვამს. ჩვენ ყველა ვამბობთ დაღვარა კეთილშობილი სისხლი, კეთილშობილი საქმისთვის...“¹⁰.

ი.წერეთელი გასაგებად აცხადებს: „ჩვენ დავაყენეთ არა აჯანყებულთა დაგმობის საკითხი, არამედ საკითხი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ტაქტიკის დაფასებისა“, ანუ ამასთანავე შეფასებისა. მაშასადამე, იგი შეეხო აჯანყების ხელმძღვანელობის ქმედებათა შეფასების საკითხსაც. ამ მხრივ ჩამოაყალიბებული მისი აზრი უაღრესად საყურადღებოა ჩემი ადრინდელი მსგავსი აზრისა და მის შესახებ გამოთქმული ჩვენი კოლეგების საწინააღმდეგო

ნაჩქარევი დასკვნების გაგებისთვისაც. ამიტომ მიმაჩნია, რომ საჭიროა მისი არამარტო ციტირება, არამედ გარკვეული ანალიტიკური გააზრებაც და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბებაც.

როგორც ცნობილია, საქართველოს უახლესი ისტორიისა და 1924 წლის აჯანყების ისტორიის მკვლევართა შორის პირველად, ჯერ კიდევ 1990 წლის მარტ-აპრილში გამოქვეყნებულ, ჩემს პუბლიკაციების სერიებში, ჩემთვის ცნობილი წყაროებისა და ფაქტების საფუძველზე გამოვთქვი, იმდროისთვის ახალი სარისკოდ გასაგები აზრი იმის შესახებ, რომ: 1924 წლის აჯანყებაში იყო „ავანტიურისტული ნაკადიც“; ეს აჯანყება ერთი მხრივ სტალინისა და ხელისუფლების მხრივ იყო პროვოცირებული, ხოლო მეორე მხრივ აჯანყების უზენაეს ხელმძღვანელთა მიერ. ამის გამო ამ ხელმძღვანელობამ, გმირული თავგანწირვასთან ერთად გამოავლინა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ქმედება, რაც დიდი ეროვნული ტრაგედიის მომასწავლებელი შეცდომა აღმოჩნდა. ამ დროს აკ.ჩხენკელის, ი.წერეთლისა და თანამოაზრეთა ამ საკითხზე არსებული მოსაზრებები ჩემთვის და საქართველოს 1924 წლის აჯანყების მკვლევართათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ამიტომ ჩემი განცხადებები ზოგმა იმდროინდელმა ავტორიტეტმა ცუდად, ანტიროვნულ გაგებად შემიფასა. ამის გამო ჩემი აზრი, მოცემული პრობლემის შესახებ, ყველა ჩემს შემდგომ შესაბამის პუბლიკაციებში კი არ უარყავი, არამედ გავაღრმავე და გამოწლილვით დავასაბუთე, მაგრამ ზოგმა იგი მაინც ვერ გაიგო. ზოგი მათგანის პოზიცია არც ჩემი აზრის, სოლიდარულ, ნ.კირთაძისა და ო.ჯანელიძის პუბლიკაციებში ასახული ფაქტების წარმოჩენის შემდეგ შეიცვალა. არა და ნ.კირთაძის პუბლიკაციიდან გასაგები გახდა, რომ ბრძენი პოლიტიკოსი, ი.წერეთელი, ანვითარებს ასეთ აზრს: „ჩვენ რომ თვითვითებული ხელმძღვანელის ქცევის გასამართლებაც მოგვეთხოვა, ეს არ იქნებოდა აჯანყებულთა საქმის შეურაწყოფა... აჯანყების კეთილშობილი მიზანი არ ანთავისუფლებს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს (და მითუმეტეს პიროვნებებს – გ.ც.) იმის პასუხისმგებლობასგან, თუ რამდენად სწორი იყო მათი ტაქტიკა, მათი ხელმძღვანელობა“.

ი.წერეთელმა დასვა კითხვა - „ვინ იყო მომხრე ბრძოლის ამ მეთოდის, ამ ტაქტიკის არსებულ პირობებში?“ და განმარტა - „ამ კითხვაზე უნდა მიეგო პასუხი ჟორდანიას, რაკი ის პირად პასუხისმგებლობას შეეხო“. იგი ნ.ჟორდანიას მიერ თავისი ზოგადად ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით საჭიროდ მიიჩნევს გარკვეული იქნას „მეორეგვარი პასუხისმგებლობა, რომელიც ერთ ნაწილს პარტიის წევრებისას (კერძოდ აჯანყების ავანტიურისტ-ექსტრემისტი ორგანიზატორი ლიდერებისას – გ.ც.) დააწვეს შეიძლება გაცილებით უფრო, ვიდრე დანარჩენს“ - ანუ ვიდრე

ხელმძღვანელ-შემსრულებელს, ანუ რეგიონალურ და ადგილობრივ ხელმძღვანელობას.

ი.წერეთელი მიიჩნევს, რომ ზოგადი პასუხისმგებლობის აღების გამოცხადებით „ტაქტიკის გამართლება არ შეიძლება, არ უნდა აურიოთ... ამ ტაქტიკამ ჩვენ ხალხს დამარცხება მოუმზადა“. იგი აცხადებს: „თუ ჩვეულებრივად მილიტარისტულ დესპოტიასთან ბრძოლაში შეიარაღებული აჯანყების ტექნიკური მზადება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ასეთი ტაქტიკა მით უფრო საბედისწეროა ქართველი ხალხისთვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, როდესაც მის წინააღმდეგ სრულიად რუსეთზე გაბატონებული მილიტარისტული დესპოტია დგას. რაც უფრო ფართოდ მოეწყობა მასში სამხედრო ორგანიზაციები, მით უფრო ადვილად, გახდება ისინი, ჩვეის აპარატის მსხვერპლად, ხოლო თუ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა, ეს ხალხს უეჭველად ამარცხებს და აუარებელ მსხვერპლს უქადის“.

მენშევიკური პარტიის ამ უადრესად მაღალავტორიტეტულმა ანალიტიკოსმა ლიდერმა, ირაკლი წერეთელმა, გააკრიტიკა აჯანყების საერთაშორისო შედეგების ნ.ჟორდანიასეული გაზვიადება: „ნ.ჟორდანიამ თავის სიტყვაში გაიმეორა – აჯანყებამ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა წინ წასწიაო. მაგრამ ამის დამდასტურებელი ფაქტი ვერ მოიყვანა და ეს იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ასეთი ფაქტი არ არსებობს“.

ი.წერეთელმა, ისევე როგორც აკ.ჩხენკელმა, აღიარა, რომ იგი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ აჯანყების. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ: „ჩვენდამი ევროპის დემოკრატიის დამოუკიდებლობას, რომელიც გამოავლინეს მათ ეროვნებათა ლიგისა და ინტერნაციონალის რეზოლუციაში, უდიდესი მატერიალური ღირებულება აქვს ჩვენთვის“, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მოწინავე, ანტისაბჭოურად განწყობილი ქვეყნების ლიდერები და წამყვანი პოლიტიკური მოთამაშეები გამორიცხავდნენ აჯანყების გზით საქართველოს გამარჯვებასა და განთავისუფლების შესაძლებლობას. მან დაადასტურა, რომ: დე ბრიუკერის აზრით „რუსეთთან კონფლიქტი არც ერთ სახელმწიფოს შესაძლებლობად არ მიაჩნდა“; ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა პარლამენტში განაცხადა ის, რომ საქართველოს საქმეებს ჩვენ, რუსეთის შინაგან საქმედ ვთვლითო; საფრანგეთში უკვე აჯანყებამდე იყო შემუშავებული და მიღებული ჰერიოსგან ის ფორმულა, რომლითაც საქართველოს იურიდიული უფლებები დაცულია – აქაც პრაქტიკულად არაფერი მოხდა. როცა სისხლი იღვრება, ევროპის თანაგრძნობა არის, მაგრამ „მუდამ გვაფრთხილებდნენ... ჩვენ ხალხს ევროპის დახმარებაზე გადაჭარბებული იმედები არ გაუღვიძოთ, რადგან გრძნობდნენ

რამდენად უნიადაგოა და საშიში ჩვენი ხალხისთვის გარედან ხსნის მოლოდინი“.

ი.წერეთელი ფაქტობრივად აჯანყების მთავარ-ორგანიზატორ-ხელმძღვანელთა მოქმედებას აკრიტიკებს, მაგრამ ზოგად გამოცდილებაზე დაფუძნებულ ჭეშმარიტების სახით აცხადებს: „რაც უფრო ძნელია ჩვენი ხალხის მდგომარეობა მით უფრო ადვილად შეიძლება გახდეს ის ილუზიის მსხვერპლად, და ამიტომ ჩვენ (ფხიზელი პოლიტიკოსები – გ.ც.) განსაკუთრებით ვერიდებოდით მისთვის ასეთი ცნობების მიწოდებას, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება“. იგი მენშევიკური პარტიის წევრებს და საერთოდ ანტისაბჭოთა მოძრაობის ფართო წარმომადგენლობას განუმარტავდა, რომ: „ჩვენ განმარტოებული ძალებით ვერ ვძლევეთ რუსეთის დესპოტიას, მისგან თავს ვერ ვიხსნით, თუ კი, ის თვით რუსეთის შინაგანმა ძალებმა არ შეარყია“; „რუსეთის ხალხში თანაგრძნობის ელემენტის მოუპოვებლად, საქართველოს თავისი ცხოვრების მკვიდრ ნიადაგზე მოწყობა არ შეუძლია“; „რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში ევროპის დახმარების მოლოდინი უნიადაგოა...“ რადგან „ევროპის სახელმძღვანოთა საზოგადოებრივი აზრი იმდენად უწყვეს ანგარიშს რუსეთს და იმდენად აფასებს მასთან ურთიერთობას, რომ ევროპის სახელმძღვანოთა მეთაურნი, ისინიც კი, რომლებიც მტრულად ეკიდებიან საბჭოთა რუსეთს და მხარს უჭერენ იურიდიულ ცნობას, საქართველოს გულისათვის არამც თუ ომის გამოცხადებას თვლიან საჭიროდ, არამედ რუსეთთან უბრალო დიპლომატიურ შეჯახებასაც გაურბიან“. იგი იქვე დასძენს: „არ არსებობს არავითარი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მომავალში რამდენადაც ეს მომავალი შეიძლება წარმოვიდგინოთ, მდგომარეობა შეიცვლება“.

„იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უნიადაგო და საშიშა ჩვენი ხალხისთვის გარედან ხსნის მოლოდინი. ჩვენი ბედი დაკავშირებულია რუსეთის შინაურ ვითარებასთან, რომ ჩვენ მარტონი ვერ ვძლევეთ რუსეთის დესპოტიას, მისგან თავს ვერ დავიხსნით, თუ ის თვით რუსეთის შინაგანმა ძალებმა არ შეარყია. მე ვაცხადებ, დაასკენიდა იგი, რომ ჩვენთვის საომარი კომბინაციების ძიების პოლიტიკა მიუღებელია, ჩვენი განთავისუფლების იმედები მსოფლიო დემოკრატიისა და რუსეთის შინაგანი ცვლილებების აუცილებლობაზე არის დამყარებული“¹¹.

ი.წერეთელი სოციალისტური პარტიების 1924 წლის დასკვნის, მის მიერ მომზადებულ ნაწილში წერს: კომუნისტებმა სასურველ დროში ჩასახშობად გამოიწვიეს 1924 წლის აჯანყება. „იმ ცნობების მიხედვით რაც ჩვენ ხელთაა აჯანყების შესახებ ჩანს, რომ, კომუნისტებმა ყველა საშუალებით სცადეს სახალხო მოძრაობის გამოწვევა, ხოლო თვით ყველა ღონე იხმარეს, რათა ის სისხლში ჩაეხშოთ და ამით საბოლოოდ განთავისუფლებულიყვნენ რევოლუციური საშიშროებისგან, რასაც უქმნიდა საქართველო მათ

დესპოტიურ რეჟიმს“¹². ჩვენს ზოგ სწავლულ ისტორიკოსებს არც ამის გაგება და გააზრება უნდათ.

სახელოვანი სოციალ-დემოკრატი, კარლო ჩხეიძე, აჯანყების უბედურებით გამოწვეული, სასოწარკვეთილებამდე მისული, თვითმკვლელობის მცდელობამდე ხშირად ამბობდა: „ჩვენ დავღუპეთ საქართველო“. მან თავის უკანასკნელ სიტყვებში თავისი წილი პასუხისმგებლობის შეგნებით, საკუთარ თავს, თავისი ქვეყნის „უღირსი შვილი უწოდა“, მას უთქვამს: „მე მინდა სიკვდილი“¹³.

ემიგრაციაში ყოფნის დროს თვალსაჩინო მამულიშვილი, გიორგი კერესელიძე თავის სამშობლოდან ლტოლვილი ბედის გამზიარებელ მეგობარს, შალვა ამირეჯიბს, მისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (11.II.1931 წ.) ნიშნის მოგებითა და საკუთარი, აგრეთვე სხვათა მსგავსი ხედვის პოზიციებიდან წერდა: „ჩვენმა თაობამ, ჩემო შალვა, დაღუპა საქართველო... უორდანიებმა და სტალინებმა მოსპეს“¹⁴.

პარიზში 1924 წლის ოქტომბერში გენერალ ლელ კერესელიძისა და თანამოაზრე, ქართული ემიგრაციის ყველაზე თავდადებულ მებრძოლთა მიერ დაარსებული „თეთრი გიორგის“ პატრიოტული გაერთიანების დეკლარაციაში ნათქვამია: 1924 წლის აჯანყება არის „ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის სწორი ხაზის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი მომენტი და საქართველოს იდეის უღრმესი გამარჯვება“, მაგრამ ამასთანავე იქვე მითითებულია, რომ „ეს უკანასკნელი აჯანყება“, „უმომენტობის გამო პოლიტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს“¹⁵.

მიხაკო წერეთელი გაზეთ „თეთრი გიორგის“ სპეციალურ 1930 წლის წერილში - „აგვისტო 1924წ.“, აღნიშნავს: „და მართალი ის არის, რომ აგვისტოს აჯანყების მოწყობით (საქართველოს „დამკომს“, ანუ „პარიტეტულ კომიტეტს“, ხოლო საზღვარგარეთ „შეხიზნულ მთავრობას“ - გ.ც.) არასდროს ჩაუდენიათ ქართველი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული, (ვიდრე ეს აჯანყება - გ.ც.) რომელსაც მსხვერპლად შეეწირა საუკეთესო ქართველობა... და ვინ იცის, რამდენმა დრომ უნდა განვლოს, რომ ქართველმა ერმა ეს საშინელი დანაკლისი შეავსოს“¹⁶. ეს აზრი ასოცირებულია მრავალი სხვა დაჯგუფების წარმომადგენელი პატრიოტისა და მათ შორის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თბილისის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორის დეკლარაციაში ჩადებულ აზრთან.

ჩემს მიერ გამოთქმული მსგავსი აზრების ზოგ მკითხველ ისტორიკოსს კი, რომელსაც საკუთარი თავი 1924 წლის აჯანყების მკვლევარ-სპეციალისტად მოაქვს, არ უნდა აღიაროს, რომ თუნდაც უადრესად ეროვნული მიზანდასახულობებით, მაგრამ უმომენტოდ, ანუ უდროოდ და ცუდად ორგანიზებულ, მცდარ და დიდი უბედურების მომტან ნაუცბადვად (ანუ ექსტრემისტულად) წამომწყებელი, ჩაფლავებული საქმე, წარმოადგენს ამ წამომწყებ-

ხელმძღვანელთა ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმის გამოვლინებას. სამწუხაროა, რომ ამის მტკიცება წლების განმავლობაში მოხდება.

გურიაში პარიტეტული კომიტეტის რწმუნებულის, კლტე ქავთარაძის მიერ, 1925 წლის 17 იანვრის პარიზში, საქართველოს დამკომის საგანგებო სხდომაზე გაკეთებული განცხადების თანახმად ცხადი ხდება, რომ: „აჯანყების საკითხი აქტუალური გახდა უკანასკნელ დროს“. იგი აზუსტებს: „ჩვენს პარტიაში იყო ხალხი აჯანყების წინააღმდეგ და ეს ხალხი პარტიიდან არ გასულა. ახალგაზრდობის განცხადება დიდების კომიტეტში. ამბობდნენ დიდი რუსეთის პირისპირ დარჩებოდა პატარა საქართველო და ამიტომ ახლანდელ პირობებში აჯანყება შეუძლებელი იყო, ხალხს კი ჰქონდა ევროპის იმედი, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ჩვენ მას აჯანყებაზე არ (? – გ.ც.) წავაქეზებდით, თუ ევროპის დახმარება არ იყო. ის წერილებიც, რომელიც აქედან მოდიოდა და მე ვშიფრავდი, ეს დახმარების დაპირება არ იყო, თუ სახეში არ მივიღებთ ერთ წერილს სადაც ოსმალეთის ნეიტრალიტეტი იყო ნათქვამი (თუ ჩვენ ძალაუფლებას ავიღებთ ხელში ევროპა აუცილებლად დაგვეხმარება ფულით და სხვით).

კ.ქავთარაძემ საკუთარი აზრი აჯანყებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ვრცლად და მრავალმხრივი ასპექტით გამოთქვა საქართველოს დამკომის მომდევნო 1925 წლის 24 იანვრის სხდომაზე, რომელსაც ქართული დელეგაციის წევრები (გობეჩია, კელია, გ.წერეთელი და სხვები) ესწრებოდნენ, ხოლო თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე. მან განაცხადა: „აჯანყება იწვევდა გამოსხაურებებს. შორს ვიყავი სამხედრო საქმიდან. ვმუშაობდი პოლიტიკურად. ხალხის ეროვნული შეგნება მაღლა აიწია და სახელმწიფოებრივ შეგნებას დაუკავშირდა, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ თავში ერს ასეთი პოზიცია ეჭირება, თუ რას იტყოდა ბოლშევიზმი. თანდათან დამოკიდებულება შეიქმნა უარყოფითი და შეიქმნა ილუზია (! – გ.ც.) ერში დამოუკიდებლობა აღსდგება და ევროპა ამას მხარს დაუჭერს. ყოველივე საერთაშორისო გართულება იმედს აღვივებდა. ამან იმოქმედა იმ მხრივ, რომ დიდი ყურადღება მივაქციეთ სამხედრო მუშაობას და პოლიტიკური მუშაობა იჩრდილება. აქედან შეიარაღებული აჯანყება გახდა მთავარი საზრუნავი. ხალხი ყოველთვის მოელოდა აჯანყებას და ევროპის ჩართვის მოიმედე იყო. 24-ში ეს გადაიქცა დღიურ პრაქტიკულ საკითხათ – თებერვალში, მარტში, მაისში, (აგვისტოს 17-18-ში და 28-29-ში – გ.ც.). ქუჩა მარტიდან ყოველთვის ლაპარაკობდა შეიარაღებულ აჯანყებაზე (აი ამ დროს იყო საჭირო გონიერი აზრის პროპაგანდა, მაგრამ – გ.ც.). ბოლოს მივიღე წინადადება და წავედი გურიაში. აღმოსავლეთ საქართველოში... ჩვენი ორგანიზაციები ჩავარდნილი იყო... ამიტომ ვეკითხებოდი ამხანაგებს, რომ აჯანყების არენა რა აპარატს ემყარებაო. პასუხი – ორგანიზაცია სუსტია,

მაგრამ იმედი გვაქვს ჩოლოყაშვილის და ლაშქარაშვილის, რომ მთა უსათუოდ გამოვაო და პირადად მაშინ დავესწარი ფულის გადაცემას იმ ოფიცრებისათვის ვინც მთაში იგზავნებოდნენ. მაგრამ უმთავრესი იყო საერთაშორისო საკითხი. იყო თუ არა ვინმე, რომ აჯანყების დროს ჩვენს საკითხს (ანუ აჯანყებას – გ.ც.) მხარს დაუჭერდა? პასუხი იყო, რომ საერთო დახმარება იქნებოდა; გვითხრეს, რომ თუ ძალაუფლებას ხელში ჩავიძვებდით (სამი კვირა) იქნებოდა დახმარება ფულით, იარაღით და დიპლომატიური ჩარევით (ეს იყო ილუზია, თანაც უადრესად გულუბრყვილო – გ.ც.).

დავრწმუნდი, რომ ბათუმს ჩვენის ძალით ვერ ავიღებდით (ჩავედი გურიაში 26 მარტიდან მარტისთვის). გენერალ ყარაღაშვილს უნდა ეწარმოებინა გურიის ძალების წასხმა და ბათუმ-გურიის აღებაზედ. მაგრამ ის დაიჭირეს და არავინ დარჩა ავტორიტეტი კაცი. ცხადი ნიშნები იყო რომ კომუნისტებმა იცოდნენ აჯანყების მოახლოება (მე კი ვიცი და ვწერ, რომ ჩეკამ იცოდა მეომბოხეთა ყოველი სტრატეგიული და ტაქტიკური ჩანაფიქრი – გ.ც.). ყველა ზომები იყო მიღებული. დარაჯობა კომუნისტების (ჩეკას ორგანოების მუშაკთა – გ.ც.) იმ ზომამდე, რომ მიძნელებოდა სოფლიდან სოფელში გადასვლა. ასეთ პირობებში მე მხოლოდ რჩევის სახით ვუთხარი სამხედრო ხელმძღვანელს, რომ ოზურგეთი აეღო და ამავე დროს გამოსვლა უნდა სოფელში მომხდარიყო. ბრონევიკმა ხელი შეგვიშალა... ახალგაზრდა მარქსისტმა (რომელმაც გამოსვლის შეტყობინება გადმოცა – გ.ც.) ამიხსნა, რომ გამოსვლა უნდა მოხდეს 28 ან 29 (აგვისტოს – გ.ც.) სამ საათზეო. ასე, რომ თუ ჭიათურასაც ამგვარი ცნობა მიეღო გასაკვირი არ არის. ქუთაისი უკვე გაფრთხილებული იყო და კომუნისტებმა ზომები მიიღეს. ქუთაისი – მოჭრილი იყო. ასე რომ ჭიათურამ საბედისწერო როლი ითამაშა“ (სინამდვილეში აჯანყება ნაადრევად, 28 აგვისტოს დღის მეორე ნახევრიდან დაიწყო ქვემოიმერეთის ამბოხების ცენტრ-საპაიჭაოში, ხოლო 28 აგვისტოს საღამოს 8 საათისთვის იგი დაიწყო გარეკახეთის მეამბოხეთა ცენტრში - პატარძელში – გ.ც.).

კ.ქავთარაძის აზრით: „შედარება არ შეიძლება ნიკოლოზის რეჟიმთან. ერი იხრჩობოდა... საბჭოთა ხელისუფლება გარიყულია და საკმარისია ხელი გვეკრა. თუ წინათ მარტო შინაურ ძალებს ვამყარებდით (ანუ ვეყრდნობოდით – გ.ც.) და მარტო ამის გამოცხადებით ვარჩევდით ტაქტიკურ გზებს, ახლა ევროპის მთავრობებისა და აზიაზე ვამყარებდით იმედებს, მეორე ინტერნაციონალზეც. გენუა, კანა, პუანკარე ხალხში იქნებ მეტად ფასდებოდა, რომ ინტერნაციონალი უფრო ძლიერი იყო და მისი რეზოლუციები... ეს ოთხი წელიწადი ეს ილუზია იზრდებოდა. სახელდობრ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება არ უნდა დასმულიყო, ასეთი პირობები იყო და უიმედო ვიყავი, ვიცოდი რომ დავმარცხდებოდით და მოვიფიქრე თუ სად გადავსულიყავ.

...ამ შინაარსის მოხსენება გავაკეთე გურიის კომიტეტში და კომიტეტმა უარყოფითი რეზოლუცია... მაგრამ შეიარაღებულმა აჯანყებამ დაჭიმა ერი და უნდა მომხდარიყო ამ ენერჯის დაცლით. აგვისტოში მტერი გაფრთხილებული იყო. ჯარები იქ შეყარეს. მომენტი საბედისწერო იყო. მე მხარს არ დაუჭერდი გარედან თბილისის აღებას. ამ სამი-ოთხი წლის მუდმივი მოლოდინით აიხსნება გამოსვლა... გამართლება არ მაღაპარაკებს მე მინდა... რომ შემდეგში არ გამეორდეს რაც მოხდა... როცა ცეკას დაუუსვი საკითხი. დავეკითხე ვინ გამოდიოდა. გამოდის ვინ? – მთა, ნაწილი ზერბაიჯანის. როგორც არის აღმოსავლეთ საქართველო – კარგად... ბატონმა კოტემ (ანდრონიკაშვილმა – გ.ც.) მითხრა: საქართველოში უნდა ავიღოთ ძალა უცებ ხელში, გავმაგრდეთ სამი კვირა და ყველაფერი გვექნებაო. დიპლომატიური ჩარევა იქნებაო, მაგრამ არ შევკოტხევიარ თუ რა გვარის სახით იქნებაო... დაპირება იყო, რომ მოვიდოდა სურსათი, ფული და დახმარება...

რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, ისეთ ნაირის სახით დახმარება არ იქნებოდა, აჯანყებისკენ ვერვის მოვუწოდებდით, მაგრამ როგორც შინ ისე გარეთ იმედი ჰქონდათ საქართველოსთან ერთად იქნებოდა მთა, ზერბაიჯანის ნაწილი, გარეთ მატერიალური დახმარება...⁴⁷. ნ.ჟორდანიაც ხომ ამას მოითხოვდა და აფრთხილებდა მენშევიკების ცეკას, რომ თუ მთა და აზერბაიჯანი არ აჯანყდებოდა მაშინ მხოლოდ ქართველების აჯანყება აჯანტიურა იქნებოდა, მაგრამ ეს არც პარიტეტულმა კომიტეტმა დაიჯერა და არც ჩემს მოწინააღმდეგე ისტორიკოს-სპეციალისტებს სჯერათ.

1924 წლის აჯანყების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების გააზრებისთვის უაღრესად საყურადღებოა მენვეიკური ხელისუფლების დროინდელი მოსამართლის, ანტისაბჭოთა მებრძოლი რაზმის მეთაურისა და აგრეთვე ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, თეთრ არწივად წოდებული მიშა ლაშქარაშვილის მოგონებები. იგი წერს:

„1924 წლის მარტში ვცხოვრობდი მანგლისის რაიონის სოფელ ბოტისში... ამ დროს ცენტრალურმა პარიტეტულმა კომიტეტმა დაადგინა ქაქუცას ქართლში გადმოსვლა და ჩემი მაისთან დაკავშირება...

ქაქუცას შევხვდი... ქაქუცამ გახსნა პარიტეტული კომიტეტის დაშიფრული წერილი და წაიკითხა. აჯანყებას ნ.ჟორდანიას მთავრობა აღუთქვამდა ყოველგვარ დახმარებას და იმედებს... ქაქუცას გაგუზიარე, რომ არავითარი აქტი არ მოეწყო... მასში ქაქუცას 12 რაზმელიც შემოგვიერთდა...

ჩამოსვლის შემდეგ 16 კაცი ვიყავით მუდმივ შემადგენლობაში. მენშევიკები თან ეროვნულობდნენ, თან ემისრების მეშვეობით მუშაობდნენ... „რუსების ბატონობას ხალხი ვეღარ იტანსო“,

სინამდვილეში კი, ატანდნენ ძალას მებრძოლებს, რომ 1924 წლის აჯანყება უსათუოდ მომხდარიყო.

იასონ ჯავახიშვილთან საუბრისას გაირკვა, რომ მასაც კარგად არ ჰქონდა გარკვეული და შესწავლილი საერთო მდგომარეობა...

20 აგვისტოს თარიღის გაცემის შემდეგ, აჯანყება 28 აგვისტოსთვის დაინიშნა. ამასობაში რუსის ჯარმა მიიღო თადარიგი. სააგარაკო ჯარები გამოიწვიეს, გაამაგრეს თბილისი, შავი ძალებიც ამოძრავდნენ, დაიჭირეს სტრატეგიულ ადგილები.

ყველა თუ არა, კარგა მოზრდილი ნაწილი მოწინავე ქართველებისა, ამხნევდნენ საბედისწერო მდგომარეობას ჩვენი ხალხისას და წინააღმდეგი იყვნენ 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყებისა. მოსკოვი კი, დიდი სიხარულით ელოდა ქართველების შეიარაღებულ აჯანყებას. დარწმუნებული ვარ ჩეკას ეცოდინებოდა პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობა. მაგრამ განგებ ხელს არ ჰკიდებდა, რომ აჯანყება არ ჩაშლილიყო.

21 აგვისტოს ჩემი მეუღლე ამოვიდა ვერეს თავზედ წყრულეთის ტყეში და 750 ვაზნა ამოგვიტანა. თან ამბავიც ამოიტანა: „სტრატეგიული ადგილები ოკუპანტების მიერაა გამაგრებული. სადაც ადრე ორი დარაჯი იყო, ახლა ოთხი და ხუთი არისო. ახლა თბილისი რომ გამოვიდეს რუსები მთელ მოსახლეობას ამოჟლეტენ და ქალაქსაც მთლიანად დაანგრევენო...“

მე წინადადება მივეცი ჩოლოყაშვილს, რომ პარიტეტისთვის უარი გვეთქვა და აჯანყება გადაგვედო მომავლისათვის, როდესაც საამისო მომენტი დადგებოდა... ამ პირობებში ჩვენი პარტიზანული ბრძოლა დაუსრულებელ ზარალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას მეთქი. მაგრამ ჩოლოყაშვილი არ დამეთანხმა და თქვა: „აჯანყება ვეცადოთ და თუ არაფერი გამოვიდა მერე წავიდეთ საზღვარდართო“. მე მოკლედ მივუგე: „მერე გვიანდა იქნება მეთქი“. ჩვენ რომ პარიტეტისთვის უარი გვეთქვა და საზღვარგარეთ გავხიზნულიყავით 7000 მოწინავე ქართველი გადაურჩებოდა დაღუპვას...

20 აგვისტოს აჯანყების გადადებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სოფლებზე და მთელ მაზრებზე. თბილისის გამაგრებამ ჯარის და ჩეკას ამოძრავებამ დააფიქრა აღმოსავლეთ საქართველოს გლექსკაცობა. გლექსობა ამბობდა ჟორდანიას მაშინ ვერ გადაეღობა, ახლა სრულად დაბყრობილი და განიარაღებული ვართ რუსეთისგან, რის გაკეთება შეგვიძლიაო? რუსები ამოგვწყვეტენ, სამაგიეროდ ჩვენ ადგილებზე უცხოელებსა და თვით რუსებს დაასახლებენო. აი როგორ მსჯელობდა აღმოსავლეთის გლექსკაცობა 1924 წლის აჯანყებაზედ...

25 აგვისტოს პარიტეტულმა კომიტეტმა თბილისი დატოვა და ალგეთის ხევზე გამოვიდა... 4 საათზე ალგეთზე შევხვდი პარიტეტს ქაქუცას თანდასწრებით. ვკითხე (პარიტეტული კომიტეტის

თავმჯდომარეს – გ.ც.) როგორ არის საქმე? კარგად არისო და გამაცნო გეგმა:

ბათუმში გემით იარაღი მოდის საზღვარგარეთიდან. თუ შეეძლებოდა ორი თვით ძალაუფლების შენარჩუნებას, იმედს იძლეოდა საძღვარგარეთის ჩარევის.

მე განვუცხადე: ერთ ჯარისკაცსაც არ გამოაგზავნიან... ქალაქდზედ სრულიად უკონტროლოდ არის აღნიშნული და სინამდვილეში არა მგონია, რომ არსებობდეს ვერე საიმედოდ, რას ეყრდონით? 17-ის გაცემის შემდეგ წითლები მოუთმენლად ელიან ანგარიშის გასწორებას, ეძებენ საბაბს. ერთი თოფი (გავარდება თუ არა – გ.ც.) დაერევიან ყველა კუთხეს.

ქაქუცა რომ დამთანხმდებოდა მაშინ კომიტეტი იძულებული გახდებოდა აჯანყება აღარ მოეხდინა... კატასტროფას გადავრჩებოდით (მადლობა ღმერთს, რომ თბილისი მაინც გადარჩაო – გ.ც.).

სადამოს 5 საათი იყო. მე და ანდრონიკაშვილი ისევ ვკამათობდით. მტრები ამოძრავდნენ. მე ცნობა მივიღე ჩოქურის პირით. მანგლისში ზომები უკვე მიღებულია.

კამათის შემდეგ პარიტეტულმა კომიტეტმა დაუინებით მომთხოვა ქართლში წასვლა. მე მოვითხოვე უკვე თავმოყრილი ყველა მეგრძოლის წაყვანა (ქაქუცას 12 მეგრძოლისა და ბორჩალოელი 16 მეგრძოლის გარდა – გ.ც.). ეს კი, ქაქუცამ და დამსწრეებმაც შეუძლებლად მიიჩნიეს. ქაქუცას ძალიან მცირე რაზმი რჩებოდა.

წავედი ქართლში იმ პირობით, რომ ანდრონიკაშვილის დაპირება მართალი აღმოჩნდებოდა. მომცეს მანდატი. დამავალეს გორის ახალქალაქის აღება. მანდატი მესხის სახელზე (უნდა დაკავშირებოდა შუა ქართლის მეგრძოლთა მეთაურებს – პოლკოვნიკებს მესხს, ბასილიძეს, არჩილ ფურცელაძეს და გლეხთა რაზმების თავკაცებს – გ.ც.).

აჯანყების დღეს ადგილზე არ აღმოჩნდნენ ერთაწმინდელი ლევან ჯავრიშვილი და ვანო პატარქალიშვილი, ისინი მოეკლათ. ჩეკისტებს ხიდები და ბორნები დაკავებული ჰქონდათ (ახალქალაქი გორიდან გამოგზავნილ რაზმს 23 აგვისტოდან ჰქონდა დაკავებული – გ.ც.).

...მივადექით ქვემოჭალას. მესხმა მიგვიწვია მამა-პაპურ კოშკში. გაკვირვებულს გადავეცი ბრძანება. გაკვირვებული დარჩა, ნაღვლიანად ამოიოხრა, შუბლზე შემოიკრა ხელი და თქვა: „ვაიმე ასე ბედოვლათურად და უანგარიშოდ ქართული საქმის კეთება აღარ გათავდა. ნუთუ ხალხი მაინც არ ებრალებათ თუ თავი არ ენანებათ!“ აქვეა ირაკლი ამილახვარი. ესენი ადგილობრივ სამხედრო სამსახურში იყვნენ. ტელეფონზე (!!! – გ.ც.) მოუსმენიათ: ლაშქარაშვილი მოდის თქვენზე 800 კაცი საგან შემდგარი რაზმითო.

მესხმა და ამილახვარმა სოფელში ძალების მოკრეფა ვერ მოახერხეს. დაპირებული რაზმი არ გამოცხადდა... (მიზეზთა გამო მ.ლაშქარაშვილს სოფლის რაზმებმაც არ აღმოუჩინეს თანადგომა. იგი შეეცადა ძალები მოეძია, მაგრამ უშედეგოდ – გ.ც.).

30 აგვისტოს 13 საათზე კასპში შევაგზავნე კაცი და აკოფაშვილს ვთხოვე მოეცა 2-3 რაზმი. – წერს იგი და დასძენს – უარი მითხრა აჯანყება უკვე დამთავრებულია და ახლა შეუძლებელია იარაღით გამოსვლა, რადგან მთავრობის ჯარები დათარეშობენ, გარდა კომუნისტებისა და ჩეკისტებისა ოსებიც გამოიწვიესო (! – გ.ც.).

გავიგე, რომ 31 აგვისტოს მესხი და ამილახვარი დახვრიტეს. ისინი უბრძოლველად შეეწირნენ სამშობლოს. მათთან ერთად ქვემოჭალაში 23 უდანაშაულო დახვრიტეს.

ს.კავთისხევში მივლინებული იქნა რევეკომის თავმჯდომარე აშაკუნი და მილიციელი კვერცხიშიელი (სანიხბოში ციციშვილების ამოწვევის მონაწილე).

წინარეხის მიდამოებში დათარეშობდა კომუნისტების 100 კაციანი რაზმი ლევან არზუმელიანცის მეთაურობით. მათ წინარეხში 9 ახალგაზრდა დახვრიტეს. მშობლებს დატირებას და დამარხვას უკრძლავდნენ.

გორიდან რუსის ჯარი გამოუგზავნიათ კავთისხევში ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ, რომელიც მანგლისიდან აქ გადმოსულიყო... მინდოდა დახმარება, ზურგიდან დამერტყა. ამიტომ მტკვარზე გადავედი მებრძოლების შესაგროვებლად (მაგრამ ვერც ხალხი გამოიძებნა და ქაქუცაც რაზმელებთან ერთად შიომღვიმის და ბულაჩურის გავლით დუშეთისკენ იყო გასული – გ.ც.).

მ.ლაშქარაშვილი წერს: „მე პირადად ვერაფერი გავახერხე 4 რაზმელით დავრჩი ქვემოგომთან გავტოპე მტკვარი, ლომაძე ს. ნიაბში დავტოვე – ოჯახში, ...3 სექტემბერს ავედი ბოტისში“¹⁸.

გურიის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სიმონ (სიმონიკა) გოგიბერიძე წერს: „ჩვენი ხელმძღვანელობა თუ დასაწყისში ყოყმანობდა, არ ჰქონდა გამარჯვების იმედი, პირველი გეგმა რომ არ შესრულდა, ამის პასუხისმგებლობა დამკომს ეკუთვნის. ბათუმ-ფოთი-სამტრედიის სიწყნარის (? – გ.ც.) გამო იქიდან მოსული მტრის შემოტევით დაგვიანდა მეორე გეგმის შესრულებაც. როცა მეორე გეგმის შესრულებისთვის ჩვენი ძალები გავაერთიანეთ, ჩვენ უკვე გარკვეული ვიყავით საერთო აჯანყების დამარცხებაში. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც წავედით შეტევაზე, რომელიც დაიშალა იმის გამო... (ვიბრძოდით – გ.ც.) უტყვიოდ, მხოლოდ ფეხოსანი კავშირით, სამი მხრიდან მტრის ზარბაზნებით და ტყვიამფრქვევებით ცეცხლში გახვეული, სამი დღის განმავლობაში ვებრძოდით მტერს. მივეციით რამდენიმე მაგარი შეტაკება... არ დაგვიტოვებია არცერთი ტყვია, არ დაგვრჩენია არცერთი კაცი გავედით სამშვიდობოზე... P.S...

შეიძლებოდა თუ არა მეტის გაკეთება ან თუ ვინ რა შეცდომა ჩაიდინა, ეს მეორე საკითხია და ამაზედ კი – თავისუფალ საქართველოში¹⁹. მაგრამ ზოგს ამაზე მეცნიერული კვლევა-ძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა დღესაც არ უნდა. მათთვის ისედაც ცნობილია, რომ შეიძლება იყო ხელმძღვანელთა შეცდომები, მაგრამ მისი შეფასება, როგორც ხელმძღვანელთა წინდაუხედავი უპერსპექტივო რისკისა და ცუდად ორგანიზებული ფაქტობრივი ავანტიურისა არ შეიძლება, თუნდაც რომ ამას დაუფარავად ამბობდნენ იმდროინდელი აჯანყების წამომწყები ხელმძღვანელები, ფედერალისტების ლიდერები და თვით კოტე ანდრონიკაშვილი, ან საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე – ნოე ჟორდანიას. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს ამის გაგება, მათი დაუკვირვებლობის გამო, ანტიეროვნულ გამოვლინებად ესახება.

რაჟდენ არსენიძე გადმოგვცემს: „1924 წლის აჯანყების გამო სოციალ დემოკრატიულ პარტიაში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა და მე, ჩემს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, ოპოზიციაში ვიყავი და საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენ მივატოვეთ პარტია და ჟურნალი „ორიენტი“ დავაარსეთ. მოგვნათლეს ფაშისტებად“²⁰.

§3. 1924 წლის აჯანყება და ეროვნულ-დემოკრატი ლიდერების პოზიცია

სპირიდონ კეცელია, რომელიც თანამედროვეთა მიერ ჭკვიან ქართველად და თანამოაზრეთა მიერ, დამოუკიდებლობის შემთხვევაში, „საქართველოს პრეზიდენტობის“ ღირსეულ კანდიდატადაც კი იგულისხმებოდა, მიიჩნევდა, რომ „ის ქართველნი და უკეთესნი, რომლებიც ათასობით დაიხოცნენ, ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიოტული ელემენტების არსებობა, თვით საბჭოთა პერიოდშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა – ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა და უვარგისებს გაუხსნა გზა“¹. ბრძენი პოლიტიკოსის ეს შეფასება უთუოდ ძალიან ბევრის მთქმელი და კიდევ უფრო მეტის დამაფიქრებელი და მისახვედრებელია. თომების, ანუ არგამგე ისტორიკოსთა მიერ მიზნობრივად წაყრუებული და უგულვებელყოფილია.

შალვა ამირეჯიბი თავის მოგონებათა წიგნში გამოწვლილვით ასახავს 1924 წლის აჯანყების არა მარტო გმირულ ღირსებას, არამედ მისი აზრის მოწინააღმდეგეთა „ჭკვიან ქართველობას“. იგი სხვა დროს არ მაღავეს აჯანყებას საერთო ხელმძღვანელობის დამღუპველი როლის შესახებ საკუთარი აზრისა და სხვათა თვალსაზრისსაც. მისი შეფასებები ზოგჯერ მკაფიო, ადვილად გასაგები და ცალსახაა, ზოგჯერ კი აბსტრაქციული და წინააღმდეგობრივია. ამიტომ მისი ნააზრევები საჭიროებენ სათანადო ანალიტიკურ დამოკიდებულებას.

შალვა ამირეჯიბი წერს: „ავანტიურა ჩვენ მაშინ ბევრი გვქონდა...“². იგი დასძენს: - „ნაციონალურ წრეებში, განსაკუთრებით სამხედრო წრეებში და ნაწილობრივ, თუ სავსებით არა, ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებში ფეხს იკიდებდა არა დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაცია, არამედ ტრადიციული საქართველოს სამეფოს აღდგენა“³... ეს არის არა მარტო ავანტიურის გამოვლინების აღიარება, არამედ აგრეთვე, საქართველოს განთავისუფლებისათვის მეცადინეობის საკითხში არსებული შიდაპარტიული განხეთქილების თვალსაჩინო ილუსტრაცია. შალვა ამირეჯიბი იმასაც აცხადებს: „იყვნენ ჭკვიანი ქართველები, რომლებიც გვიშლიდნენ ამ აჯანყებას. 1924 წელს აჯანყების წინ, ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა... ნიკო ნიკოლაძე. ის ინახულა „დამკომის“ თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილმა, დიდხანს ელაპარაკა და როცა დაბრუნდა, მითხრა – ნიკოლაძეს ხვალ შენი ნახვა უნდაო. მე წავედი წინასწარი პირობით (ე.ი. პარიტეტული კომიტეტის მენშევიკ თავმჯდომარესთან წინასწარ შეთანხმებული აზრით – გ.ც.). კარი მისმა შვილმა გიორგიმ გამიღო და მის კაბინეტში შემიყვანა... ნიკო ნიკოლაძე შემოვიდა... მერე ლაპარაკი დამიწყო, რომელიც საათნახევარი გაგრძელდა... მარწმუნებდა და მირჩევდა აჯანყებაზე ხელი აგვედო... მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, ნიკოლაძემ ეს ამბავი თითონ

გვიამბო ჟურნალ „ბილოეში“... სამწუხაროდ ნ.ნიკოლაძისა, ზოგ ჩვენ ახალგაზრდა ნიჭიერ პროფესორთა და მის დამკვალიანებელ მასწავლებლებსაც არ სჯერათ. მაგრამ მათ თავიანთი აკვიტებული ყალბი აზრების სჯერათ.

შ.ამირეჯიბი აგრძელებს: „მოხუცები რომ ახალგაზრდებზე ჭკვიანები არიან, ძველი ჭეშმარიტებაა... ვუსმენდი მის ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რა (საწინააღმდეგო ამბები – გ.ც.) ხდებოდა ამ დროს ევროპაში, მაგრამ გამოთხოვებისას მაინც ის უნდა მეთქვა... მსცოვანი ქართველისათვის, რომ სამწუხაროდ, ხელის აღება ახლა აჯანყებაზედ შეუძლებელი იყო“⁴. აი ამ ყალბ აზრს, ჩემი მოწინააღმდეგე აზრის მქონე ისტორიკოსებიც დაბეჯითებით იმეორებენ. შ.ამირეჯიბის ამ აზრით: „აგვისტოს აჯანყებამ ხალხს დაუბრუნა ძველი ეროვნული შეგნება, სრულიად განსხვავებული იმ შეგნებისა და იდეოლოგიისგან, რომლისგანაც იშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. აგვისტოს აჯანყებამ, მართალია ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, იგი დამარცხდა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“. აი ეს შ.ამირეჯიბისა და მისი თანამოაზრე მონარქისტული განწყობილების ლიდერთა აზრი უკვე, საერთო ეროვნული აზრისა და ძალისხმევის დაშლის კიდევ ერთი ნათელი, დამატებითი მაგალითია.

შალვა ამირეჯიბი მოგვითხრობს, რომ ემიგრაციაში ბევრს აგვისტოს აჯანყება „ვილაცის პროვოკაციად“ მიაჩნდა. მისი თქმით ცნობილ ანტისაბჭოთა მებრძოლს, გერმანიის ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს თავმჯდომარესა და სპ.კედიას უახლოეს მეგობარს, ემიგრანტ ტიტე მარგველაშვილს საჯარო სხდომაზე განუცხადებია: „მე იგი შევისწავლე „ოფიციალური წყაროების მიხედვით და ჩემი დასკვნა ის არის, რომ „აჯანყება არ უნდა მომხდარიყო“, ხოლო აჯანყების ხელმძღვანელობა „სრულიად შეუფერებელი იყო“⁵. რაც უნდა მწარე წასაკითხი და მოსასმენი იყოს, ტიტეს ეს აზრი სწორია. მაგრამ ზოგ მეცნიერს ტიტესი კი არა, ჩემს მიერ დამოწმებული სხვა მრავალი ცნობილი ეროვნული პატრიოტის, მათ შორის ნ.ნიკოლაძისა და სპ.კედიასიც არ სჯერა.

შალვა ამირეჯიბი ტიტეს ამ აზრს სომხური და ოფიციალური ხელისულების აზრის ანალოგიად აცხადებს და არ ეთანხმება, თუმცა არ მაღავეს, რომ „აგვისტოს აჯანყებას, ემიგრაციაში, ბევრი კრიტიკოსი ჰყავს“. ასეთებად მას მიაჩნია „უპირატესად ისინი, რომელთაც აჯანყებასთან საერთო არაფერი ჰქონდათ“. იმას კი, არ ამხელს, რომ როცა ემიგრაციაში მოწყობილ 17 იანვრის სხდომაზე სხვათა რკინის ლოგიკის ტყვეობაში აღმოჩნდა საწინააღმდეგო აზრით ალაპარაკდა. აკი სოფიო ჩიჯავაძე-კედიაც ამხელს, რომ იგი პარიზში ყველას არწმუნებდა აჯანყების წინააღმდეგი ვიყოთო.

იგი წერს: ემიგრაციაში აჯანყების შემდეგ „ატმოსფერო სულის შემსუთველია, აჯანყების მოწყობის ბრალდებას მთავრობას

ადებენ“. იგი ამ აზრს ეთანხმება, ადგილობრივთა პასუხისმგებლობასაც არ უარყოფს, „მაგრამ რადგანაც ამ ბრალის აღება არც მთავრობას სურს და არც სხვა ვინმეს“, როგორც თავად წერს, გადაწყვიტა, რომ მთელი „ბრალი“ ისევ აჯანყების ორგანიზატორებს აეღოთ“⁶.

სავსებით გასაგებად და პატივსაცემად მესახება შალვა ამირეჯიბის მიერ ქართველი ხალხის დიდი ტრაგედიის გამო აჯანყების ცოდვილ ხელმძღვანელთა ბრალის გამო მოწინააღმდეგეების მიერ გახსნილი კრიტიკული ცეცხლის საკუთარ თავზე მიღება, მაგრამ ამის გამო შალვა ამირეჯიბი „ჭკვიან ქართველად“ არ მესახება. ჯერ ერთი, ემიგრანტთა და აჯანყების მონაწილეთა 1925 წლის 7 იანვრის სადისკუსიო სხდომაზე მან ეს პათოსი ვერ შეინარჩინა. მეორე, იგი თვითონაც აღიარებს, რომ ეგვიპეტი გეგეჭკორმა მას მომავალ შესაძლო დამოუკიდებელ საქართველოში, მისი პოლიტიკური უნარის ხედვით, ასპარეზი მხოლოდ „თეატრის დირექტორის“ თანამდებობით განუსაზღვრა. ჰოდა, შალვას და სხვათა მიერ აჯანყებით გამოწვეული ეროვნული უბედურების გამო „ცეცხლის“ საკუთარ თავზე მიღებით, აჯანყების საერთო ხელმძღვანელთა დანაშაული არც მართლდება და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, არც მცირდება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ქვემოთ გავეცნობით 1924 წლის აჯანყების გამო შემდგარი ერთ-ერთი საზღვარდარეითული დისკუსიის დროს, როცა აჯანყების სხვა ცნობილ ხელმძღვანელთა თვითკრიტიკულმა და უზენაეს ლიდერთა უდროო ინიციატივის გამამტყუანებელმა ბრალეულობებმა შამირეჯიბის ლოგიკას და ემიგრანტული მთავრობის მიმართ თავდებას უხერხულობა შეუმნა, მან აჯანყების ხელმძღვანელ ორგანოს ლიდერებს მწარედ შეუტია და მათი წინდაუხედაობით გამოწვეული უბედურების გამო ისინი დამნაშავედ გამოაცხადა.

1925 წლის 7 იანვრის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენლებმა მოუსმინეს წინასწარ დამუშავებულ შალვა ამირეჯიბს. მან ვრცლად ისაუბრა საქართველოში აჯანყების მზადების შესახებ. მაგრამ არაფერი სთქვა იმის გამო, რომ აჯანყების გამარჯვებისა ერთხანს თავად არ ეჯერებოდა და დამკომს ეწინააღმდეგებოდა კიდევ⁷. სამაგიროდ მან ახლა მხარი დაუჭირა ნ.რამიშვილს: დანაპირების მიხედვით 3-4 კვირა უნდა გაგვეძლო რომ საერთაშორისო არენაზე ახალი სტატუს-ქვო შექმნილიყო. პარიტეტული კომიტეტის ლიდერებმა „ჯავახიშვილმა და ანდრონიკაშვილმა გადმომცეს, თითქოს მაკდონალდის ნათქვამი იყო, რომ თუ რამე ხელის მოსაკიდებელი საბუთი მომეცა, შემიძლია დახმარებაა გაგიწიოთო. ჩვენ ეს გვიგეთ, თითქოს საკმარისი იყო გამოსვლა და დახმარება იქნებოდა“⁸.

ნ.ჟორდანიას დაინტერესდა, რატომ უგულბებელჰყევს მისი ე.წ. „სადირექტივო“ წერილით მიცემული რჩევა, რომლის მიხედვით საქართველოს აჯანყება რეკომენდირებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჯერ აჯანყებოდნენ ჩრთილოეთ კავკასიელი მთიელები, რომლებიც გამორიცხავდნენ საბჭოთა ჯარების რუსეთიდან საქართველოში გადმოსროლას და ამასთანავე აჯანყდებოდა აზერბაიჯანი, რომელიც შექმნიდა მისი პროტექტო-თურქეთის მხარდაჭერას. იგი ყველა სხვა შემთხვევას, ანუ მხოლოდ საქართველოს გამოსვლას კი, აფასებდა, როგორც უცილოდ დამარცხებისათვის განწირულ ავანტიურად (!!! – გ.ც.). ეგეგეჰკორმა იკითხა - „დააბარეთ თუ არა (ჩვენთან გამოგზავნილ ვასო ნოდის – გ.ც.) რომ შეგიძლიათ მთელი სამხედრო ტექნიკის ხელთგდება და ბაქოს გარდა მთელი კავკასიის გაწმენდა?“ სპ.კედია იყურადღებდა იმ მხრივ გაამახვილა, თუ ვისი ნახვა დაავალეს პარიზში გამოგზავნილ ვ.ნოდის? ნ.რამიშვილმა საყვედური გამოთქვა – „ჯუღელის წერილს ციხიდან რატომ არ დაუჯერეთო“, ანუ აჯანყება რატომ არ აღკვეთეთო.

აჯანყების წამქეზებელი ემიგრანტების მიერ წინასწარ დამუშავებულმა და გადაბირებულმა შ.ამირეჯიბმა .ჟორდანიას წერილის გამო პასუხად პარიტეტული კომიტეტის გამართლება იწება: “შეჩერება შეუძლებელი იყო, ვიფიქრეთ ავჯანყდებით და მერე დაგვეხმარებიან, თუნდაც მარტო საქართველო იყოსო“. მან ისიც დასძინა: „ვ.ნოდია გვითხრა ეგეგეჰკორი და ნ.რამიშვილი ვნახე, სხვებმა არ მოისურვეს ჩემი ნახვაო“. შ.ამირეჯიბმა განმარტა: „ჩხიკვიშვილის გარდა ზოგი მენშევიკიც არ იზიარებდა აჯანყების საკითხს. ეს აქეთაც მოიწერეს; ვ.ჯუღელის შემონათვალის არ გვეჯერებოდა; გადმომცეს სპ.კედია და ა.ასათიანი წინააღმდეგები იყავით აჯანყებისა, ვეშაპელი კი მომხრე იყოო“.

შ.ამირეჯიბის ნათქვამი მიღებული იქნა ცნობად. არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ:

1. მხოლოდ აჯანყების თავდაპირველი გეგმა კი არ შეიცვალა არამედ მთელი სტრატეგიული ამოცანაც. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარემ კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ სრულიად თავისებურად გაიაზრა აჯანყების საერთო სტრატეგიაც. 1924 წელს აჯანყების მეორე, 28 აგვისტოს წამოწყების გეგმით გამარჯვებისა და საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობა, ხელმძღვანელობიდან ფაქტობრივად არავის სწამდა და როგორც ჩანს, ყველას გამორიცხული ჰქონდა. ახალ ვითარებაში ამოცანა მიზნად ისახავდა არა აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და გამარჯვებას, არამედ ქართველი ხალხის მასიური გამოსვლით საქართველოსთვის სასარგებლო, ახალი საერთაშორისო ვითარების მოპოვებას. საზღვარგარეთის სახელმწიფოების მხრივ ბოლშევიკურ რუსეთზე ზემოქმედებას და საბჭოთა მთავრობის მხრივ გაურკვეველ იძულებით დათმობებს. ამის შესახებ კი, მეგრძოდ

მასებს და რაზმების ძირეულ ხელმძღვანელებს არავინ არაფერს ეუბნებოდა.

2. აჯანყების გზით გამარჯვების შესაძლებლობას, გამორიცხავდნენ აჯანყების მთავარსარდალი სპ.ჭავჭავაძე „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე კ.ანდრონიკაშვილი, ხოლო ხელმძღვანელი მონაწილეებიდან შ.ამირეჯიბი, ს.ხალდასტანიშვილი, მ.ბოჭორიშვილი, მ.ლაშქარაშვილი, დ.ხმალაძე, კ.ჭავთარაძე და სხვა ადგილობრივი ხელმძღვანელი მონაწილეები.

3. აჯანყებაზე უარი თქვეს ლიდერმა ფედერალისტებმა - ს.დადიანმა, გრ.რცხილაძემ, ა.ბოკერია და „სხვის“ პარტიის ლიდერებმა – გიორგაძემ და კინიძემ. „აჯანყებას მხარს არ უჭერდა თითქმის ნახევარი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობსა“, რომელთა უმრავლესობას იგი წინასწარვე მიაჩნდათ ხელმძღვანელთა ავანტიურად. აჯანყების ზოგი სხვა ხელმძღვანელებისგან იყო პასუხისმგებლობიდან გარიდება.

აჯანყების დამარცხების მიზეზთა გამორკვევის დროს, უპირატესი ყურადღება ეთმობა ბოლშევიკური ხელისუფლების სისასტიკის გაშუქებას, ჭიათურის აჯანყებულთა ნაადრევი გამოსვლის გამო საბჭოთა სადამსჯელო ძალების ინიციატივის მოპოვებას ისე აშუქებდნენ თითქოს ჭიათურელთა ნაადრევი გამოსვლა იყო ერთად-ერთი გამონაკლისი და დამარცხების ყველაზე მთავარი მიზეზი, მაშინ როცა, სინამდვილეში გამოსვლა ნაადრევად 28 აგვისტოს, საღამოს 5 საათისთვის წამოიწიეს ქვემო იმერლებისა¹⁰ და 8 საათისთვის კი, გარე კახეთის აჯანყებულებმაც¹¹. ცალკეული პიროვნებები ბრალს უნაწილებდნენ საზღვარგარეთის სავარაუდო თანამეგობრობას, რომელმაც აჯანყებულებს არ აღმოუჩინა დახმარება და ა.შ.

გონიერი ინტელიგენტი და ფხიზელი პოლიტიკოსი, ყოფილი ფედერალისტი და ეროვნულ დემოკრატი, გერონტი ქიქოძე ასე გვიხასიათებს თავის კარგად ნაცნობ პარიტეტული კომიტეტის ზოგ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლ წევრ-მთავარ ხელმძღვანელებს და მათ მიერ შექმნილ ვითარებას:

კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი „პატიოსანი, მაგრამ საკმაოდ უფერული პოლიტიკური მოღვაწე იყო ნოე ჟორდანიას ხელისუფლების დამხობამდე და რასაკვირველია ხელმძღვანელად ვერ გამოდგებოდა გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში“.

დამკომის წევრს, „დავით ონიაშვილს მე ლაიფციგის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი... ეს იყო პოეტური ბუნების ადამიანი (მარქსის „კაპიტალის“ პირველი მთარგმნელი – გ.ც.). არამგონია, ოდესმე რევოლუციური სჭეროდეს ხელში.

უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ ევროპიდან ჩამოსული ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი და

ჯუღელი. ისინი ხალხში ხმას ავრცელებდნენ, საფრანგეთი და ინგლისი მზად არიან საქართველოს მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მხოლოდ ელიან, რომ თაოსნობა თვით ქართველმა ხალხმა გამოიჩინოს და აჯანყება დაიწყოსო...

რადგან საფრანგეთის და ინგლისის დახმარების იმედი ფუჭი აღმოჩნდა, პირველი დღეების აღტაცებას ამბოხებულთა რიგებში ჩქარა გულის გატეხვა მოჰყვა და მოძრაობა განელდა...

რეპრესიებს ისეთივე სტიქიური ხასიათი ჰქონდა, როგორც ამბოხებულთა მოქმედებას... შედარებით ადვილად გადარჩა გურია, სადაც საქმეში ფილიპე მახარაძე ჩაერია. სამეგრელოში და ზემო იმერეთში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი გამოსვლები მოხდა დიდძალი შეთქმული და არასაიმედო ელემენტი დახვრიტეს და გადაასახლეს. აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს ნაკლებ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად განადგურებული იქნა თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა.

შალვა ამირეჯიბი (იგივე მისი ცოლის ძმა – გ.ც.)... უბედურმა სიყვარულმა იძულებული გახადა პოლიტიკურ მუშაობაში ექებნა თავდავიწყება, მაგრამ შეძლო თუ არა თანამედროვე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გარკვეულიყო?¹² ჩემი აზრით 1924 წლის აჯანყების უმომენტობით გამოწვეულ ექსტრემისტულმა და ავანტიურისტულ გამოვლინებაში, არამც თუ შ.ამირეჯიბი, არამედ ბევრი სხვა ხელმძღვანელი მონაწილე და თანამედროვე ისტორიკოსის პრეტენზიების მქონე პროფესიონალი მკვლევარიც ვერ გაერკვა. ამიტომ საჭიროდ მეჩვენება შ.ამირეჯიბის პოლიტიკოსობის შესახებ დამატებითი ცნობების მოტანაც. ვფიქრობ, რომ ამ ხერხით შეიძლება ზოგს მაინც გავაგებინო: სამშობლოს განთავისუფლების მოტივით გამოვლენილი პატრიოტების გმირული თავდადება, ზოგ შემთხვევაში გაუმართლებელი და ეროვნული თვალსაზრისით ზიანის მომტანია. სპირიდონ კედიას თანამოაზრე მეუღლე, სოფილ ჩიჯავაძე-კედი საყურადღებოდ გვიხასიეთებს შალვა ამირეჯიბის ორჭოფულ დამოკიდებულებას 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და შეფასების საკითხში. იგი წერს: ერთ დღეს... ვესტუმრე, დავუწყე ლაპარაკი ამ აჯანყებაზედ, სწორედ იმ ხანებში საზღვარგარეთიდან ჩამოსული იყო ნიკო ნიკოლაძე... და ექიმი წულუკიძე ამათგან ვიცოდი, რომ ევროპის იმედით არ უნდა ვყოფილიყავით, რასაკვირველია სპირიდონის (ასეთივე – გ.ც.) აზრიც გადმოგვცეს:

- იცოდე შალვა, ვინც იქიდან ღირებს გიგზავნით და ევროპის დახმარებას გპირდებათ გატყუებთ, სპირიდონის აზრიც ხომ იცით – ამნაირად ველაპარაკებოდი (ღიახაც იცოდა – გ.ც.).

- „ყველაზედ ჭკვიანი ის ხომ არ არის, რომ იმას დაუჯეროთ“.

- არა მაგრამ, ის ევროპაშია, სადაც ნათლად ჩანს დასავლეთის გულგრილობა საქართველოს მიმართ. ამიტომ საჭიროა იმის აზრსაც ანგარიში გავუწიოთ, ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ იმისი პოზიცია უნდა იცოდეს, ის სხვებზედ ნაკლებ არა ჰხედავს ნამდვილ მდგომარეობას. მართალია სპირიდონი ფულს არ გიგზავნით, მაგრამ ყველაფერი ხომ ფული არ არის, და სხვა.

კარგად შევამკე, მწყრალის თვალით გადაგავლე ლირებით გაშლილ სუფრას თავისი ხიზილალით და წამოვედი“.

ს.ჩიჯავაძე-კედია გადმოგვცემს, რომ სპირიდონის „შეხედულება ყველა პარტიის წევრს ასცდა, თუ ააცდინეს?.. აქ პარიზში ეს მითხრა ელისე პატარაძემ: „ჩვენ ეს არ ვიცოდითო“.

შალვა პირველი დღიდან ებრძოდა სპირიდონის მეთაურობას, რადგან მეგრელი (მისი აზრით – გ.ც.) არ შეიძლებოდა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ყოფილიყო. მეგრელს ის ქართველად არ თვლიდა! საერთოდ საქართველოს შალვა მხოლოდ ქართლსა და კახეთში ხედავდა.

როდესაც დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა, ჩვენ გადავწყვიტეთ არცერთი იმერელი და საერთოდ დასავლეთ საქართველოდან არ შეგვეყვანათ“ - ამიტომ კარგად წაგივიდათ საქმე! ვუპასუხე...

აქ პარიზში ყველას არწმუნებდა, რომ პირველსავე დღიდან აჯანყების წინააღმდეგი ვიყავით“!.. და სულ ასე იყო ყველაფერში – ნამდვილი პოეტი, ხშირად ცვალებადი... ბევრი კარგი თვისება ჰქონდა... მაგრამ პოლიტიკაში თავკერძა, თითქოს შურიანიც. ამიტომ მის აზრს ადამიანი ვერ დაემყარებოდა. ხან ისე და ხან ასე, რასაკვირველია პოლიტიკაში.

დღესაც კი მახსოვს მისი გასაოცარი ნათქვამი: უფრო დიდი კაცია, ვიდრე დავით აღმაშენებელიო...“¹³. ვისაც შამირეჯიბის მოგონებები ყურადღებით წაუკითხავს, მან არ შეიძლება, რომ ქალბატონ სოფიოს შეფასებები არ გაიზიაროს.

აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორგანიზატორის, შამირეჯიბის ზემოთ აღწერილი დახასიათების შემდეგ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ნათლად დასანახი გახდება მის იმ მცდარ ნააზრევთა შემდგომი ილუსტრაცია, ზომელიც ზოგ „მკვლევარს“ მართალი ჰგონია, დამოწმებულიც ისე აქვს, როგორც ჭეშმარიტება. მაგალითად თუნდაც ის, რომ თითქოს დიდი უბედურების მიმტანი აჯანყების გამომას უკმაყოფილოც კი არავინ უნახავს.

შამირეჯიბისა და ზოგი სხვა მსგავსი აჯანყების ხელმძღვანელ მონაწილეთა აზრის გაგების თვალსაზრისით საყურადღებო დამატებით ცნობას გვაწვდის შალვა ამირეჯიბის შემდეგი მოგონებები. იგი წერს, რომ აჯანყების შემდეგ კონსტანტინოპოლში ჩასულს ქართული მთავრობის ოდიოზურმა წარმომადგენელმა გვარჯალაძემ, კონფედენციალური საუბრის დროს,

გააგებინა, რომ აჯანყების გამო პარიზის ცენტრში უკიდურესად მძიმე ატმოსფერო შექმნილა. მთავრობას სდებენ ბრალს აჯანყების წამოწყების გამო. ჩემი აზრით, უფრო სწორია თქმაა - უდროო აჯანყების კანონზომიერი დამარცხებისა და დიდი მსხვერპლის გამო. შამირეკების გადმოცემით, დამატებით გაირკვა, რომ დ.ვახნაძეს ბრალს სდებენ იმის გამო, რომ „შეგვატყობინა იარაღით დატვირთული გემი უნდა მოსულიყო საქართველოში. ასათიანს – რომ დიდი ხანია მოწერილი ჰქონდა საქართველოში ხიდები და რკინის გზები აგვეფეთქებინა... მაგრამ რადგანაც ამ ბრალის აღება არც მთავრობასა სურს, არც სხვა ვინმეს, ვიღავამ ბრძნულად გადაწყვიტა, რომ მთელი ბრალი ისევ ჩვენ დაგვადონ ე.ი. ეროვნულ დემოკრატიას“.

აღნიშნულ სიტუაციაში შამირეჯიბმა ვითომ ოქროს გამოსავალი მოძებნა. იგი წერს: „მე ჩემთავად გავიფიქრე და ამაში ბევრი სხვაც (! – გ.ც.) დამეთანხმა, რომ საქართველოსთვის აღსრულებულთათვის, დაღრილი სისხლისა და მიწაწაყრილ საფლაგებისათვის, საქართველოს სახელისა და მისი მომავალი ისტორიისათვის საჭიროა, რომ ეს პასუხისმგებლობა ისევ აჯანყების (უზენაეს ხელმძღვანელ – გ.ც.) მონაწილეთ იკისრონ“. აქ, სიმონ მდივანმაც იგივე მითხრა „ერთხელ კიდევ“, რომ „ყველაფერი იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რა ინფორმაციას ჩავიტან“¹⁴.

მაშასადამე, აჯანყების ისტორიული როლისა და მის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის დიდი ეროვნული მნიშვნელობის აღიარების საბაბით გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობა არ უნდა დადანაშაულებულიყო და დაშვებულ შეცდომებზეც ყურადღება ნაკლებ გამახვილებულიყო. ასეც მოხდა, მაგრამ მხოლოდ ერთხანს.

როგორც პროფესორ ო.ჯანელიძის სპეციალური პუბლიკაციიდან ირკვევა, ამ სულისკვეთებით ჩატარდა 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობისა და მისი ტაქტიკის გამომუშავების საკითხებისადმი მიძღვნილი საქართველოს მთავრობისა და ემიგრაციის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა 1924 წლის 7 სექტემბრის სხდომა. იგივე მიზანდასახულობა დაედო საფუძვლად აგრეთვე საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და აჯანყების ზოგ ლტოლვილ ხელმძღვანელ მონაწილეთა ერთობლივ, 1924 წლის 20 დეკემბრისა და 1925 წლის 5 იანვრის, სპეციალურ სხდომებს. ამ სხდომებმა ზოგს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა თითქოს „დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით“. მაგრამ საქმეც ისაა, რომ იმუამად გამარჯვების მომტანი დახმარების შესაძლებლობა არ არსებობდა. ეს აზრი სრულიად გასაგებად გამოსთქვა ბევრმა კომპეტენტურმა პიროვნებამ და ბოლოს მათ შორის კერძოდ შამირეჯიბმაც.

შამირეჯიბმა საქართველოს დამკომის და ემიგრაციის ქართველ პოლიტიკოსს ლიდერთა 1925 წლის 17 იანვრის სხდომაზე გულწრფელად აღიარა: „იყო ასეთი ხალხი და მწერალი, რომელიც

აჯანყების წინააღმდეგი იყო... მენშევიკებიც იყვნენ და ჩვენი ხალხიც. არავითარი რწმენა გამარჯვების ჩვენ არ გვქონდა რომ არ ყოფილიყო გამოსული საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომ ყველაფერი მზად იყო, ევროპა დაგვეხმარება. ასე იყო საკითხი დაყენებული, ხალხმა პრაქტიკული შინაარსი მიანიჭა ამას და აჯანყება მოაწყო. არავითარი საშუალება არ გვქონდა საკუთარი აზრი გვქონოდა... ჩვენი ერთადერთი კავშირი იყო თქვენთან, მთავრობის თავმჯდომარესთან და თქვენ კი, ამას გვითვლიდით. ეს არის მთელი პოლიტიკური პოლიტიკის შედეგი. ჟორდანიას წერილები, ხელმოწერილი მთავრობის თავმჯდომარის. ჩვენ ვიჯექით ვულკანზე, რომელზეც ქვაბი იდგა, თქვენ იძახით, რომ შეუკეთეთ და როდესაც საჭმელი გაფუჭდა, ეს არავის მოსწონს. ყველა წერილით, აქეთ მოსული აჯანყებას მოითხოვდით...“¹⁵ (სტილი ავტორისაა – გ.ც.).

1925 წლის 24 იანვრის სხდომის დროს, როცა აჯანყების ხელმძღვანელმა ორატორებმა მომხდარი უბედურების მიზეზად პოლიტიკური კომიტეტის ლიდერები და მათ მიერ მომენტის შეურჩევლობა დაასაბუთეს, შ.ამირეჯიბი კი, ახლა კვლავ გულლიად შეეცადა თავი ემართლებინა, ამ დროს მან მომხდარის გამო მთელი დანაშაული საზღვარგარეთელ ლიდერებს, ნ.ჟორდანიას და სხვებს აპკიდა. ახლა შ.ამირეჯიბმა უკვე მოურიდებლად განაცხადა: „1924 წლის აჯანყების პოლიტიკას აკეთებდნენ მოხუცი მარქსისტები (ნ.ჟორდანია-რამიშვილი და სხვა – გ.ც.)... ბატონი კოტეც (ანდრონიკაშვილი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე – გ.ც.) დაემორჩილა დისციპლინას... ამაშია საქმე... სინამდვილეში იგი ახლა კანდრონიკაშვილს დანაშაულს უმცირებს და პასუხისმგებობას არიდებს. და ამ მიზნით იგი დასძენს: 1924 წელი არ ყოფილა ხელსაყრელი ამას ახლა ამბობთ, „მაგრამ ჩვენ კი ვფიქრობდით, სწორედ 24 წელი იყო სასარგებლო“. ქართველ პოლიტიკოსთა პარიზის სხდომის გულდია ანალიტიკურმა მოხსენებებმა და სიტყვებმა შ.ამირეჯიბი მიახვედრა და აიძულა, რომ 1925 წლის 24 იანვრის სხდომისთვის საჯაროდ განეცხადებინა: „აჯანყების მთავარი მამოძრავებელი ღერძი იყო იდეალური“¹⁶, ანუ მცდარი. ამის შემდეგაც მედავებიან რომის პაპზე უფრო კათოლიკეები.

სოლომონ ზალდასტანიშვილი თავის მოგონებებში წერს, რომ ვიდრე ნ.ხომერიკი ფუნქციონირებდა, საქართველოში აჯანყების ორგანიზების იმედები ოპტიმისტური იყო. საზღვარგარეთიდან ნოდის დაბრუნების შემდეგ, ივნისში, ჩატარდა აჯანყების ორგანიზატორ-ხელმძღვანელთა მთავარი კომიტეტის ყრილობა. „დამკომის“ თავმჯდომარის მოადგილემ, იასონ ჯავახიშვილმა „გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და დაუმატა ვ.ნოდის საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ცნობა, რომ „საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას“

ცნობა დამკომს საკმარისად მიაჩნდა, რომ აჯანყება დაეწყო... გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა (ედპ – გ.ც.) პარტიის თავმჯდომარე შალვა ამირეჯიბი იყო აჯანყების წინააღმდეგი. მისი აზრით ქართველმა ხალხმა უარი უნდა სთქვას აჯანყებაზე, რადგანაც დღევანდელ პირობებში პატარა საქართველო ვერ გაუმკლავდება რუსეთსო. ექიმი მიხეილ იშხნელი აჯანყების მომხრე იყო. ის ამბობდა – საქართველოსთვის დამარცხებული აჯანყებაც გამარჯვება იქნებაო... ელისე პატარიძე არ ენდობოდა ვნოდის მიერ ჩამოტანილ ცნობას და თხოულობდა აჯანყებისთვის მოწყობილი ორგანიზაციების დაშლას... აგრეთვე დაუყოვნებლივ ჩვენი (ე.ი. ეროვნულ-დემოკრატიის) წევრის გაგზავნას ევროპაში, ჩვენი პარტიის წარმომადგებელთა დაკავშირებას და მისგან უშუალო ცნობების მიღებას“.

ს.ზალდასტანიშვილის მიხედვით ხელმძღვანელობაში აზრის ერთსულოვნება იყო. მაგალითად, კოტე ანდრონიკაშვილს ეძახდნენ ეროვნ. დემ. პარტიის ინტერესების დამცველს და ჩვენებმა იასონ ჯავახიშვილი სოც-დემოკრატად მონათლეს“. ეს ტანდემი უბედურების მომტანი გამოდგა. „დამკომმა აჯანყების დღედ დანიშნა 17 აგვისტო“.

ს.ზალდასტარაშვილის გადმოცემით „ასეთი იყო ვითარება პირველიდან ექვს აგვისტომდე, ე.ი. სანამ ჩვენამ (საზღვარგარეთული მთავრობის მიერ აჯანყების მთავარ ორგანიზატორად გამოგზავნილი – გ.ც.) ვ.ჯუღელი დააპატიმრა... ამ დღიდან დაიწყო აჯანყების ჩაშლა. მის დაპატიმრებას (და მოვლენეთა შეფასების განვითარებას – გ.ც.) მოჰყვა გეგმის შეცვლა და აჯანყების ცუდ პირობებში დაწყება“.

ხელისუფლებამ გააქტიურა ჩვენს მუშაობა. განხორციელდა ხელმძღვანელ პირთა დაპატიმრებები და პრევენციული ღონისძიებები. „ამ ამბებმა – წერს ს.ზალდასტანიშვილი, - თავზარი დაგვცა... გამოირკვა, რომ მთავარ-სარდალს (სპირიდონ ჭავჭავაძეს – გ.ც.) აჯანყების გამარჯვების იმედი დაჰკარგოდა და მთხოვა „დამკომისათვის გადაცემა, რომ ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდება. ამ საღამოსვე ვინახულე იასონ ჯავახიშვილი (პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე – გ.ც.) და გადავეცი მთავარსარდალის აზრი. ი.ჯავახიშვილმა შემდეგი სიტყვებით მომმართა: მთავარ-სარდალს გადაეცი, რომ აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს“ (? – გ.ც.)...

„ი.ჯავახიშვილმა „დამკომში“ მოითხოვა მთავარ-სარდალის გადაყენება და მის მაგივრად პოლკ. ქ.ჩოლოყაშვილის კანდიდატურა წამოაყენა. დამკომმა ეს წინადადება არ მიიღო“...

შეცვლილმა მდგომარეობამ დამუშავებული გეგმის შეცვლა გამოიწვია. „დამკომის“ და მთავარსარდალის აზრით თბილისი

აჯანყების ცენტრად ველარ გამოდგებოდა. ამიტომ ქროლოგაშვილის ბანაკი (მანგლისის მიდამოებში – გ.ც.) გამოაცხადეს აჯანყების ცენტრად. პოლიტიკური პარტიები ამას არ იზიარებენ. სოც-დემოკ. პარტია აჯანყების დაწყების დასტურს აღარ აძლევდა. სხვა პარტიებშიც წინანდელი სიმაგრე და ერთაზროვნება აღარ მოსჩანდა. „დამკომი“ იძულებული გახდა ამ მდგომარეობისთვის ანგარიში გაეწია და აჯანყება სხვა დღისთვის (28-29 აგვისტოსათვის – გ.ც.) გადაედო“...

ამის შემდეგ მოვლენებმა კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა არსებული რეალობა. ნათელი გახდა რომ აჯანყების წამოწყება მიზანშეწონილი არ იყო, მაგრამ „დამკომის“ ექსტრემისტულად განწყობილმა და აჯანყების საზღვარგარეთული ცენტრის (ნ.რამიშვილი და სხვ.) ლიდერების მიერ წაქეზებულმა ადგილობრივმა უზენაესმა ხელმძღვანელებმა (კანდრონიკაშვილმა, ი.ჯავახიშვილმა და სხვ.) აჯანყების ავანტიურისტული ტაქტიკის მოხსნა არ ინებეს. ამის გამო ს.ხალდასტანაშვილი წერს: „მართალი რომ ვთქვა, აჯანყების გამარჯვებაზე, ეჭვი ჩემ დღეში არ მეპარებოდა. ახლა კი კარგად ვხედავ, რა ცუდ პირობებში გვიხდებოდა მისი დაწყება“¹⁷.

როგორც გამოირკვა აჯანყებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებისა და „სხიველების“ პარტიების ხელმძღვანელებმა¹⁸. მენშევიკი და ეროვნულ-დემოკრატი ლიდერები კი, ესერ ლიდერებთან ერთად თავისას არ იშლიან, იმის მიუხედავად, რომ ნათლად ხედავენ სავალალო პერსპექტივას.

ჩეკას ხელმძღვანელობამ 27 აგვისტოს აჯანყების ახალი თარიღის შესახებ ფარული ინფრომაცია დაუგზავნა ადგილობრივ სახელისუფლო და ძალისმიერ ორგანოებს და მოსამზადებელი სამუშაოების გატარებისკენ მოუწოდა. ამასთანავე გახმაურებისა და განგაშის გარეშე, უფრო საფუძვლიანად შეუდგა აჯანყების სისხლში ჩამხშობი, წინასწარი სამუშაოების მომზადება-უზრუნველყოფას. ხელისუფლებამ და ჩეკამ პარიტეტული კომიტეტის ავანტიურისტული წინდაუხედაობა გამოიყენა ბოლშევიზმის მიმართ უკმაყოფილო მასების და განსაკუთრებით კი, მათი ექსტრემისტი ლიდერების ამოძირკვის საბაბად. სხვადასხვა ცნობებით აჯანყებას 4-5 ათასამდე პატრიოტი და თითქმის ყველა ადგილობრივი ანუ საქართველოში მებრძოლი და ლიდერი შეეწირა. უდროოდ, ანუ უმოძენტოდ წამოწყებული აჯანყების გამო ზოგი იმ მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი, რომ იძულებული გახდა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა. ამის 1924-1925 წლების სტატისტიკა ხელისუფლებამ ისევე მიჩქმალა, როგორც აჯანყების გამო მოსპობილთა საერთო რაოდენობა, მაგრამ არქივს შემორჩა 1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის ოქტომბრამდე, ერთი წლის მანძილზე საქართველოში

განხორციელებული თვითმკვლელობების დამაფიქსირებელი 121 შემთხვევის მაჩვენებელი. მათ შორის თბილისის მასშტაბით განხორციელდა 18 თვითმკვლელობა, ოზურგეთში – 15, ხოლო ქუთაისის მიხედვით – 21. ჩემს მიერ გამოვლენილმა და გამოქვეყნებულმა ამ უაღრესად მრავლის მეტყველმა წყარომ ნათლად დაადასტურა ლიდერებს მინდობილთა სულიერი ფიასკო. ლ.ჯიქია კი, შ.ამირეჯიბის ნათქვამზე დაყრდნობით ცდილობს მკითხველის დარწმუნებას იმ გაუგებრობაში, რომ თითქოს მსხვერპლის გამო უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა. ასეთი აზრი პროპაგანდისტულია და არ ასახავს სინამდვილეს. რადგან 1925-1926 წლის ოქტომბრის მონაცემებით საქართველოს №1 და №2 ციხეებსა და ჩეკას იზოლატორში იჯდა 3500-მდე პატიმარი ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი. სავარაუდოა, რა მდგომარეობა იქნებოდა 1924 წელს.

გიორგი წერეთელმა პარიზის 1925 წლის 24 იანვრის სხდომას, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები – ჩხეიძე, გობეჩია, კედია – აგრეთვე საქართველოს ლტოლვილი აჯანყების ლიდერები – ამირეჯიბი, ქავთარაძე, ზაღდასტანიშვილი, გ.წერეთელი და რომელსაც თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე, განუცხადა: ამბობენ „...4 ათასი კაცი დაიხვრიტაო... მოვახდინეთ ანკეტა და 5093 კაცი იყო დახვრეტილი და აქედან 2500-ს (ჰქონდა – გ.ც.) ბანდიტის სახელწოდება... იმიტომ, რომ ჩოლოყაშვილთან ჰქონდა საქმე“¹⁹. მრავალი ავტორი წერს, რომ მხოლოდ სამეგრელოში დახვრიტეს 1000 კაცამდე. საქართველოდან მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა საზღვარგარეთ გახიზვნა და შემდგომი ცხოვრება სამშობლოს, ოჯახებს, თუ ახლობელ ადამიანებს მოწყვეტილ, მუდმივ გაჭირვებაში გალია.

ს.ზაღდასტანიშვილმა საზღვარგარეთ ჩატარებულ სხდომებზე არაერთი საყურადღებო ინფორმაცია გამოამჟღავნა და შესაბამისი ახსნის შემცველი აზრიც გამოსთქვა. 1925 წლის 17 იანვრის სხდომაზე, თავისი მოხსენების დროს, მან აღიარა: რამიშვილმა ორი წერილი მოიწერა მაისში. „აქედან, რომ დახმარების იმედი გადაჭრით არ ყოფილიყო, აჯანყებას არ მოვახდენდით... ნ.ჟორდანიას წერილი ისე გავიგეთ, რომ გამოსვლა უნდა მომხდარიყო... რადგან როდემდე უნდა ვუცადოთ რუსეთის აჯანყებასო... მიწერ-მოწერა რენოდელის, მაკდონალდის; პოლონეთი გვპირდება იარაღს, ინგლისი წინასწარ მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას“...

ქაქუცამ დასძინა: „ეს კოტემაც სთქვა გამოსვლის წინ, ტყეში, ხალხის წინ“.

ს.ზაღდასტანიშვილი: „დაპირება იყო თუ სამი კვირა იქნებოდა აჯანყება, გვექნებოდა 50 000 კაცის იარაღი პოლონეთიდან, ფული და დიპლომატიური ჩარევა“. დაპირება მართლაც იქნებოდა, მაგრამ ხელმძღვანელ-ორგანიზატორთა მხრივ გამოწვეული უბედურება

იმაშია, რომ დაპირებები დაპირებად რჩება, ხალხი კი უბედურებათა მსხვერპლი ხდება.

ს.ხალდასტანიშვილმა ჩხენკელის რეპლიკის პასუხად განაცხადა: „ჯუღელმა თქვა: „გეგმეჭკორი შეხვდა არნოში ერიოს და ეთქვას, რომ დაეხმარებოდა. მიწერ-მოწერა რენოდელთან და წერილი მაკდონალდისა წერეთელთან; ეს წერილი ამბობდა, რომ თქვენი საკითხი დაისვას, ეს ერზეა დამოკიდებული და ამიტომ რამე უნდა გააკეთოთ“²⁰. ასევე უაღრესად საყურადღებოა ს.ხალდასტანიშვილის მიერ გამოთქმული აზრები 1925 წლის 24 იანვრის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გ.წერეთელი, კ.ჩხეიძე, გობეჩია კელია, ამირეჯიბი, ქავთარაძე და თავმჯდომარეობდა კ.ჩხეიძე. აქ ს.ხალდასტანიშვილმა ცხადყო, რომ: „დამკომმა ზოგიერთის (ს.დევდარიანისა და სხვ – გ.ც.) დაჭერის შემდეგ გადაწყვიტა ორი კაცი გაეგზავნა – ნაციონალ დემოკრატი და სოციალდემოკრატი, რომ გაეგო აქაური მდგომარეობა და პასუხი გაეცათ რა გზას დაემდგომოდით, სხვას, თუ ამ გზით გვევლო. უფულობის გამო წავიდა (მხოლოდ მენშევიკი – გ.ც.) ნოდია. მას დავალებული ჰქონდა, თუ გამოსვლა გადაწყდებოდა, ხელმძღვანელი ხალხი ჩამოეყვანა, როგორც ჩვენი (ანუ ედპ – გ.ც.), ისე სხვები, ნოდიათ გვიპასუხა ნაც. დემოკრატები არ მოვიდნენო (როგორც ცნობილია გამოაგზავნეს ცნობილი მენშევიკი ლიდერები – გ.ც.)...“

ნოდიათ ჩამოიტანა ცნობა, რომ უნდა გამოვსულიყავით... სამხედრო კომისია მუდამ ესწრეფოდა (დამოუკიდებლობის კომიტეტის – გ.ც.) პრეზიდენტს და გვიკითხავდნენ მოხსენებას თუ ევროპიდან რას მოველოდით... პოლონეთი 50 000 კაც. იარაღ. საფრანგეთი დაპირებია“...

როგორც ვხედავთ, საქართველოს ბოლშევიკური რუსეთისათვის პრობლემის შესაქმნელად აქეზებენ, დაპირებები კი, არაფრით არ იყო გამაგრებული და ისე ჩანს, რომ ეს საბჭოთა რუსეთის ტოტალიტარული რეჟიმისგან სამშობლოს ხსნით დაინტერესებული და დაკავებული ლიდერები ამას რატომღაც თითქოს ვერ ამჩნევენ. ისინი ჭკვიან ქართველ მოღვაწე ლიდერების (ნ.ნიკოლაძე, სპ.კელია და სხვ.) რჩევა-დარიგებებსაც არ იჯერებენ. რა არის ეს? როგორ უნდა აიხსნას? რომანტიზმია თუ ექსტრიმიზმი და ავანტიურიზმი?!

§4 1924 წლის აჯანყების გაგება მისი სხვა ხელმძღვანელების ნააზრევთა მიხედვით

დავით მხეიძე, რომელიც სენაკის აღებას, მაზრის აჯანყებასა და მის სამეგრელო-აფხაზეთზე გავრცელების ამოცანის შესრულებისთვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა, მოგვითხრობს: „ჩემი შეხედულება საბოლოო გამოსვლების შესახებ სრულიადაც არ განსხვავდებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას შეხედულებებისგან – სახელდობრ, რომ ჩვენი გამოსვლა მთლიანი ამიერკავკასიისა და მთის მასშტაბით უნდა შეგვეფარდებინა, ან საერთოდ რუსეთის შინაურ რღვევის პროცესისთვის, ანდა ევროპის სახელმწიფოების მიერ რუსეთის მიმართ აქტიური სამხედრო გამოსვლებისათვის, თუ კი ან ერთი ან მეორე ფაქტი გახდებოდა. ჯერ არც ერთი და არც მეორე (და არც მესამე – გ.ც.). როგორც ნაც. დემოკრატიული პარტიის ცეკადან მატყობინებდნენ, მოახლებული არ იყო. ჩვენც ამის შესაფერისად შედარებით შორეული მომენტისათვის ვემზადებოდით, მაგრამ 1924 წლის მაისში ჩვენს მზადებაში სულ სხვა ტემპი შემოიტანა ევროპიდან ჩხიკიშვილისა და ჯუღელის შემოსვლამ.

პარიტეტული კომიტეტის გადმოცემით, მოახლოვდა დრო ჩვენი საბოლოო გამოსვლის.

ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო რეალურ დახმარებას გვპირდება, ზოგი სხვა კიდევ მორალურს.

ერთი სიტყვით, ჩვენი გამოსვლა და ევროპის აქტიური დახმარება ფაქტი იქნებოდა, რომ საგანგებო დავალებით ჩამოვიდნენ ევროპიდან ჩხიკიშვილი და ჯუღელი – ასეთი მითქმა-მოთქმა არის სამეგრელოში...

აჯანყებამდე დაახლოებით 5 დღის წინ მე დამიკავშირდნენ სამეგრელოში პარიტეტის ორი რწმუნებული... სოციალ დემოკრატი და ნაციონალ დემოკრატი... გადმომცეს, რომ გადაწყვეტილია პარიტეტის მიერ, მოხდეს შეიარაღებული გამოსვლა ამ დღეებში, რომ ჩვენთან ერთად გამოდის აზერბაიჯანი და მთა; რომ ევროპიდან მიღებული გვაქვს 50 000 კაცის სრული შეიარაღება, რაც ოსმალეთში იმყოფება და საქართველოსაკენ მოაქვთ. გამოვლენ 1000-მდე მოხალისენი ევროპიდან, რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი უკვე მოსულია ბათუმში და სხვა. გადმომცეს სხვა საჭირო განკარგულებები და სამხედრო ცენტრის (კომისიის – გ.ც.) გადაწყვეტილება, რომ მე მევალებოდა სამეგრელოს დაკავება, შემდეგ ვინიშნებოდი სამეგრელო-აფხაზეთის ცხენოსანი რაზმის სარდლად და ფოთის მიმართულებით უნდა გავლაშქრებულიყავით სოხუმზედ. ასევე უნდა წამოსულიყვნენ სვანებიც დალის მიმართულებით...¹ (არა და, ამ ცნობებს რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა – გ.ც.).

ამის შემდეგ მოვახდინე მობილიზაცია. შევეყარე სულ 700-800 კაცამდე და გავხსენი ფრონტი და ორი მიმართულებით, ფოთისა და აბაშის. აღსანიშნავია, ხალხის სულისკვეთება. მათი ზეიმი. ეროვნული დროშებით გამოფენა. მებრძოლი სულის აღტკინება და იარაღის ასხმა ვისაკ კი შეეძლო...

ამის შემდეგ ვღებულობ ცნობებს, რომ გარდა იმ უამრავი ძალისა, რომელსაც სამტრედიის მიმართულებით შევხვდით, ზურგიდან გვივლიან დიდი ძალები სოხუმიდან.

სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული გავხდი უკან დამეხია... დავიხიე სვანეთის მიმართულებით... მაგრამ ბოლოს როდესაც სვანეთიდან ცნობა მივიღე, რომ ყარაჩაიდან რუსები შემოდოდნენ, გავეშურე სვანეთისკენ, სადაც რამდენიმე ბრძოლის შემდეგ მოგვიხდა შეჩერება და დაშლა...

უნდა ავღნიშნო, რომ ტრიალებდა დიდი შურისძიებისა და სისხლის აღების სურვილი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხი უკმაყოფილოა ამ აჯანყების მეთაური ორგანოსი, რომელმაც ვერ შეარჩია აჯანყებისათვის მომენტი და ეროვნული ძეგლები უდროოდ გაანადგურა.

P.S. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანაკლია-სოხუმში (! – გ.ც.) ზღვით გადმოსხეს რამდენიმე დესანტი, რომელიც შემოვიდა სამეგრელოში. (აქ საჭიროა ჩავართო სხვა დამატებითი ცნობები, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩა სამეგრელოს და კერძოდ ზუგდიდის მაზრის აჯანყების ისტორიის მკვლევარ ლ.ჯიქიას. ანაკლიაში დესანტის გადმოსხმას ადასტურებს სხვა წყაროები. გაზეთ „კომუნისტის“ 1924 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ასეთი ცნობები: „აჯანყების პირველსავე დღეს ანაკლიას მიდამოებს შემოესმა ფოთიდან მოსული პარახოდის გუდოკი“; „ბათუმის მუშები პირველნი მიეშველნენ გურიას... იგივე მოხდა ფოთის რაიონშიც. პირველი დაძახებისთანავე მუშები შეიარაღდნენ და გააგზავნეს თავიანთი რაზმები ზუგდიდელი ამხანაგების დასახმარებლად“ - მ.კახიანი). დ.მხეიძე კი, აგრძელებს: მათ შეუერთდა თბილისიდან მოსული რუსისა და სომხის ჯარი... მათი მიზანი იყო აქედან ენგურის ხეობით შეჭრა სვანეთში... სვანეთში შემოდინა წითლები ყარაჩაიდან და ლეჩხუმიდან... სამეგრელოში დახვრეტილია 1000 კაცზე მეტი“². დ.მხეიძის, მ.კახიანისა და სხვა ცნობები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მათ ზუგდიდის მაზრის ქვედა ზონის სოფლების აჯანყებულთა პირველ დღეებში დაფიქსირებული განსაკუთრებული საბრძოლო აქტიურობის მყისიერი ჩაქრობის ბოლომდე გაურკვეველი მიზეზის ახსნაში ერთგვარი სინათლე შემოაქვთ.

დ.მხეიძის მოხსენებაში წარმოჩენილი ინფორმაცია ძირითადად და პრინციპულად შეესაბამება სხვა რეგიონების წარმომადგენელთა ინფორმაციას. მაგრამ იგი ერთადერთიც რომ იყოს მაინც

თვალსაჩინოა საქართველოში აჯანყების ექსტრემისტულ-ავანტიურისტულად ორგანიზების გაგებისათვის.

აჯანყების დამარცხებით გულგატეხილთა აზრი გამოხატა ეროვნულ დემოკრატი ახალგაზრდობის ლიდერმა ხუხუ ხუფერიამ. იგი ჩეკას პატიმრობაში წერს „აღსარების“ მსგავს ჩვენებას, რომელშიც ვკითხულობთ: ციხიდან გამოსვლის შემდეგ, „1923 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დამიბარა წინამძღვრიშვილმა და შემომთავაზა კვლავ ჩავბმულიყავი მუშაობაში. მისი ახსნა იმდენად დამაჯერებელი იყო და სრულიად პერსპექტიული, რომ მე ვერ უარყავი. გრანდიოზული გეგმა იყო. აჯანყების მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ საქართველო, ზერბაიჯანი, მთელი ჩრდილოეთი კავკასია და ყუბანი, რაც შეეხება სომხეთს, იგი თავიდან ამ კონცერტში არ მონაწილეობდა, მაგრამ შემდგომ გარემოებას შეეძლო აეძულებინა საერთო საქმიანობაში ჩაბმა. საქართველოში საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ იგი უნდა აჯანყებელიყო, როგორც ერთი კაცი. რჩებოდა ერთი აფხაზეთი და მე იქ უნდა წავსულიყავი. ...დეკემბერში მან სთქვა ჩვენ არ ვიმედოვნებთ ევროპის რეალურ ძალას, მაგრამ ამ გეგმით მომხდარი აჯანყება მიგვიყვანს ჩვენი მიზნის აღსრულებამდე, და მართლაც დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თუ აღსდგებიან რამდენიმე მილიონი ეროვნებები, რუსეთს საწინააღმდეგო არ უნდა ჰქონდეს, რადგან იგი თავისი დეკლარაციებით თვითგამორკვევის პრინციპის დამცველად გამოდის“. ეს რომ ილუზია აღმოჩნდა, ამის შემდგომ ახალი ვითარებისა და მსხვერპლის გათვალისწინებით ახალ პრინციპულ საფუძველზე მომხდარი „მასიური“ აჯანყების გამო ხ.ხოფერია დაასკვნის: „ეს მგონი ესე არ იყო მოწყობილი. რატომ მოხდა ეს მე დღემდე არ ვიცი (!!! – გ.ც.). მე გატაცებული ვიყავი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით და ხშირ შემთხვევაში ბრძად მჯეროდა ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება. მე ქართველი პატრიოტი ვარ და ჩემთვის საქართველოს განთავისუფლება – ესაა წმინდათა წმინდა“. ამ რწმენით მე ჩავები ამ საქმეში და დავდიოდი მანამდე, ვიდრე საქართველოს განთავისუფლების ადგილას არ მივიღე დამსხვრეული სინამდვილე (უნდა ითქვას, რამ ქართველებს მოკავშირე არ აღმოაჩნდათ, ევროპამ დაგვცინა. პოლონეთის ქცევას ზოგი თანაგრძნობად თვლის. ეს ჩემი აზრით, საშინელი დაცინვაა, სისხლი შეფასდა 10 000 მანეთად. მე ეს მიმაჩნია საშინელ ცინიზმად... მე ამით ვერ ვმშვიდდები (როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს აჯანყების წინ „პარიტეტული კომიტეტის“ მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული თანხა – გ.ც.).

როცა საკითხი ერთა ლიგაზე დაისვა, ჩემთვის საკითხი გაირკვა - „მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მისატანად“. ჩვენ მაშინ წავაგეთ ჩვენ საქმეში, როცა იგი გადაიქცა II ინტერნაციონალის პრესტიჟის აღმდგენად. ერთა ლიგა ინვალიდების

საზოგადოებაა. რა უნდა ქნას ერთა ლიგამ, როცა მე უფრო რეალურ ძალას წარმოვადგენ, ვიდრე ის, და როცა მას ერთი დაქანგული რევოლუციონერი არ აბადია. მე მათ იმედზე არასდროს ვიყავი, მითუმეტეს დამარცხების მერე, მაგრამ ქართველი საზოგადოება ამ მირაჟით ცხოვრობდა და სამწუხაროდ ახლაც ცხოვრობს. ყოველივე ამან და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სხვებისთვისაც გასაგები გამეხადა, რაც ჩემთვის ცხადი იყო. ამ მიზნით გადავწყვიტე მომეწვია თბილისის ახალგაზრდა ორგანიზაციების ყრილობა და მათთვის მთელი სიმართლე მეთქვა.

ამ ყრილობაზე უნდა გამეკეთებინა ორი მოხსენება. ერთი, ინფორმაციული, მომხდარ ამბებზე, ხოლო მეორე ჩვენი ახალი მიმართულებისა და ტაქტიკის შესახებ.

ამ შემთხვევაში ჩემი აზრი იყო ასეთი: საქართველოს საკუთარ ძალაზე დაყრდნობით განთავისუფლება არ შეეძლო. მოკავშირეები არ აღმოგვაჩნდა. მარტონი დავრჩით. ისმება კითხვა: ვიბრძოლოთ თუ არა. ბრძოლა ორგვარია – აჯანყება და კულტურული მუშაობა (დიახ, კულტურული მუშაობაც შეიძლება ბრძოლა იყოს. მაგალითად ქართველი პატრიოტი მწერლებისა და მემარჯვენე პროფესორ მასწავლებლებისა, სიტორიკოს ბ.კუპატაძეს კი, იგი კომფრომიზმი ჰგონია – გ.ც.). შეიძლება თუ არა პირველი გზით სვლა – ამისთვის გლახობას ვეღარ მივიძნობთ. მუშათა კლასის ნაწილი – კომუნისტურია, ნაწილი ნეიტრალური, ნაწილი სრულიად დამუნჯდა. ეროვნული იდეის მატარებელია საერთოდ ინტელიგენცია, მაგრამ ინტელიგენცია, როგორც სოციალური კატეგორია ბარიკადებზე არ აღსდგება. რევოლუციების ისტორიას ასეთი მაგალითი არ ახსოვს – გამოვა მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი. არ გამოვლენ ქალაქელი მეშჩანები, წვრილი ბურჟუაზია და საერთოდ ბურჟუაზიას ბერიკადებზე ბრძოლა არ ძალუძს. მაშასადამე რომელი სოციალური კატეგორია დარჩა? – მე სხვა არ ვიცი.

ცხადია, რომ აჯანყების საკითხი იხსნება დღის წესრიგიდან, დარჩა კულტურული მუშაობა...³.

ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზატორთა ტაქტიკისა და ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ფორმების შეფასება-დაფასების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ს.კედიას მეგობრის, ლელი ჯაფარიძის 1926 წლის 16 ივნისს თბილისიდან გამოგზავნილ წერილში ასახული აზრი. იგი ს.კედიას წერს: „შენი დაფასება მდგომარეობის სავსებით სწორია და უტყუარი... ხელისუფლება პროპულიარული არ არის არცერთ წრეში, მაგრამ აგვისტოს ამბების შემდეგ ხალხის ნებისყოფა ისეა მოტეხილი, რომ მის აქტივობაზე ფიქრი არ შეიძლება. მაგრამ არანაკლები აღშფოთება მენშევიკების მიმართ... შალვა (ამირეჯიბი – ო.ჯ.) და გიორგის (გვაზავას – ო.ჯ.) პოზიცია აქ არავის არ მოსწონს და უარყოფითად არის დაფასებული. ჩვენი წრეები კატეგორიულად

წინააღმდეგეები არიან რაიმე თანამშრომლობაზედ მენშევიკებთან... ქართული კულტურული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ავანგარდად ეს ყოფილი მენშევიკები გამდიან... ქართულის მწერლობა და უნივერსიტეტი – ეს ორი ძალა პირდაპირ დაუძღვეველი შეიქმნა ბოლშევიკებისათვის და თუმცა აუცილებელი კომპრომისებით, მაგრამ მაინც შეინახეს დღემდის თავი...“⁴ (ხაზგასმა ჩემია და ამ ფაქტის დამამტკიცებელი წყარო სხვაგვარადაც მრავლად გვხვდება – გ.ც.). აქედან ისიც ჩანს, რომ აჯანყების გამო და მის შემდეგ ტაქტიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით უფსკრული გაითხარა ამ ორი პარტიის ხელმძღვანელობას შორის. არსებული ხელისუფლებისათვის დაუძღვეველთა შორის დასახელებულია კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლი ქართული პატრიოტული მწერლობა და უნივერსიტეტი. არა და ზოგი ისტორიკოსი აცხადებს, რომ: კომპრომისი არის კომფრომიზმი. თითქოს უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურა ხელისუფლების მიმართ კომფორმისტულ პოლიტიკას აწარმოებდა და კომპრომისული ტაქტიკით ბრძოლა ხელისუფლებასთან საერთოდ შეუძლებელია. მაშასადამე, მათი აზრით, უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურისა და მათი მიმდევარი სტუდენტობის 20-30-იანი წლების კომპრომისული „ბრძოლა“ ცხადდება კომფრომიზმად, რაც გაუგებრობაზე დამყარებული შეცდომაა.

1924 წლის აჯანყების შედეგებითა და მისი შემდგომ პარტიის ხელმძღვანელთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ განსჯის საყურადღებო მდგომარეობას ასახავს ემიგრაციაში გახიზნულთა უკიდურესად დაძაბული და ხშირ შემთხვევაში მტრული ურთიერთდამოკიდებულება. ამის საილუსტრაციოდ საჭიროა გავიხსენოთ კომუნისტების მიერ გადაბირებული პროზელიტის, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელისა და ლიდერის, გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობა. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოში უდროოდ ორგანიზებული აჯანყების წინასწარი, უნებლიე გამჟღავნების გამო სასოწარკვეთილებამდე მისულმა სახელმწიფო და პარტიულმა მოღვაწემ, კარლო ჩხეიძემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე⁵.

საყურადღებოა პარიზის ეროვნულ-დემოკრატთა, სპ.კედიას და ალ.ასათიანის მიერ მოწვეულ 1927 წლის 1 დეკემბრის ყრილობაზე საქართველოდან ახლად ჩასული ს.ანთელავას საჯარო განცხადება: „...ერმა მრავალი უბედურება გადაიტანა ინტერნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკის მეოხებით... ჟორდანიას-რამიშვილის აგენტებმა მრავალი უბედურება მიაყენეს ხალხს და უკანასკნელად 1924 წელს გადააგდო საშინელ უბედურებაში. ეს ხალხი ახლაც ასეთს ავანტიურისტულ გზას ადგას და კვლავ ახალი უბედურებები მოგველის თუ ჩვენ ძველებურად მათი იარაღი ვიქნებით“⁶.

მენშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ასეთი შეფასების გამო, დამსწრეთაგან, ს.ანთელავას წინააღმდეგ პროტესტი არავის გამოუთქვამს. ეს იმით აისახება, რომ სპ.კელიას მიმდევარი ეროვნულ-დემოკრატები 1924 წლის აჯანყებასთან მიმართებაში სოციალ-დემოკრატებისა და ჟორდანი-რამიშვილის მიმდევართა შეფასებაში სოლიდარული იყვნენ და აჯანყებასთან დაკავშირებით მათ როლს, ისე, როგორც სოციალისტ-ფედერალისტები, ავანტიურად აფასებდნენ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აჯანყების მომდევნო 1925-1926 წლის 25 ოქტომბრის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში დაფიქსირდა 121 თვითმკვლელობა. მსგავსი მოვლენების კატეგორიას განეკუთვნება დავით ვახნაძის მიერ პარიზიდან პოლონეთში, შ.ამირეჯიბისთვის, 1930 წლის დეკემბერის თარიღით გაგზავნილ წერილში აღწერილი ამბებიც.

დავით ვახნაძე აღწერს: 1930 წლის 1 დეკემბერს ეროვნული კრების დროს მომხდარ ინციდენტს, სადაც ერთმანეთს მწვავედ დაპირისპირებიან ე.გეგეჭკორი და ნ.რამიშვილი. სხდომა მიმდინარეობდა ნ.ჟორდანიას თავმჯდომარეობით. აქ გეგეჭკორს უთქვამს: „შენმა ვერაგულმა პოლიტიკამ დაგვინგრია ერთობა და დაგვაკარგინა ენა იმ პოლიტიკურ ბანაკთან რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში წარსულ წლებში და არანაკლებ როლს ითამაშებს მის საბოლოო განთავისუფლების საქმეში“...

ეს „თქვა გეგეჭკორმა და გაუშალა ზორბა სილა მის ავტორს. ამიერიდან რამიშვილის ბატონობა გათავისუფლებულია“. ჟორდანიას თითქმის გულწასული გაიყვანეს პოდრუჩკით⁷.

1930 წლის 17 დეკემბერის დ.ვახნაძე შ.ამირეჯიბს ატყობინებს ნ.რამიშვილის მკვლელობას: „მენშევიკების ტერორისტულ სკოლაში აღიზარდა ჭანუყვაძე, რომელმაც მოკლა გამზრდელი – თქვა მან პარიზის ორგანიზაციის 1932 წლის 10 იანვრის სხდომაზე“. „ასე საშინლად უზღო იმ წრეს, იმ პოლიტიკას და მათ ბელადს, რომელმაც 30-ს წელიწადს მოიყვანა ქართველობა, ერთმანეთზე უხია და მათი საბრალო სამშობლო სისხლის მორევში ჩააყენა“. „მათ ხელში ბევრი კაი წამალი საწამლავად ქართველი ერისათვის გადააქცია რამიშვილის დამღუპველი პოლიტიკის ფესვებმა“⁸.

როგორც ადრე გავეცანით, შ.ამირეჯიბი „ჭკვიან ქართველად“ ასახელებს ნ.ნიკოლაძეს და იმათ, რომლებიც ჯერ კიდევ საუბედუროდ მოწყობილ 1924 წლის აჯანყებამდე გაერიდნენ მას და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში და ძალით შეეცადნენ საკუთარი ხალხისთვის აერიდებინათ იმთავითვე კარგად მისახვედრი, დიდი უბედურების მომტანი აჯანყება. მსგავსი ანალოგიური მაგალითებით ცხადი ხდება, რომ ჩვენ ისინიც შევისწავლეთ ვინც დაგმო აჯანყების უხენაესი ორგანიზატორები. მსგავსი ჭკვიანი ქართველები იყვნენ აგრეთვე: მენშევიკების ოპოზიციონერი

„სხიველების“ ლიდერი, ნოე ჟორდანიას მთავრობის მინისტრი და ყოფილი საგანგებო რწმუნებული გრიგოლ გიორგაძე; მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების მეთაურები - გრიგოლ რცხილაძე, სამსონ დანიანი და ალექსანდრე ბოკერია; მენშევიკური ხელისუფლების დროინდელი გენერალი და თბილისის გუბერნატორი - შალვა მაღლაკელიძე; ცნობილი მხედართმთავარი - გიორგი მაზნიაშვილი; საქართველოში მოღვაწე ეროვნული ინტელიჯენციის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი და მისი მხარის დამამშვენებელი, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული მუშაკები, მათ შორის შ.ნუცუბიძე და მ.ჩიტაია. ასეთი ჭკვიანი ქართველები გამოდგნენ პატრიოტი ქართველი მწერლები, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვანი, რომლებიც გაემიჯნენ ექსტრემისტულად, უდროოდ ორგანიზებული აჯანყების ხელმძღვანელებს და სწორი, კომპრომისული ტაქტიკით უპირისპირდებოდნენ, ანუ ებრძოდნენ საბჭოთა ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის მსახურებს. მათ იმთავითვე სწორად შეაფასეს ეროვნულ ძალთა შესაძლებლობები, ასევე ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება, ამიტომ ეროვნული ძალებისა და ენერჯის დაზოგვა – მოფრთხილებაზე აიღეს გეზი, აჯანყებაზე იმთავითვე უარი თქვეს და მომენტის შესაბამისი ტაქტიკა აირჩიეს. ისინი აჯანყებას თავიდანაც გაერიდნენ და ამჯერად არც სტუდენტები აამხედრეს. ხოლო შემდგომში კი, მდგომარეობის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სწორი, მეცნიერული შეფასება მისცეს არამარტო 1924 წლის აჯანყებას, არამედ აჯანყების მეთაური ცენტრების ხელმძღვანელთა ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ ტაქტიკასა და ამ ტაქტიკით განხორციელებული აჯანყებით გამოწვეულ მსხვერპლს.

მენშევიკების მთავრობის წევრებიც „ჭკვიან ქართველებად“ გამოვლინდნენ მაშინ, როცა მათ ემიგრაციაში გახიზვნამდე ბათუმისა და აჭარის დედასამშობლოს ფარგლებში დატოვების და აქედან თურქების განდევნის საკითხში საოკუპაციო ძალებთან კომპრომისი გამონახეს და შესაბამისი ღონისძიებები უზრუნველყვეს. სამწუხაროდ ისტორიის ასეთი, მძიმედ დასაძლევი ქარტეხილების დროს, საქართველოს ზოგ მესვეურს, მსგავსი გონიერების გამოვლენის უნარი არ აღმოაჩნდა და ერს დიდი უბედურება წაჰკიდა.

მას შემდეგ, როცა მენშევიკებს გრიგოლ გიორგაძის მეთაურობით, „სხიველების“ სახით გამოეყვნენ უკმაყოფილონი, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს აგრეთვე რუსული იმპერიალიზმის გამტარებელ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, გ.გიორგაძე ჩეკას საპატიმროში აღმოჩნდა. აქ მან ჩვენების მიცემის დროს გულწრფელად აღიარა, რომ „დაპატიმრებამდე იყო სხიველების პარტიის ცეკას თავმჯდომარე... იღებდა მონაწილეობას პარიტეტული კომიტეტის შექმნის შესახებ გამართულ მოლაპარაკებასა და შეთანხმების დადებაში“... (მისმა „პარტიამ

თავის წარმომადგენლად გაგზავნა მუხრან ხოჭოლავა“, მაგრამ „უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ (1922წ. – ავტ.)... რადგან იგი არ ეთანხმებოდა პარიტეტული კომიტეტის ხაზს ინტერვენციისა და შეიარაღებული აჯანყების საკითხში, კომიტეტში თავისი წარმომადგენელი არ გაუგზავნია“. გრიგოლ გიორგაძემ თავის პირბელ ჩვენებაში აღიარა, რომ სხიველები „არ ამხელდნენ პარიტეტული კომიტეტიდან თავის გამოსვლას“, რადგან მენშევიკები „სხიველებს“ ჯაშუშად მონათლავდნენ და ტერორს დაუწყებდნენ“. მისი ეს ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ჩვენებაში გადათქვა, მართლაც ასახავს მენშევიკების ზოგი ეროვნულ-დემოკრატიული და განსაკუთრებით მათი მიმდევარი ახალგაზრდების ტერორისტულ საქმიანობას. ამ სინამდვილეს დამატებით გვიდასტურებს 1925 წელს პარიტეტული კომიტეტის წევრთა სასამართლო პროცესზე საჯაროდ გამოთქმული მენშევიკების ცეკას ყოფილი თავმჯდომარის, სეით დევდარიანის განცხადება. იგი ადასტურებს, რომ „პარტიიდან გასვლასაც დალატად მიიჩნევდნენ“⁹. მათ არაერთი მოღალატე მოსპეს, მაგრამ ამასთანავე ზოგ ეროვნულ დემოკრატიულ ლიდერთა (გ.წინამძღვრიშვილის, ი.ჯავახიშვილის, მ.იშხნელისა და სხვათა) თანხმობით თავიდან, დალატის გამო, ეჭვი მიიტანეს მენშევიკების ლიდერების (ბ.თევზაიას და ნ.ხომერიკის) და ბერიას ორმაგ აგენტ ა.ბენდელიანზე, და მისი მოკვლაც განიზრახეს. მაგრამ მას შემდეგ როცა მან შეძლო გასყლდომოდა და მიმალულიყო, ერთი თვის მერე კი, ეჭვის ნიადაგზე, 1923 წლის 1 აპრილს, სიცოცხლეს გამოასალმეს უდანაშაულო და ერის წინაშე დამსახურების მქონე, ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას და „პარიტეტულ კომიტეტთან“ არსებული სამხედრო კომისიის ახალგაზრდა წევრი, კალისტრატე (კალე) მისაბიშვილი.

„სხიველების ტაქტიკის თავისებურებას ასახავს, აგრეთვე მათ მიერ თავიანთ მე-3 პარტიულ კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია, რომლითაც აჯანყებამდე დაადასტურეს „პარიტეტული კომიტეტიდან“ გასვლა.

ცნობილი მხედართმთავარი გიორგი მაზნიაშვილი 1925 წლის 12 სექტემბერს პარიზში დაწერილ „მოხსენებაში“ წერს: „არამც თუ არ ვიზიარებდი ამ აჯანყების ინიციატორების თვალსაზრისს, არამედ ღრმად შემოფოთებული ვიყავი, როცა გავიგე, რომ რამიშვილის თანამოღვაწეები უცერემონიოდ თაოსნობდნენ ჩემი სახელით და ავტორიტეტით, ხალხს ატყუებდნენ თითქოს, გენერალი მაზნიევი დატვირთული გემებით დესანტს ამზადებს საქართველოს საზღვრებთან“. 1927 წელს კი, იგი თავის დასტამბულ მოგონებებში აღნიშნავს, რომ როცა 1923 წელს პარიზში ჩავიდა ნ.ჟორდანიას მთავრობის წევრებს და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს გააცნო საქართველოში არსებული ვითარება, აჯანყების

შემთხვევაში ემიგრაციის დახმარების იმედები და ამის შემდეგ დასძინა: „გავეცანი ამ მიმართულებით ნ.ჟორდანიას მთავრობის მუშაობას და როცა დავინახე, რომ უცხოეთის მთავრობათა მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ არის და არ შეიძლება იყოს, მე განვაცხადე, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობის ყოველი ცდა წარუმატებლობისთვის არის განწირული, გამოიწვევს სისხლის ღვრას და ავანტიურად გადაიქცევა“. ზოგი ისტორიკოსის ლოგიკით ისე გამოდის, რომ გენერალმა მაზნიაშვილმა „კომუნისტების შემოგდებული ტერმინი“, ჯერ კიდევ აჯანყებამდე გამოიყენა, მაგრამ ასე არ იყო. 1924 წელს როცა გახმაურდა ვ.ჯუღელის და სხვათა დაპატიმრების ამბავი, ამის შემდეგ, გ.მაზნიაშვილი მთავრობის წევრთა დავალებითა და დახმარების შესაძლებლობის გასაგებად შეხვდა საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს პოლკოვნიკ ფურნიეს. მას ქართველი გენერლისთვის რუკაზე მითითებით უთქვამს: „აი კოლოსალური რუსეთი და აი თქვენი პატარა საქართველო – შეგიძლიათ თქვენი მცირე ძალებით მისი დამარცხება? თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და საფრანგეთის შიდა მდგომარეობის გამო ჩვენი მხრიდან რაიმე დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ“. მაზნიაშვილს ივლისის დამლევს გაუგია მარსელში ვ.ნოდის ვიზიტის შესახებ. მონარქისტებთან ახლო მდგომ წრეებს კი, უცნობებით „საქართველოში აჯანყება მზადდებაო“, მაშასადამე ემიგრაციაში საქართველოს მოსალოდნელი აჯანყების შესახებ იცოდნენ და ერთმანეთს კიდევ ატყობინებდნენ.

აჯანყების დამარცხების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი 20 სექტემბერს კონსტანტინოპოლში ჩასულა და როგორც თავად წერს გაურკვევია, რომ „აჯანყება იყო აშკარა მოუფიქრებელი პროვოკაცია, რომელშიც ქართველი ხალხი ჩაითრიეს“. იგი იმასაც სწერს, რომ ბოლშევიკებმა ნ.ჟორდანიას მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილი, რომ გამოაქვეყნეს, ამას ემიგრანტებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ნოე ჟორდანიას კი, ამის გამო ნ.რამიშვილის მეშვეობით ტყუილი განუცხადებია, თითქოს აღნიშნული წერილის გაგზავნა მას არ ახსოვს. გ.მაზნიაშვილი მოგვითხრობს, რომ მარსელში ვ.ნოდის შესახვედრად ჩასულ ნ.რამიშვილს საქართველოში აჯანყების მოწყობაზე საზღვარგარეთული ცენტრის თანხმობა გადაუცია.

მაშასადამე, გ.მაზნიაშვილის აზრით, საქართველოში აჯანყების მოწყობა იმდროინდელი ვითარების მიხედვით იყო აშკარა და მოუფიქრებელი პროვოკაცია, რომელშიც ქართველი ხალხი ჩაითრიეს. გ.მაზნიაშვილს აჯანყების შემდეგ, 18 სექტემბერს მთავრობის დავალებით საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით საუბარი ჰქონია რუსეთის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან. მას მწუხარება გამოუთქვამს იმ უბედურების გამო, რომელიც მოსალოდნელი იყო ბოლშევიკების

მხრიდან, ამ სეპარატისტული გამოსვლის პასუხად და ისიც უთქვამს: „სეპარატისტული აჯანყებით საქართველო ვერაფერს მიაღწევს“¹⁰.

1924 წლის აჯანყების გაგება-შეფასების საკითხში ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების, „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრების (მიხეილ წერეთლის, კალისტრატე სალიას, სიმონ ციციშვილის, სიმონ ბერეჟიანის, ალექსანდრე მანველაშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ზურაბ ავალიშვილის, შალვა ქარუმიძის, რევაზ გაბაშვილის, გენერლების – ლეო კერესელიძის, ფრიდონ წულუკიძის, შაქრო ბაქრაძის, შალვა მაღლაკელიძის და საქართველოს 1922, 1924 წლის აჯანყებათა ხელმძღვანელ-ორგანიზატორების – ქაქუცა ჩოლოყაშვილის, დავით ვაჩნაძის, შალვა ამირეჯიბის, სოლომონ ზაღდასტანიშვილის, აგრეთვე სხვ.) მიერ დეკლარირებული და გაზეთში გამოქვეყნებული, განმაზოგადებელი შეფასებები, პრინციპულად შეესაბამებოდა საქართველოში ლეგალურ-კომპრომისულად ანუ ლეგალურ-პატრიოტულად მოღვაწე მებრძოლთა შეხედულებას.

შალვა მაღლაკელიძე მოგონებათა სახით მოგვითხრობს, რომ „საქართველოში აჯანყების წინ ნოე ჟორდანიას ემისრებს რაზმავდა, მისთვისაც შეუთვლია „საქადთველოში ხარ საჭიროო“, მაგრამ მან წინასწარ იცოდა, რომ ჩეკას „ხელისგულზე“ ედო აჯანყების ორგანიზატორთა მთელი საქმიანობა. და ამიტომ მის შეთავაზებას თავი გაარიდა. შალვამ გაიხსენა რომ პატიმრობიდან მისი საზღვარგარეთ დეპორტაციის წინ (1922 წლის ნოემბერში) ჩეკას უფროსმა კოლია ოკუჯავამ აუხსნა, რომ მათთვის ჩნობილი იყო „დამკომის“ ადგილსამყოფელი მოსკოვის ქუჩაზე, ე.წ. „ბაბი გოროდოკის“ ერთ სახლში და აგრეთვე მათი შეკრებების შესახებ. შალვა მაღლაკელიძე ამბობს: „წინადადება მომცა ნ. ჟორდანიასთვის გადამეცა, რომ ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლებოდა გამოსვლა, ხომ დაიღუპა ხალხიო“¹¹. შალვა მაღლაკელიძე ამას დისიდენტ ვიქტორ რცხილაძის წინაშე, 1975 წელს, ჯერ კიდევ მაშინ აცხადებს, როცა „დამკომის“ ადგილსამყოფელის შესახებ საქართველოში ისტორიკოსთაგანაც კი, არავინ არაფერი იცოდა. მაგრამ დიდი ხნის შემდეგ, ეს საიდუმლოება მაინც გამჟღავნდა.

1997 წელს, გამოქვეყნდა თედო სახოკიას ოჯახში მცხოვრები, მისი ძმიშვილის დორა სახოკიას სარწმუნო მოგონება, საიდანაც მტკიცდება, რომ 1924 წლის აჯანყების ორგანიზება-განხორციელების დროს პარიტეტული კომიტეტის კვლავ მოსკოვის ქუჩაზე „ბაბიგოროდოკში“ არსებობს, ხანგრძლივად ფუნქციონირებს და აქ მის ზოგ წევრთა და თანამოაზრე თანამებრძოლთა ხშირ შეკრებებს მართავს. აგრეთვე, გამოირკვა აჯანყების ორგანიზატორთა, მათ შორის გარე კახეთის და ვაზიანის აჯანყებულთა ხელმძღვანელობისა და იქიდან თბილისზე შეტევისათვის მივლინებული, პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას აქაური ინცინდენტი.

დადასტურდა, რომ ამ კონსპირაციული შტაბის არსებობის შესახებ იცოდნენ იოსებ სტალინის დედის მომვლელმა ექთანმა, იგივე სოლომონ ზალდასტანიშვილის დამ.¹², ასევე სხვა საყურადღებო ამბების შესახებ. დაუჯერებელია, რომ ეს ამბავი, რომელიც „ქვეყანამ იცოდა“ ეკვანტალიანსა და ბერიას არა სცოდნოდათ... აჯანყების ხელმძღვანელთა სხვა ადგილსამყოფელს საორიენტაციოდ (მამა დავითის მთასთან და დიდუბეში) ასახელებს ბათუმის 1924 წლის აჯანყების მზადების ცნობილი ორგანიზატორი ვ.ჩიტაიშვილი. იგი 1924 წლის... აგვისტოს, დაკითხვის დროს აღიარებს, რომ ბათუმში აჯანყების ორგანიზების მიზნით თბილისში შეხვედრები ჰქონდა „ზურაბთან“ და „ელისბართან“¹³. მართალია, ვ.ჩიტაიშვილი იმასაც ამბობს შეხვედრის ადგილები ახლა არ მახსოვსო, მაგრამ იგი თავიდან იმასაც უჩვენებდა თანამებრძოლები არა მყავსო... მაშასადამე, როგორც ჩანს, „დამკომის“, ანუ მთავარი ცენტრის წევრების წინასწარი აყვანა ჩეკას არ აწყობდა. ამის გამო თითქოს ჩეკა ყურს არ იბერტყავს. არადა, საჭიროების შემთხვევაში ჩეკას ხელმძღვანელობას და პირადად ბერიას შეეძლოთ ვ.ჩიტაიშვილის თბილისში გადმოგზავნა და მისი ხელმძღვანელებთან შეხვედრის ადგილების დადგენით აღნიშნულ პიროვნებათა დაპატიმრება-განეიტრალება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბერია არც „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭისა“ (კაკო შელია – გ.ც.) იქნებოდა და ვერც აჯანყების პროვოცირებას შეძლებდა...

აქედან მტკიცდება, რომ „პარიტეტული კომიტეტი“ და აჯანყების მთელი ხელმძღვანელობა მართლაც „ხელისგილზე ედო“ ჩეკას და ისიც ჩანს, რომ შალვა მალლაკელიძე სწორი ყოფილა, როცა საქართველოში არსებული რეალური ვითარება გაითვალისწინა და სხვა ემისრების (ვ.ჯუღელის, ბ.ჩხიკვიშვილი და სხვ.) მსგავსად ავანტიურაში არ მოექცა და როგორც მის მოგონებებშია მითითებული, ნ.ჟორდანიას ნების საწინააღმდეგოდ აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელად მონაწილეობას გაერიდა.

ანტისაბჭოთა ბრძოლის ბრალდებით ოკუპაციის პირველ წლებში ჩეკას პატიმრობაში ნამყოფმა ივ.ჯავახიშვილის მოწაფემ და ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, გარდაცვალების წინა ხანებში თავის სანდო მოწაფეს და შემდგომში ბიოგრაფს, პროფესორ თამილა ცაგარეიშვილს, 1924 წლის განცდილი ამბების შესახებ შემდეგი ამბები ჩააწერნა: „შეტყობილი მქონდა ოპოზიციური პარტიები აჯანყებას ამზადებდნენ, სათანადოდ ემზადებოდნენ... პარიტეტულმა კომიტეტმა შემომთავაზა აფხაზეთში მესხელმძღვანელა აჯანყებისათვის მაგრამ მე კატეგორიულად ვიუარე გარკვეული მიზეზით: ეს იქნება ავანტიურა, ხალხი გაიჟლიტება და პარიტეტული კომიტეტი გადარჩება-მეთქი... მთავრობამ წინასწარ ყველაფერი იცოდა, პარიტეტული კომიტეტის წევრების ვინაობა, ვის უნდა

ეხელმძღვანელა აჯანყებისათვის ადგილებზეც და ბოლოს, იცოდა ისიც თუ როდის უნდა დაწყებულიყო აჯანყება... რა თქმა უნდა შეიძლებოდა აჯანყების მეთაურები წინდაწინ დაეპატიმრებინათ და გამოსვლებს ადგილი აღარ ექნებოდა. მთარობას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი“¹⁴. გ.ჩიტაიას ინფორმაციულობა და პოზიცია მოწმობს, რომ იგი მხოლოდ მის პირად საიდუმლოებად არ დარჩებოდა და უთუოდ მასწავლებლის, ივ.ჯავახიშვილისა და მისი აზრის მიდევრებისთვისაც გახდებოდა ცნობილი, თუმცა მათ სხვა, მათ შორის უთუოდ შ.ნუცუბიძის წყაროც გააჩნდათ. რაც შეეხება ჩვენს ხელმძღვანელობის მიერ პარტიათა ლიდერებისა და პარიტეტული კომიტეტის წევრების კონსპირაციული შეხვედრის ადგილის ცოდნას, თუ საჭიროების შემთხვევაში მათი იზოლირების მიზნით აყვანის შესაძლებლობას, ამაში, ანუ ასეთ აზრში, ზოგი სხვა წყაროც მარწმუნებს.

§5. 1924 აჯანყების გაგება პარიტეტული კომიტეტის საქმის გამო სასამართლოს მიერ განსასჯელთა აზრით

ანტისაბჭოთა ბრძოლისა და კერძოდ 1924 წლის აჯანყების მომზადება-ორგანიზებისა და განხორციელებასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1925 წლის ივლის-აგვისტოში შემდგარ პარიტეტული კომიტეტის წევრთა და მათ თანამებრძოლთა სასამართლო პროცესის დროს ბრალდებული მხარის წარმომადგენელი თეორეტიკოსების, აგრეთვე პრაქტიკულად მებრძოლი ხელმძღვანელებისა და რაზმების მეთაურების განცხადებები. ეს ძვირფასი ინფორმაციის შემცველი მასალა დოკუმენტების სახით გამოქვეყნებული აქვთ ისტორიკოს-სპეციალისტებს – ნ.კირთაძეს, რ.გრძელიძეს, ლ.ჯიქიას, ხოლო გაცნობილი და გაზრებული აქვს მრავალ სხვას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი მათ აჯანყების განსასჯელ ხელმძღვანელთა კრიტიკული შეფასება-დაფასების სპეციალური მიზნებით არ გაუანალიზებათ. მათ მიერ გამოთქმული აზრების სწორი შეფასებებისათვის აუცილებელია, რომ მხედველობაში მივიღოთ ამ პროცესის პოლიტიკური თავისებურება, კერძოდ ის, რომ აჯანყების დიდმა საერთაშორისო ინტერესმა ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლობა იძულებული გახადა ბრალდებულთა მიმართ განხორციელებული ძიება და თვით სასამართლო პროცესიც ჩაეტარებინათ დაინტერესებული საზღვარგარეთელი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პიროვნებების თვალის ასახვევი ლოიალობის ინსცენირების ფარსითა და ამასთანავე ჩეკას სამძებრო ორგანოებისა და საბჭოთა რეჟიმის სასამართლოსთვის უჩვეულო დემოკრატიულ ვითარებაში. ამის დაუნახაობა-შეუმეცნებლობის გამო, სპეციალისტ-მკვლევართა ზოგი წარმომადგენელი (რ.გრძელიძე, ლ.ჯიქია და ფაქტობრივად ვ.გურული, ს.შველიძე და სხვ.) მიიჩნევენ, რომ თითქოს ძიება და სასამართლო პროცესი „სასამართლოს ელემენტალური პრინციპების ცინიკური დაცინვის ნიმუშს წარმოადგენდა“. დოქტორანტი ლ.ჯიქია, მის მიერ მობილიზებულ და პროფ. ვ.გურულის რედაქტორობით გამოქვეყნებულ უაღრესად საყურადღებო დოკუმენტებისა და მასალების კრებულის წინასიტყვაობაში წერს: „1924 წლის აჯანყების მონაწილეთა პირველი დაკითხვები საგანგებო კომისიის საბყრობილეში შანტაჟისა და სასტიკი წამების პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ იყო, რომ დაპატიმრებულთა ჩვენებების უმეტესი ნაწილი გამოძიების მიერაა შეთხზული“. ეს მართალი არ არის. იმიტომ, რომ მათ მიერვე მომზადებულსა და რეცენზირებულ პუბლიკაციაში შეუმჩნეველი დარჩათ აჯანყების ხელმძღვანელ მონაწილეთა ის გამონათქვამები, რომელიც აშკარად მოწმობს საწინააღმდეგო მდგომარეობას, აჯანყების მიმართ არა მარტო მათ „უნებლიე“ შეცდომებს, არამედ შეგნებულ, ექსპერიმენტულ დამოკიდებულებასა და პოლიტიკური

ავანტიურიზმის გამოვლინებებს. დოქტორანტი ლ.ჯიქია და მისი ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ გურული იგნორირებენ სასამართლო პროცესზე განსასჯელთა მიერ გამოთქმულ გულწრფელ იმ განცხადებებს, საიდანაც ჩანს, რომ მათ მიმართ სასტიკი წამება და შანტაჟი გამოყენებული არ ყოფილა. ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია იგნორირებული ტექსტების მოყვანა. პარიტეტული კომიტეტის მდივანი, იგივე თავმჯდომარის მოადგილე იასონ ჯავახიშვილს, 22 ივლისის სხდომაზე, თავმჯდომარე შეეკითხა: „...ძალა ხომ არ დაგატანეს?“. ი.ჯავახიშვილმა უპასუხა: „არა ჩემთვის ძალა არავის დაუტანებია“. პარიტეტული კომიტეტის და მენშევიკების ცკ-ის წევრმა დავით ონიაშვილმა, თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად 24 ივლისის ხალხმრავალ სხდომას განუცხადა: „მოპყრობა ჩემდამი საგანგებო კომიტეტში ძალიან კარგი იყო“. მენშევიკების ცკ-ის ყოფილ თავმჯდომარეს, სეით დევდარიანს „საზოგადოებრივმა“ ბრალმდებელმა კოლია ოკუჯავამ 20 ივლისის სხდომაზე კითხვა დაუსვა: „თქვენზე რაიმე ძალდატანება საგანგებო კომიტეტში იყო თუ არა?“ პასუხად მიიღო - „არავითარი!“. კ.ოკუჯავამ კითხვა განაგრძო: „როცა ჩვენებას იძლეოდით დამშვიდებული იყავით თუ არა?“ ს.დევდარიანმა უპასუხა: „სრულიად დამშვიდებული. რა მქონდა ასადელვებელი?“.

დამკომის თავმჯდომარემ თავისი გულწრფელობით ყველა სხვათა აღიარება გადაფარა და 24 ივლისს, როცა თავმჯდომარემ დაუსვა შეკითხვა: „ხომ არ ყოფილა ლაპარაკი ჩეკას მხრივ, რომ უნდა მოგეცათ ისეთი პასუხი კითხვებზე, როგორც ჩეკას უნდოდა?“ კანდრონიკაშვილმა განაცხადა: „არ ყოფილა... დამკომის განცხადება გავაკეთე... სრულიად შეგნებულად. მე რომ არ ვყოფილიყავი დაჭერილი მაინც პერსონალურად ვფიქრობდი განცხადების გამოსვლას, რომ დავმარცხდით და უნდა ხელი აგვედო შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. მე ამაში დამარწმუნა ჩვენმა გამოსვლამ. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში გამოვიდა ნამდვილი ავანტიურა... როსტომი (ი.ჯავახიშვილი? – გ.ც.) იმ დღეებში ჩემთან იყო და მაშინაც აცხადებდა, რომ ავანტიურა გამოდისო. განა მე არ ვხედავდი, რომ ავანტიურა გამოდიოდა... სასამართლოს თავმჯდომარემ მორიგი კითხვა დაუსვა: „თქვენ აქ უჩვენებთ: „იდეა შეიარაღებული აჯანყებისა... გაკოტრებულად მიმაჩნია...“ შემდეგ „შეიარაღებული გამოსვლა, როგორც ბრძოლის საშუალება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა იყოს უკუგდებული და აღიარებული ქართველის ხალხისთვის მავნე გზად“. კანდრონიკაშვილმა ორივე აზრის საკუთრება დაადასტურა.

1925 წლის 1 აგვისტოს თავის საბოლოო სიტყვაში საქართველოს დამკომის თავმჯდომარემ და აჯანყების

ორგანიზატორთა მთავარმა დიქტატორმა განაცხადა: „...ჩემი უკანასკნელი სიტყვა არ იქნება აშენებული... ჩემი თავის გამართლებაზე... მე სრული შეგნებით ვაგებ პასუხს და დამშვიდებული მოვისმენ განაჩენს. მე ამ უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც ჭეშმარიტად იქნება უკანასკნელი, მინდა გავაგებინო ქართველ ხალხს... რამ მიმიყვანა აჯანყებამდე... მე ამასთანავე უნდა გამოვთქვა ის სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი მე საზოგადო ბრალმდებელის (კ.ოკუჯავას – გ.ც.) ამ საკითხისადმი მიდგომით. მან ამ პროცესს მოაშორა ყველა ის ჭუჭყიანი საქმეები სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც ყოველთვის თან სდევს ასეთ მოძრაობას...“ ამ დოკუმენტური ინფორმაციის მცოდნეები დოკუმენტის გამომქვეყნებელი ლ.ჯიქია და მისი მასწავლებელი ვ.გურული სავაგლახოდ, მაინც თავისებურად ყალბად აშუქებენ არა მარტო 1924 წლის აჯანყების არამედ აგრეთვე „დამკომის წევრთა“ სასამართლოს განსასჯელთა ისტორიას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ არ უნდათ დაიჯერონ სიმართლე, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ნააზრევს, არ უნდათ გაიგონ, რომ თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებას სიმართლე სჭირდება და არა პოლიტიკანური ბჟუტური.

ჩემი აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ: ლ.ჯიქიას მიერ გამოქვეყნებული ცნობილი წყაროების მიხედვით სასამართლო პროცესის დროს მოწმეებმა ნ.ქარცივაძემ, ი.ჯავახიშვილმა, ს.დევდარიანმა და განსასჯელმა დ.ონიაშვილმა კანდრონიკაშვილმა. გულწრფელად აღიარეს, რომ ძიების პროცესში მათ მიმართ ძალმომრეობით ზემოქმედებას არა ჰქონია ადგილი, თუმცა პატიმრებმა ისიც წარმოაჩინეს, რომ იყო დაკითხვის ოქმში გამომძიებელთა მიერ სასურველი აღიარების თვითნებური შეტანის ცალკეული შემთხვევები².

მეორე, ხელისუფლების მიმართ ექსტრემალური სიტუაციის შემქმნელ მეამბოხეთა ხელმძღვანელებს გამოუყვეს კვალიფიციური ვექილები, სასამართლოზე დაუშვეს ბრალდებულებისთვის სასურველი ინფორმაციის წარმომჩენი მოწმეები (ნ.ქარცივაძე, მ.ჯავახიშვილი და სხვ.); განსასჯელებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბრალმდებლების სახით დაუნიშნეს მათ მიმართ სიმპატიებითა და ობიექტურობით გამომჟღავნებული ნაციონალ-უკლონისტები – სერგო ქავთარაძე და კოლია ოკუჯავა, აგრეთვე ქვემო იმერელ და ზემო გურიის აჯანყებულთა ტყვეობიდან უვნებლად და შეურაცხყოფის გარეშე განთავისუფლებული, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრი – ვანო სტურუა³.

მესამე, მეამბოხეთა წამქეზებელ-ხელმძღვანელთა მიმართ წაყენებული ბრალეულობები საბჭოთა, კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური და უმაღლესი ზომის მოთხოვნის მიუხედავად, ხელოვნურად კვალიფიცირებული იქნა

აშკარად შემცირებული, საბჭოთა მართლმსაჯულებისთვის უჩვეულო სასჯელებითა და ზოგის მიმართ განთავისუფლების შეღავათით. ასე მაგალითად: „დამოუკიდებლობის კომიტეტის“, ანუ იგივე „პარიტეტული კომიტეტის“ საქმეზე სულ დაპატიმრებული 47 პიროვნებიდან რომელთაც ბრალად დაედო ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ამბოხების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, პოლიტიკურ დამნაშავე ბანდების, ანუ პარტიზანული რაზმების შექმნა და ტერორისტული, თუ ექსპროპრიაციის აქტების მოწყობა, შპიონაჟი, ან დივერსია, სასამართლომ 1925 წლის 4 აგვისტოს ასეთი სასჯელი გამოუტანა: „დამკომის“ ანუ „პარიტეტული კომიტეტის“ ოთხ წევრს, ანუ მთავარ დამნაშავეებს – 10 წელი, ამათგან ორი (დ.ონიაშვილი და მ.იშხნელი) ავადმყოფობის მოტივით გაანთავისუფლეს, სამ ადგილობრივ ხელმძღვანელს ხუთ-ხუთი წელი აკმარეს, ექვს სამ-სამი წელი შეუფარდეს, დანარჩენი 41 პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული და აჯანყების რეგიონალური, თუ ადგილობრივი ხელმძღვანელი კი გაანთავისუფლეს⁴. მართალია სასამართლოს შემდეგ და 30-იანი წლების ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციაში მონაწილეობის ყალბი ბრალდებით ესენიც დახვრიტეს და ამ სასამართლო პროცესზე მოწმედ მოწვეული ნ. ქანცივაძე და მ.ჯავახიშვილიც მათ მიაყოლეს, მაგრამ ეს ამ სასამართლოს არ მიეწერება.

სასამართლოს ხელოვნურმა დემოკრატიულმა პროცესმა ხელი შეუწყო აჯანყების ხელისუფლების მხრივ მომზადების საიდუმლოებათა გამოაშკარავების მიჩქმალვას. სასამართლო პროცესის დროს ამხილეს აჯანყების წამქეზებლების დანაშაულებანი და ამ გზით ისე გამოიყვანეს, რომ თითქოს ხელისუფლება სისასტიკის უნებლიე მონაწილე აღმოჩნდა. ყველაზე მეტი ბრალდება მიაწერეს ნოე ჟორდანიას, ნოე ხომერიკს, გოგიტა ფაღავას, იოსებ ცინცაძეს, გიორგი წინამძღვრიშვილს, მიხეილ იშხნელს, ვასო ნოდის და ზოგ სხვას. სტალინი და მის მიერ დაკვალიანებული ძალისმიერი ორგანოების სისხლისმღვრელი მიზანდასახულობა და ინიციატივა კი, გაუმჟღავნებელი დატოვეს.

ქართველი მენშევიკების ცეკას ყოფილმა თავმჯდომარემ, სეიდ დევდარიანმა, ბრალმდებელ კოკუჯავას შეკითხვის: „აჯანყება რომელიც მოხდა შეიძლება დაწყებულიყო ნ.ჟორდანიას სანქციის გარეშე?“ ასეთი პასუხი გასცა: „მე მგონია პარიტეტი, ხალხი თითხაც არ გაანძრევდა რომ იმედი არ ყოფილიყო ევროპის და ჟორდანიასი. იმედი რომ არ ჰქონოდა რაც უნდა უკმაყოფილო ყოფილიყო, უკმაყოფილო დარჩებოდა არ გამოვიდოდა, რომ ჟორდანიას არ მიეცა იმედი. ამიტომ პასუხისმგებელი ამ საქმეში არის ჟორდანიას... გარკვეულად არ მქონდა ეს ავანტიურა წარმოდგენილი“. ექსპრემისტ-ხელმძღვანელებთან დაკავშირებით მან დამატებით განაცხადა: „მე მოვითხოვდი ი.ცინცაძის, ფაღავას

ჩამოშორებას; გოგიტა იძლეოდა ისეთ დირექტივებს რომელიც ჩემთვის ახალი იყო“. იგი სასამართლოს უცხადებს: „მე შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი და ხელისუფლების აღების მომხრე ვიყავი, ვამბობდი მთავრობა ძალით, რომ ჩამოაგდოთ ევროპა დახმარებას არ მოგვცემს; მე მეტეხში მოგუწოდებდი პატიმრებს გამოსულიყვნენ (პარტიიდან და ციხიდან – გ.ც.) ჩემი ასეთი ფურცლები გავრცელდა; პარტიიდან „გამოსვლა აკრძალული არ იყო, მაგრამ ამას ჩვენ ვეძახდით მოღალატეობას (როგორც დაუადგინე ეროვნულ დემოკრატიების ცეკას ახალგაზრდა, მაგრამ გამორჩეული წევრი, კალე მისაბიშვილიც, რომელმაც 1923 წლის დასაწყისში შექმნილი მდგომარეობის გამო პარტიის ლეგალიზაცია ირჩია, ასეთივე მოტივით მოაკვლევინეს მის ტერრორისტ მეგობრებს – გ.ც.); „სამოქალაქო ომი პარტიაში დაიწყო ნოეს ჩამოსვლის შემდეგ, მეტადრე ობოლადის მოკვლის შემდეგ“; „მე მიმაჩნდა გერმანიაში გადატრიალება რომ მომხდარიყო, კომუნისტები მოაწყობდნენ დახმარებას, კაპიტალისტები კი, ინტერვენციას. შეიძლება რუსეთს ჯარები გაეყვანა და თურქებთან პირისპირ დაერჩენილიყავით. ამიტომ მე მიმაჩნდა, რომ ხელისუფლება არ უნდა ჩაეგდოთ ანარქისტებს, ჩოლოყაშვილებს და სხვებს“; ამიტომ „საჭიროა ძალების დაზოგვა-შენახვა, რომ საერთაშორისო მდგომარეობამ შეიძლება დაგვაჭირვოს – ამას გულისხმობს ჩემი ნაწერიც. არ ვეთანხმებოდი გრიგოლ ლორთქიფანიძის სუზდალიდან გამოგზავნილ წერილებს; ხევსურეთის გამოსვლა ჩოლოყაშვილმა კი არ მოაწყო, არამედ, ადმინისტრაციის თავნებობამ, მე ჩოლოყაშვილის გამოსვლას ბანდიტიზმს ვუწოდებ, რადგან ანგარიშს არ უწევს რა შედეგები მოყვება“;

მაშასადამე, ს.დევდარიანი არ გამორიცხავდა გამარჯვებული სოციალისტური ბავარია-გერმანიისადმი რუსეთის მხარდაჭერას. მოზუნგიც იყო - „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას“. მისი აზრით, თუ რუსეთი შეუტევს გერმანიის დასახმარებლად, ამას მოყვება ინტერვენცია რუსეთზე, ამ დროს რუსეთი გაიყვანს საქართველოდან ჯარს, შემოვა თურქეთი. მისი აზრით ამიტომაც საჭირო შეიარაღებული რაზმები რომ მოვახერხოთ თავდაცვა და მუშაობა, რომ არ მიგვატოვოს რუსეთმა.

მკვლევარმა ა.დაუშვილმა არქივში მოიპოვა სტალინის საიდუმლო წერილი ორჯონიკიძისადმი, რომელშიც მოცემულია ს.დევდარიანის ტაქტიკის ასეთი შეფასება: „ს.დევდარიანი იმ პოზიციაზე დგას, რომლითაც უნდათ შეამზადონ ნიადაგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისთვის. ჩემი რჩევაა – გამოიყენოთ რათა გახრწნათ მენშევიკი მუშაკები, თუკი ასეთი დარჩა საქართველოში, ხოლო ის შემდეგ მოისროლეთ საზღვარგარეთ, აუცილებლად მოისროლეთ“⁶.

ს.დევდარიანის პოლიტიკისა და ტაქტიკის გააზრებისათვის საინტერესო და საყურადღებოდ გასააზრებელია აგრეთვე ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლისა და ქართლის მეამბოხიე რაზმელთა მეთაურის მიშა (მიხეილ) ლაშქარაშვილის საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ მოგონებებში გამოთქმული ზოგი მოსაზრება. იგი წერს: „1922 წლის წარუმატებელმა ბრძოლამ ცხადი გახადა დავმარცხდით. დაიწყო რეაქცია...“

მენშევიკები აქტიურობენ... ნ.ჟორდანიას აგზავნის ნ.ხომერიკს... კახიანს შევხვდი... მან გადმომცა მენშევიკების ბიუროს გადაწყვეტილება აჯანყების მოხდენის შესახებ... სეით დევდარიანი გაშორდა და გაემიჯნა მენშევიკურ ცკ-ს. იგი აკრიტიკებდა... ჟორდანიას, მის მთავრობის ამბიციებს და მათი ემისრებისაგან შემდგარ საიდუმლო ცკ-ის მოქმედებას...

სეიდი გონიერი და ფხიზელი ქართველია, რომელმაც კარგად იცოდა თუ რა ჯოჯოხეთი დაატყდებოდა ჩვენ ხალხს თუ 1924 წლის აჯანყება მოხდებოდა“. მისი თქმით „ეს იქნებოდა მხოლოდ უბრალოდ იარაღის ჩხარა-ჩხური ასეთ არახელსაყრელ პირობებში და საბოლოოდ ქართველთა სისხლის ღვრით, უშედეგოდ დაბოლოვდებოდა.“

მაგრამ ჟორდანიას თვის პოლიტიკას არ დალატობდა. ხელი რომ არ შეეშალათ, ს.დევდარიანთან ერთად, წესიერად მოაზროვნე მამულიშვილებს, რომლებიც მათ არ ემორჩილებოდნენ, მოლალაატეებად აცხადებდნენ⁷. დიას, ექსტრემისტები წინდახედულ მოწინააღმდეგეებს მართლაც აცხადებდნენ მოლალაატეებად. ამ ადამიანურ სავაგლახო თვისებას მეცნიერებაშიც ავლენენ ზოგი ჩემი მეცნიერული მიგნებებით შეწუხებული მკვლევარები.

კოტე ანდრონიკაშვილი „პარიტეტული კომიტეტის“ პროცესზე, 1925 წლის 22 ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში, აჯანყების მიზეზების, 1921-1924 წლების ძირითადი მოვლენების, პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელი როლის, მისი საბრძოლო ტაქტიკის ეროვნულ-პატრიოტული გაგებიდან გაშუქებისა და საბჭოთა ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმის, აგრეთვე მისი ძალისმიერი ორგანოების ანტიხალხური ძალმომრეობის პოზიციებიდან შეფასების და გაშუქების საფუძველზე აცხადებდა: „სომხეთმა თავიდანვე უარი შემოგვითვალა“; „აზერბაიჯანთან გ.ფაღავას დაპატიმრების შემდეგ არც გვიცდია კავშირის დაჭერა. მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ორჯერ გავაგზავნეთ რწმუნებული... მაგრამ... დავრწმუნდით, რომ ჩრდილო კავკასიასთან არა გამოვა რა და თავიც მივანებეთ, ამიტომ გადაწყდა, რომ საქართველო გამოსულიყო თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი“; „ამიტომ ქართველ პოლიტიკურ პარტიებს სხვა გზა არ დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ თავის საკუთარი ძალების საშუალებით და ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფლებები“

და დაებრუნებინათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეიძლება მხოლოდ აჯანყების გზით⁸. ეს იყო სამშობლოს და საკუთარი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით მიღებული, გაბედული გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც ნ.ჟორდანიას სადირექტივო წერილი აფრთხილებდა, იგი უპასუხისმგებლო, ავანტიურისტულ ტაქტიკურ გათვლაზე დაფუძნებული ქმედება აღმოჩნდა. ამ სინამდვილეს ადასტურებს თავად „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარის აღიარებები.

1924 წლის 4 ენკენიის თვეს, მაშინ, როცა ჩეკას პატიმრობაში აყვანისთანავე „პარიტეტული კომიტეტის“ წევრები დეკლარაციით აიძულეს, რომ მათ მიერ ორგანიზებული აჯანყება ელიარებინათ „ავანტიურად“ და აგრეთვე დეკლარაციაში შეეცნათ სიტყვები, რომლითაც ავანტიურად გამოაცხადებინეს „ერის ზედა ფენების“ მიერ მოწყობილი ხალხის აჯანყებას, კანდრონიკაშვილმა ასე შეაფასა ეს ფაქტი: „მით მარტო ჩვენი თავისთვის გამოქვეგონთა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მეორე, ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე, კომუნისტები ფართოდ გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოდ და კიდევ გამოიყენეს, მაგრამ ამასთან სიტყვები „ავანტიურა“ და „ზედაფენები“ არსებითად სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას: ჩვენ დავმარცხდით, და დამარცხდა აჯანყება ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება დაგვრჩა“⁹...

1924 წლის 10 ოქტომბერს ჩეკას კოლეგიის მიერ დასმული კითხვის პასუხად კანდრონიკაშვილი აღიარებს: „მე სრულიადაც არ მაინტერესებდა აჯანყება, როგორც ასეთი. მე ვცდლიობდი ძლიერ მასობრივ გამოსვლებს... მიმაჩნდა, რომ... ჩვენ თავს დავადწევდით სამოქალაქო ომს... ადგილობრივ პროვინციებში ასეც იყო საქმე... ჩვენ შევიმუშავეთ საყოველთაო აჯანყების გეგმა და არა ხელისუფლების დაპყრობისა... პირადად მე გამოსვლას არ ვუყურებდი, როგორც ხელისუფლების დაპყრობას...“

ჩვენ აჯანყებას განვიხილავდით, როგორც მასობრივ განმოსვლას და ჩვენი მუშაობა ყოველთვის ამ მიმართულებით წარიმართებოდა“¹⁰.

მაშასადამე, „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე და 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორთა მთავარი ადგილობრივი ლიდერი აღიარებს, რომ მისი და თანამოაზრე-თანამებრძოლი ხელმძღვანელების გაგებით „მეორე გეგმა“ ეყრდნობოდა მათ ახალ, ახლებურად მოაზრებულ ტაქტიკას, რომელიც აჯანყებას მიზნად უსახავდა არა „ხელისუფლების დაპყრობას“, სამოქალაქო ომით არამედ, „როგორც მასობრივ გამოსვლას“ და ამ ახალი ტაქტიკის განხორციელების დროს მათი საერთო მუშაობა ყოველთვის ამ მიმართულებით წარიმართებოდა“. მისი ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ თითქოს „ხავერდოვანი“ რევოლუციის გზით განუზრახავთ

საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ კანდრონიკაშვილის ეს აზრი ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ამასთანავე იგი უტოპიური და აბსურდულია. იგი უგულვებელყოფს არსებულ რეალობას და ეწინააღმდეგება პარიტეტული კომიტეტის, სამხედრო კომისიების, პარიტეტული კომიტეტის ადგილობრივი რწმუნებულებისა და რეგიონის მებრძოლი რაზმების მეთაურების აზრებს. ამ ლოგიკით კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ 1924 წლის აჯანყების დროს მისი ამ მიზანდასახულობის სახით სახეზე გვაქვს „დამკომის“ თავმჯდომარის და დიდი უბედურების მომტანი აჯანყების მთავარი ხელმძღვანელის მხრივ გამოვლენილი ავანტიურა.

კანდრონიკაშვილის ჩვენებებსა და განცხადებაში ეჭვის შეტანა არ ხერხდება, რადგან იგი ზოგ სხვასავით სიცოცხლის გადარჩენას კი არ ებღაუჭება, არამედ ცდილობს მის მიერ აღქმული სიმართლე მიაწოდოს თანამედროვეობას და შთამომავლობას. ამას მოწმობს მისი განცხადებები პარიტეტული კომიტეტის წევრთა და მათ თანამოაზრე-თანამებრძოლთა სასამართლო პროცესზე. კანდრონიკაშვილი 1925 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე, მისი უცილო ბედისწერის შესახებ აცხადებს: „თავის გამართლებას არ ვაპირებ, დამშვიდებით მოვისმენ განაჩენს“; „აჯანყება იყო ლოგიკური დასკვნა, შედეგი რეალური ვითარებისა; „ბრალდებამ მოაშორა თანამგზავრი („Спутника сопровождения“), რომელიც აჯანყებას ახლავს სისხლის სამართლის დანაშაულობათა სახით, ჩირქი ჩამორეცხა“. ამასთანავე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე იმასაც აცხადებს, რომ აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში იყო „ავანტიურა, არა მასიური“¹¹. როგორც ვხედავთ კანდრონიკაშვილი „ავანტიურის“ გაგებას ხსნის მოვლენის მასიურობისა და არამასიურობის მიხედვით, რაც ნამდვილ გაგებას არ შეესაბამება. იგი მითუმეტეს არ შეესაბამება „ავანტიურის“ ჩეკას მიერ გამოყენებულ, ზემოთ ციტირებულ გაგებას, რომელიც მხოლოდ აჯანყების უზენაეს ორგანიებზე და მის ხელმძღვანელობაზე როდი ვრცელდებოდა, არამედ მასებზეც, რომელთაც თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური და პატრიოტული განწყობილების გამოვლინება მოახდინეს ექსტრემისტულად. კანდრონიკაშვილი 1925 წლის 1 აგვისტოს სასამართლოს სხდომაზე წარმოთქმულ თავის საბოლოო სიტყვაში თავადვე აფასებს არა მარტო აჯანყებას, არამედ აგრეთვე მისი უზენაესი ორგანოების ლიდერ-ხელმძღვანელთა, ანუ უზენაეს ორგანიზატორთა ქმედებას: „აჯანყების დამარცხება სრულიად არ ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამარცხებას, გაკოტრდა, მხოლოდ სვლა აჯანყების გზით ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად უნდა ჩაითვალოს ერთხელ და უკანასკნელად მაგნე მეთოდად ერის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სადავო საკითხების გადაწყვეტაში“¹² (!!! – გ.ც.). აჯანყების ბელადების ამაზე ნათელი შეფასება შეუძლებელია. თუმცა კანდრონიკაშვილის

ნააზრევში წინააღმდეგობაც შეინიშნება. აღნიშნული აზრის არმცოდნე, ვერგამგე და არგამგე ისტორიკოსები ჯიუტად არ ეთანხმებიან ჩემსა და შამირეჯიბის მიერ „ჭკვიან ქართველებად“ მოხსენებელთა მიგნებას აჯანყების ხელმძღვანელთა გაგებისა და შეფასების საკითხში, და თავგამოდებით ცდილობენ დაუკვირვებელ მკითხველს თავიანთი თავი მოაჩვენონ საკითხის უკეთ მცოდნედ, ვიდრე ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კელია იყვნენ, ანუ, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომის პაპზე უფრო კათოლიკედ, მაგრამ არ გამოსდით...

პარიტეტული კომიტეტის აჭარის რწმუნებულის, გიზო ანჯაფარიძის განცხადებიდან ცხადი ხდება, რომ მას ბათუმელი ამხანაგების დახვრეტის შესახებ გაუგია 1 სექტემბერს, 2 სექტემბერს გამოცხადებულა საგანგებო კომისიაში. იგი სასამართლოს წინაშე აცხადებს: „აჯანყების წინააღმდეგი ვიყავი იმდენად, რამდენადაც მომენტს არ შეეფერებოდა“. მის მიმართ დასმულ კითხვაზე მან ასე უპასუხა: „მსხვერპლი რომელიც იყო გაღებულ ვერ გამართლდება ვერცერთი მიზნით...“¹³. ეს აზრი უაღრესად საყურადღებოა...

პარიტეტული კომიტეტის ზუგდიდის მაზრის რწმუნებულმა ესტატე ლატარიამ სასამართლოს განუცხადა: „მე არ მჯეროდა ამ აჯანყების გამარჯვება, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის კრახით დამთავრებოდა. დარწმუნებული იყვნენ ისინიც ვინც სათავეში უდგნენ. მაგრამ მე რომ არ წავსულიყავი ხელმძღვანელები მაინც დარჩებოდნენ...“¹³. ამ ნათქვამს ადასტურებს მისი და ზუგდიდის მაზრის აჯანყებულთა მთავარსარდლად წამოწეული ვალერიან გეგეჭკორის ხელმძღვანელობის ლიკვიდატურული გამოცდილებაც...

ბიძინა პირველი სასამართლოზე აცხადებს: „პირველ ივლისს ვიყავი თბილისში. მაშინ გავიგე პარიტეტის არსებობა“; „მქონდა შეხვედრა იასონ ჯავახიშვილთან, ე.პატრიძესთან, კანდრონიკაშვილთან“; „კოტემ მითხრა გამოსვლა მოხდება კავკასიაში... ბეჩოში გამოსვლის წერილი მოიტანა ერთმა სვანმა. აჯანყება ხდება მთელ საქართველოში. დახმარებას გაგვიწევს ევროპაო. ეგნატე გაბლიანი წინააღმდეგი იყო, გადატრიალება არ მოხდება მსხვერპლს გამოიწვევსო. სვანებს უთქვამთ ვიცითო!“¹⁴.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია „ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის საბრალდებო დასკვნაში დაცული დამკომის 26 აგვისტოს საყურადღებო ცნობა: „სვანეთის ორგანიზაციას საჩქაროდ გაცნობებთ, რომ გამოსვლა მთელ საქართველოში დაიწყება შუაღამისას 28-29 აგვისტოს. დარწმუნებული იყავით, რომ ქართველი ხალხი და ჯარი ჩვენს მხარეზე არიან. ჩვენ დახმარებას გაგვიწევს აგრეთვე ევროპა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დანიშნულ დღეს მოაწყოთ შეიარაღებული ამბოხება სვანეთში და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ლიკვიდაციის შემდეგ დაიდრათ ლეჩხუმისა და ქუთაისისაკენ...“¹⁵

(ხაზგასმა ჩემია – გ.ც.). როგორც ვხედავთ პარიტეტულ კომიტეტში მიაჩნდათ, რომ სვანებს მათი მითითების შესრულებისთვის 28-29 აგვისტოს ნახევარი ღამე ეყოფოდათ. აქედან ჩანს, რომ მათ ისიც არ იციან, რომ აღნიშნულ მიმართულებას ჩონის რაზმი იცავდა და მემბოხეების მიერ დავალების დროული შესრულება კი არა, საერთოდ შესრულებაც წინასწარ იყო გამორიცხული. მსგავსი წინდაუხედაობის მაგალითებით აღსავსეა დამკომის ტაქტიკური ხასიათის ხელმძღვანელობების გამოვლინებები.

ბ.პირველი აგრძელებს: „უმაღლესი ზომა გადამიწვიტეს. ოთხი წელი ვიბრძოდი... მეკუთვნის. მე ჩემს სიცოცხლეზე არ ვფიქრობდი, ვფიქრობდი გამარჯვებაზე... მე ჩემი ერი მიყვარდა წუთით არ მიფიქრია ჩემ პირად ცხოვრებაზე... უფროსმა ამხანაგებმა მაიძულეს გამოვსულიყავი და როცა დავრწმუნდი, რომ მისი გაგრძელება ზიანს მოუტანდა ჩემ კუთხეს გამოვცხადდი... აჯანყების გზა მიმჩნდა აუცილებელ გზად, რომელსაც შეუძლია საქართველოს ხსნა. ამ გზის უვარგისობაში დავრწმუნდი (! – გ.ც.). ყოველმა ქართველმა უნდა შესცვალოს ეს გზა და მუშაობა უნდა გადაიტანოს ერის კულტურულ ფრონტზე რომ... მოაღონიეროს თავისი ერი“¹⁶. ჩემი აზრით, ამ თავდადებული რაინდის ნათქვამში შიშითა და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით გალამაზებული ტყუილი არა ჩანს.

ეგნატე გაბლიანის განცხადებიდან საყურადღებოა შემდეგი: „ქვემო სვანეთში რომ ჩავედით დაგხვდა ამბავი ბათუმი, ქუთაისი, თბილისი ჩვენ ხელშიაო... ხუთი დღის განმავლობაში ცაგერი ჩვენს ხელში იყო... მაგრამ მოვიდა ცნობა, რომ ყველაფერი ტყუილია. წავედით სვანეთისკენ. შემოდის ჯარი... ჩვენი ჯარი დავშალეთ...“¹⁷.

სამსონ დადიანმა პარიტეტული კომიტეტის წევრთა 1925 წლის სასამართლო სხდომას განუცხადა: „რომ მივატოვე პარიტეტი, იმის მერე ბევრმა სთქვა: „არ მოვიდა რადგან შეეშინდაო“. შიშიც მქონდა ჩემი ხალხის და ჩემი პირადად და იმისაც, რომ საქმეს ჩვენ ვერ გავაკეთებდით. მე მოვუტანე აზრი, რომ პარტია (ფედერალისტებისა – გ.ც.) წინააღმდეგია გამოსვლისა“¹⁸.

ჯერ კიდევ ადრე, ჩეკას პატიმრობაში მყოფმა ს.დადიანმა დაადასტურა, რომ: ის იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი 1924 წლის თებერვლიდან იმავე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე. დაესწრო სამსა თუ ოთხ სხდომას, რომელზეც ირჩეოდა საკითხი ამბოხების შესახებ. იგი ამბოხების წინააღმდეგი იყო და, როდესაც დარწმუნდა, რომ მისი ჩაშლა არ შეეძლო, წავიდა პარიტეტიდან¹⁹. ს.დადიანი წერს: პარიტეტული კომიტეტის სხდომაზე „მე მომიხდა გამოსვლა აჯანყების მომხრეთა მოსაზრებების წინააღმდეგ.

როგორც შევიტყვე ევროპის შეიარაღებული ინტერვენცია დამსწრეთაგან არავის სწამდა. მე ვამტკიცებდი, არა თუ ომს საქართველოს გულისთვის, არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ

წამოიწყებს, არამედ საერთოდ შეუძლებელია ომი-მეთქი. ევროპისთვის ომი მიუღებელია არა იმიტომ, რომ სსრ კავშირი უძლეველი სამხედრო ძალაა, არამედ იმიტომ, რომ თვით ძალთა თანაფარდობა ევროპაში, მუშათა კლასის მდგომარეობა და პროლეტარიატის შესაძლო ჩარევა ომს შეუძლებელს ხდის ბურჟუაზიული მთავრობებისთვის. ევროპა გრძნობს, რომ მომავალი ომი შეიძლება სამოქალაქო ომად გადაექცეს...“¹⁹ მაშასადამე, არა მარტო ფედერალისტების პარტიაში, არამედ სხვა პარტიებში და დამკომში წინასწარ იცოდნენ, რომ: „ევროპის მხრივ რეალურ დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო“; მით უფრო „არ შეიძლება მე-2 ინტერნაციონალის იმედით ყოფნა, რადგან მას არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვს. მათ შეუძლიათ საქართველოს საკითხი გამოიყენონ მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთ ქვეყანაში პროპაგანდა გასწიონ ბოლშევიზმის წინააღმდეგ... „აჯანყება მიუღებელია, რადგან საქმე გვექნება არა მარტო ადგილობრივ, არამედ მთელ სსრ კავშირის ძალებთან და ეს ქართველ ხალხს ერთობ ძვირი დაუჯდება... რა გენიალურადაც არ უნდა იყოს მომზადებული აჯანყება, ჩვენი ხალხის ბრძოლას ვიწყებთ და 24 საათში გაგვსრესენ...“²⁰.

გასათვალისწინებელია, რომ მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტების ლიდერები პარიტეტულ კომიტეტში გაერთიანებულ სხვა პარტიების ლიდერებისაგან გამოირჩეოდნენ საქართველოს წინაშე თავიანთი განსაკუთრებული პოლიტიკური პასუხისმგებლობით. ისინი სწორად ჭვრეტდნენ საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებას. მის შესაბამისად აფასებდნენ საერთო ეროვნებული აჯანყების მომენტის განსაზღვრის მიზანშეწონილობასაც. ასეთები მრავლად იყვნენ სხვა მემამბოხეებშიც.

მემარჯვენე ფედერალისტების ლიდერმა და ცნობილმა ლიტერატორმა გრიგოლ რცხილაძემ ჩვენებაში დაადასტურა, რომ: „საქართველოს მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის დავალებით მან მიიღო მონაწილეობა მოლაპარაკებაში პარიტეტული კომიტეტის შექმნის შესახებ... შევიდა მასში... იყო წევრი ნ.ქარცივაძის (თავმჯდომარის – გ.ც.) დაპატიმრებამდე“... ანუ მანმადე, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია საქართველოში წარმოდგენელი ჰქონდათ, ან როგორც „შედეგი სოციალისტური პარტიების და მეორე ინტერნაციონალის ზეგავლენისა მოსკოვის მთავრობაზე, ან როგორც შედეგი საბჭოთა ხელისუფლების დაშლისა-შინაგანი მიზეზების, ან ომის, გამო. როდესაც ეს რწმენა, რასაც სისტემატურად უწყობდა ხელს ევროპიდან გამონაგზავნი ცნობები, არ გამართლდა, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარემ, ნ.ქარცივაძემ მენშევიკთა პარტიის (უფრო ზუსტად, მისი ემისარის, ნ.ხომერიკის – გ.ც.) სახელით დასვა საკითხი შეიარაღებული

ამბოხების პროგრამის მიღების შესახებ... ეს მან აცნობა პარტიას და ამ უკანასკნელმა „უფრო მიზანშეწონილად სცნო არ გადაექცია ძირითადად კონფლიქტად და განაგრძო დამოუკიდებლობის კომიტეტში მონაწილეობა იმ მიზნით, რომ შეძლებისდაგვარად აეცილებინა ნამდვილი შეიარაღებული გამოსვლა...“²¹ სამწუხაროა, რომ აჯანყების ეს უთუო მოსალოდნელი წარუმატებლობა აჯანყების იმდროინდელი ორგანიზატორებიდან ზოგმა ვერ გაიგო, ზოგმა კი შეგნებულად არ გაიგო, ანუ უგულვებელპყო, რადგან მოვლენების, ანუ საქართველოს სუვერენულ უფლებათა აღდგენის დაჩქარებისათვის იღწვოდა და იღუბიებით ხელმძღვანელობდა.

მემარჯვენე ფედერალისტების კიდევ ერთი ლიდერი, ალექსანდრე ბოკერია პატიმრობაში წერს: „ჩვენ ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტი აჯანყების პრაქტიკული გატარების საკითხს შეუდგა... ჩვენი (მემარჯვენე ფედერალისტების – გ.ც.) ცეკა აჯანყების საკითხს მუდამ სპეციალურად უყურებდა და უფროსი ამხანაგებიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ... რადგან ხსენებულ ნაბიჯებს ავანტიურად (!!! – გ.ც.) სთვლიდნენ, რომელიც ეროვნული საქმის გაკეთების ნაცვლად – ერს ფიზიკურად გაანადგურებდა... მუდამ გაურბოდით ოცნების სფეროში ყოფნას და დედამიწასთან (რეალობასთან – გ.ც.) დაშორებას. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ყოველთვის ხელსაყრელი არ არის ერის სრულ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ამ საქმისთვის უშედეგო მსხვერპლის გაღება“²² (ხაზგასმა ჩემია – გ.ც.). ზოგი მკითხველი შეიძლება დაეჭვდეს, იფიქროს: ფედერალისტების ლიდერები ამ აზრებს, რადგან პატიმრობის დროს მიცემულ ჩვენებებში აფიქსირებენ, ამიტომ ისინი უთუოდ ჩეკისტების მიერ ნაძალადევ ტყუილს ამბობენ და სიმართლეს მაღავენო. მაგრამ არსებობს 1924 წლის აჯანყების ისტორიის ცნობილი მკვლევარისა და მის მიერ მოპოვებული უამრავი უნიკალური წყაროს პირველგამომქვეყნებელის, ნ.კირთაძის მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული ისეთი დოკუმენტი, რომელიც ამ ეჭვის საფუძველს სპობს. ამიტომ აქ საჭიროა ამ დოკუმენტის მთავარი აზრის მოხმობა: ეს არის ფედერალისტების თბილისის კომიტეტის 1924 წლის 12 აგვისტოს (! – გ.ც.), მაშასადამე აჯანყებამდელი, „საიდუმლო მოხსენება მხოლოდ ტბილისის კომიტეტის წევრობისთვის“ - „მომენტი და ტაქტიკა“.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია: „საქართველოში აჯანყების საკითხი პოპულიარული გახდა... მართალია, ეგ საკითხი საქართველოში უკვე მეოთხეჯერ ისმის, მაგრამ არასოდეს ასეთი სერიოზული და კატეგორიული ხასიათი არ ჰქონია, როგორც დღეს.

ჩვენი ფრაქცია პარტიეტში მუდამ კრიტიკულად უყურებდა აჯანყების საკითხს... მან ბევრჯერ გამოიყვანა ქართველი ხალხი ავანტიურიზმის ცეცხლიდან... ვაღიარებთ ვართ ერთმანეთს ფრთები შევაკვეცოთ და გონებას მეტი ადგილი დაუთმოთ, ყოველი შესაძლო

კატასტროფები გავითვალისწინოთ და სათანადო დასკვნები ფრთხილად გამოვიტანოთ. გამარჯვებას მხოლოდ 30% მოწმობს... აჯანყების კრახი ერს რა შედეგს მოუტანს... ქართველი ერის ფიზიკურ არსების განადგურებას და მოსპობას. ამით ჩვენ რასაკვირველია, ეროვნულ მოძრაობის ლიკვიდაციას მოვახდენთ და ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას საბოლოოდ ხაზს გადაუსვამთ...

ბატონმა ჯუღელმა ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: „წითელი არმია აჯანყებაში პასიურ მონაწილეობას მიიღებს და თუ მიიღო მონაწილეობა ჩვენს სასრგებოლოდ“ როდესაც მას შეეკითხეს, გაგვაცანი რა მასალებით აცხადებთ ამასო, მან ავტორიტეტულად განაცხადა: „ნება მიბოძეთ, ამ შეკითხვაზე, არ გიპასუხოთ, რადგან ეგ საკითხი ფრიად დიდ საიდუმლოებას შეიცავსო“. პირიქით ჩემი ღრმა რწმენით წითელი არმია... აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს წინააღმდეგ...

ქართულ ნაწილებზე ირწმუნებიან რომ 90% ჩვენს მხარეს დაიჭერსო... როგორმე უნდა ვეცადოთ ჩვენს მოსაზრებათა დიამეტრალურად მოწინააღმდეგე (მენშევიკთა და ეროვნულ დემოკრატთა – გ.ც.) ბანაკში შევიტანოთ წინადადება, რომ უმომენტოდ ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა, ერის ყოფნა არყოფნის პრობლემების გადასაჭრელად დასმა – ავანტიურიზმშია (!!! – გ.ც.).

დაუმტკიცოთ დამშვიდებული ნერვებით მათ, რომ დღეს საამისო მომენტი არ სდგას. იქნებ იგი ხვალ დადგეს ან ზევ, ან კიდევ სხვა დროს...

საჭიროა არა აჯანყება, ძალაუფლებისათვის არამედ „მოქნილი ბრძოლა რევოლუციური, ეროვნული და სოციალური სახით გამოაშკარავება...“²³ ამ წყაროების საფუძველზე აჯანყებამდე, ჯერ კიდევ მისი პირველი გეგმის ძალაში ყოფნის დროს, ზემოთ მოხმობილი „სხიველების“, „მემარჯვენე ფედერალისტების“ და ზოგ სხვათა ჯანსაღი აზრების არსებობისა და დამკომნის ხელმძღვანელობამდე მიტანის დროს, გაუგებარია აჯანყების წამოწყება, და მისგან გამოწვეული მსხვერპლის მიზნები, როგორ უნდა შეფასდეს, თუ არა ხელმძღვანელთა ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმის გამოვლინებად?! ხუთი ათასი კაცის მოსპობას, მასობრივ თვითმკვლელობას, პატიმრობა გადასახლება და ბევრად უფრო მეტი ოჯახის გაუბედურებას, რაც აჯანყების ხელმძღვანელობამ თავისი წინდაუხედავი პატრიოტიზმით ასაზრდოვა, პროფესორების დ.შველიძის, ნ.ჯავახიშვილის, ბ.კუპატაძის, ლ.ჯიქიას და ვ.გურულის შემოთავაზებულ „პოლიტიკური რომანტიზმი“ კი არა დაერქმის, არამედ ადგილობრივი და ემიგრანტული უზენაესი ხელმძღვანელობის „უმომენტოდ“ გამოვლენილი ექსტრემიზმი და მათივე ავანტიურიზმი უნდა

დაერქვას, რადგან სინამდვილეში 1924 წლის ეროვნული
კატასტროფა მართლაც თანამედროვეთა და ჩემს მიერ
კვალიფიცირებულად ასახული მიზეზებით მოხდა.

§6. ტფილისის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურისა და სხვა პატრიოტების აზრი 1924 წლის აჯანყების შესახებ

ივანე ჯავახიშვილმა და მისმა მიმდევარმა, „მემარჯვენე პროფესურის“ წარმომადგენლობამ პარიტეტული კომიტეტის მემბროსე წევრებისგან განსხვავებით, ხელისუფლების მიმართ კომპრომისული ბრძოლის ტაქტიკა დაისახა. მან საქართველოს ოკუპაციის შემდგომი მოქმედების პროგრამად დაისახა და განახორციელა ანტიბოლშევიკური იდეური და სასწავლო-პედაგოგიური პროგრამა¹. ეს გამოვლინება ხელისუფლებასთან სამსახურებრივ თანამშრომლობაშიც. უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურამ მხარი დაუჭირა ანტისაბჭოთა პარტიათაშორის პარიტეტული კომიტეტის მისაღებ ღონისძიებებსაც. მან 1922 წლის მაისში მასობრივი მონაწილეობა მიიღო დაუმორჩილებლობის მშვიდობიან ორგანიზებაში და ამასთანავე დამკომის ტაქტიკის თანახმად წინ არ აღუდგა 1923 წელს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტისაბჭოურად განწყობილ და მებრძოლი სტუდენტების წმენდას, ანუ „ჩისტკას“². უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურა იღწვოდა ჩეკას მიერ დაპატიმრებული თანამშრომლებისა და პატრიოტი სტუდენტების გამოხსნისათვის. მონაწილეობას იღებდა პარიტეტული კომიტეტის ტაქტიკით განხორციელებულ მშვიდობიან ბრძოლაში. მათ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უნივერსიტეტი გახადეს რესპუბლიკის პარტიული ძალებისათვის შეუვალი და დაუმორჩილებელი³. ამით შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის ეროვნული სახისა და სულისკვეთების შენარჩუნება. ზემოთ აღნიშნულთან ერთად უნივერსიტეტის ძველმა პროფესურამ და მათმა მეთაურმა, ივ.ჯავახიშვილმა მხარი არ აუბეს პოლიტიკური პარტიებისა და „პარიტეტული კომიტეტის“ მიერ დასახულ შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებას. მათი მთელი შემადგენლობა აჯანყებას გაერიდა მიუხედავად იმისა, რომ ისინი: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მეთაურობას პირადად იცნობდნენ, ზოგთან მეგობრობდნენ, ზოგთან თანამშრომლობდნენ, ჩეკას მიერ, დაპატიმრებულ უნივერსიტეტელებს ხელისუფლების წინაშე კიდევ ესარჩლებოდნენ და ზოგს ანტისაბჭოურ ბრძოლაშიც სოლიდარობდნენ. ივანე ჯავახიშვილი მისი ეროვნული ღვაწლისა და დიდი მეცნიერული ავტორიტეტის გამო, დამოუკიდებელი საქართველოს იუნკერთა სკოლაში საქართველოს ისტორიის კურსისი წაკითხვისათვის ჰყავდა მიწვეული ამ სკოლის იმდროინდელ უფროსსა და 1922-1923 წლებში „პარიტეტული კომიტეტის“ „სამხედრო ცენტის“ იმდროინდელ თავმჯდომარეს, 1923 წლის მაისში, „სამხედრო ცენტრისა“ და მის თანამგრობებთან ერთად დახვრეტილ გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს. იმუამად იქვე ექიმად მუშაობდა ედვ ცკ-ისა და 1924 წლის აჯანყების

ექსტრემისტი ორგანიზატორი, „პარიტეტული კომიტეტის“ წევრი, მიხეილ იშხნელი.

ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის მეთაურებიდან უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესურის“ წარმომადგენლები იყვნენ: ედპ ლიდერები – დიმიტრი ჯავახიშვილი, სერგი დანელია; მემარჯვენე ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერი და ამ პარტიიდან „პარიტეტული კომიტეტის“ ყოფილი წევრი – გრიგოლ რცხილაძე; კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე ბრძოლის მონაწილე, ედპ თბილისის კომიტეტის წევრი, ნიკო კეცხოველი⁴. უნივერსიტეტში მოღვაწეობდა მეფის რუსეთის დროინდელი გენერალი ანდრია ბენაშვილი, უნივერსიტეტის პრორექტორები იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრი შ.ნუცუბიძე, და ყოფილი დეკანოზი კორნელი კეკელიძე ეროვნული მთავრობის ყოფილი წევრი ფ.გოგიჩაიშვილი და ა.შ. ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ახალგაზრდულ ძალთა ძირითადი ხელმძღვანელობაც იმ უნივერსიტეტელებისაგან შედგებოდა, რომლებიც აღმერთებდნენ ივანე ჯავახიშვილის და მას მიიჩნევდნენ თავისუფალი საქართველოს სიმბოლურ პრეზიდენტად. როგორც ზემოთ ითქვა, უნივერსიტეტის პროფესურის ზოგი წარმომადგენელი (ი.ჯავახიშვილი, შ.ნუცუბიძე, ფ.გოგიჩაიშვილი და სხვ.), ეროვნული ხელისუფლების დროს მნიშვნელოვან სახელმწიფო და პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ, ანტისაბჭოთა აჯანყების ზოგ მომავალ ადგილობრივ ხელმძღვანელებთან თანამშრომლობდნენ კიდევც. და ბოშევიკური ხელისუფლების ნებას კიდევ უპირისპირდებოდნენ. მაშასადამე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორ-მასწავლებლობა და მათი მიმდევარი ანტისაბჭოთა სტუდენტობა, ხელისუფლების მიმართ ერთგვარ ოპოზიციურ მდგომარეობაში მყოფსა და მის წინააღმდეგ მებრძოლ ბასტიონს წარმოადგენდა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესურა“ „უმომენტოდ“ ორგანიზებულ, ნაჩქარევ აჯანყებას მხარს არ უჭერდნენ. აკადემიკოსების შალვა ნუცუბიძის და გიორგი ჩიტაიას მოგონებებიდან ცხადი ხდება, რომ მათ აჯანყებისა და მისი ხელმძღვანელი მონაწილეობის მიზანდასახულობათა შესახებ წინასწარ იცოდნენ. მაგრამ მემარჯვენე პროფესურის პოზიციის ერთგულები დარჩნენ და ამიტომ გააზრებულად უარყვეს მომავალ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ მის ორგანიზატორ-ხელმძღვანელ პირთა შემოთავაზებები.

აჯანყების მომდევნო ხანს, საზღვარგარეთ ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციიდან დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილის უახლოესი მესაიდუმლე და მეგობარი, სტუდენტობაში ანტიბოლშევიკური იდეების ერთ-ერთი დამნერგავი, პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი წერდა: „ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ, ჯავახიშვილმა მკვეთრი აღშფოთებით წამოიწყო

ლაპარაკი აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შესახებ და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობას ბრალი დასდო ქართველი ხალხის „საუკეთესო ნაწილის“ „დაუნდობელი“ მოსპობის გამო. ამასთანავე ჯავახიშვილი ამ გამოსვლის მსხვერპლს მიაწერდა ნოე რამიშვილს, მიმტკიცებდა, რომ უკანასკნელმა იჩქარა და საქართველოში შეიარაღებული აჯანყება ვადაზე ადრე წამოიწყო“⁵ (!!! – გ.ც.).

ზემოთ მოყვანილი გრიგოლ წერეთლის ინფორმაცია ემთხვევა ივანე ჯავახიშვილისა და მისი უახლოესი თანამოაზრეების მათ შორის, შალვა ნუცუბიძის მიერ ჩეკას ზედამხედველობის ქვეშ იძულებით დაწერილი „უნივერსიტეტის პროფესორთა“, საპროტესტო „დეკლარაციაში“ ჩადებულ გულისწყრომასა და შეფასებას. მართალია ჩეკას ზემოქმედებით დაწერილ ამ „დეკლარაციაში“ ჩანს, გამხეცებული ხელისუფლების მიმართ იძულებითი ქათინაურებიც და შესაბამისი რაკურსებიც, მაგრამ ამასთანავე კარგად ჩანს უნივერსიტეტის ეროვნულ-პატრიოტული პროფესურისათვის წარსული პოლიტიკური და თანამედროვე კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობის უაღრესად ახლობელი, აჯანყების გამო დაპატიმრებული ადგილობრივი ხელმძღვანელების დანდობის მისწრაფება. პატრიოტ პროფესორთა დეკლარაციაში მკაფიოდ არის ასახული საბჭოთა ხელისუფლებასთან ამ კომპრომისულად მებრძოლ მემარჯვენე პროფესორ-თანამშრომელთა მკაცრი პროტესტიც.

„დეკლარაციაში“ ნათქვამია: „ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის“. მასში აჯანყების ხელმძღვანელთა წამოწყება შეფასებულია, როგორც „უპასუხისმგებო ავანტიურა“, „დაკარგული ძალაუფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობის არდანდობა“, „ერის სახიფათო მდგომარეობაში ჩაყენება“ და სხვა⁶.

შალვა ნუცუბიძის ერთ-ერთ აღიარებაში, რომელიც ჩეკას ძიებამ 1930-იანი წლების რეპრესიების დროს გამოსძალა, ნათქვამია: „მემარჯვენე პროფესურის ანტისაბჭოთა გამოსვლაში მონაწილეობა არ მიგვიღია, მაგრამ მისი განადგურება განვიცადეთ, როგორც დიდი ეროვნული უბედურება, რომელიც მრავალი სიცოცხლის ფასი დაჯდა. ამიტომ თვით ავანტიურის ურწმუნოებისა და მის წინააღმდეგ ყოფნის დროს, მაინც ვთვლიდით, რომ გაღებულ მსხვერპლს რაიმე გამართლება უნდა ენახა და გვსურდა გვერწმუნა, რომ ასეთ გამართლებად შეიძლება გამხდარიყო თანაგრძნობა, რომელიც ჩვენი აზრით დასავლეთ ევროპაში საქართველოს შეეძლო გამოეწვია, და რომ იგი დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრში „ქართული საკითხის“ დაყენებას გამოიწვევდა“⁷.

შალვა ნუცუბიძემ მოსკოვის ჩეკას პატიმრობაში, 1939 წლის 27 თებერვლის ვრცლად გაშლილისა და შექმნილი გარემოების გამო ბერიას მიმართ დაწერილ, ჩემი აზრით სტალინისთვის გასაცნობად განკუთვნილ, თავის განცხადებაში მაქსიმალური გულრწფელობით დააფიქსირა:

„1924 წლის გაზაფხულზე ჩემთან ღამით გამოცხადდა სამი კაცი: ვას.მაჭავარიანი – გორის ფედერალისტების ყოფილი ხელმძღვანელი, (1924 წელს დახვრიტეს – გ.ც.) მეორეს გახსენება არ შემიძლია (უთუოდ იმიტომ, რომ იგი ამ დროს ცოცხალია – გ.ც.), ხოლო მესამე, გიგლა ჩიქოვანი (1924 წელს დახვრიტეს – გ.ც.), 1921 წელს ჩემთან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლობელი სტუდენტების წარმომადგენელი. მას უკვე დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი და ბათუმში მასწავლებლობდა (ზემოთ კი ნათქვამი აქვს, რომ სტუდენტობის ამ ნაწილს მასთან განსაკუთრებული სიახლოვე გააჩნდა, „აღმერთებდა ივ.ჯავახიშვილს, ყველა თავის სუფრაზე აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოს უნივერსიტეტის და „საქართველოს ფაქტობრივი პრეზიდენტის“ ივ.ა.ჯავახიშვილის სადღეგრძელოს წარმოთქმას, „დამოუკიდებლობის“ დღის მიმართ თავის გრძნობებს აფრქვევდა და მის სიმბოლოზირებას რექტორის, ივ.ა.ჯავახიშვილის პიროვნებაში ახდენდა“ - გ.ც.). მან (მ.ჩიქოვანმა – გ.ც.) მითხრა: „მართალია მე პრესაში განვაცხადე პოლიტიკური მუშაობისაგან განდგომა, მაგრამ ამას სერიოზულად არ ღებულობენ და იმედოვნებენ, რომ მე მონაწილეობას მივიღებ მოამბელი შეიარაღებული აჯანყების საკითხების განხილვაში“. მე ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ გამოვთქვი აზრი და მათ შევასხენე, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს ბოლშევიკურ წარმომადგენლობასთან შეიარაღებულ ბრძოლას ვთვლიდი საკუთარი ხალხის მიმართ ღალატად და უარი ვუთხარი მათ მსგავს წამოწყებაში მონაწილეობაზე. ისინი წავიდნენ, მაგრამ მე მაშინ მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის გარშემო ისეთი ატმოსფეროს შექმნის გამო, რომელმაც მათ უბიძგა და ის იმედი ჩაუნერგა, რომ ჩვენც მათთან ვართ, და რომ ჩიქოვანმა და მათმა მსგავსებმა სიკვდილი ჰპოვეს ამ გამოსვლაში, ჩვენც გვტანჯავს...“

ავისტოს მოვლენების დროს მე აბასთუმანში ვიმყოფებოდი. იქ ჩემთან ჩამოვიდა ესერი ივ.ლორთქიფანიძე (პიროვნება ამ დროს დახვრეტილია – გ.ც.) და შემომთავაზა გათვალისწინებული დიდი ამბების გამო დაუყოვნებლივ წავსულიყავი მასთან თბილისში. მე უარყავი, გავიმეორე შეიარაღებული აჯანყების საწინააღმდეგო ჩემი აზრები. ამით შეცბუნებულმა გამიმხილა, რომ პრინციპში თავადაც შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგია, მაგრამ ახლა უკვე მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია და მიუტევებელია რაიმე მონაწილეობის მიუღებლობა. ჩანდა, რომ იგი აჯანყებასთან

შეერთებასაც უფრთხოდა და მისგან ჩამოშორებაც არ უნდოდა. იგი წავიდა, მე კი თბილისში დავბრუნდი როცა ავანტიურა უკვე ლიკვიდირებული იყო“⁸.

შ.ნუცუბიძის გადმოცემით „...1924 წლის აჯანყების შემდგომ ჩვენს შორის არავის ეეჭვებოდა რომ ევროპა განიმსჭვალა „ქართული საკითხით“, რომ აგვისტოს ავანტიურა მართალია განადგურდა, მაგრამ თვით ფაქტს, ჩვენი ვარაუდით, ევროპაში გამოძახილი უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ ეს კარგად უნდა გამოგვერკვია, ასევე როგორც ამასთან დაკავშირებული პერსპექტივა. რადგან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შინაგანი ბრძოლის იდეა გაკოტრდა, მძიმე მარცხი განიცადა, საჭირო იყო გვეცოდნოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აზრით რა პერსპექტივები გააჩნდა“. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შ.ნუცუბიძეს მომდევნო ნაწერი, საიდანაც მკაფიო ირკვევა, რომ „ქართული საკითხისადმი“ ევროპის დამოკიდებულების შეცნობა წარმოადგენდა ივ.ჯავახიშვილისა და „მემარჯვენე პროფესურის“ დაუოკებელ ინტერესს. მათ აინტერესებდათ „რას ფიქრობდა ევროპა და რის იმედად შეიძლებოდა ყოფნა“. ამ კითხვაზე პასუხის იმედითაც გაამგზავრეს შ.ნუცუბიძე გერმანიაში 1925 წელს. მან ბერლინში, უნივერსიტეტის ყოფილ დოცენტ, დოქტორ მიხეილ ყაუხჩიშვილთან სტუმრობის დროს მრავალი ემიგრანტი ნახა, ზოგს ესაუბრა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის რაპალოს ხელშეკრულების (1922წ.) შემდეგ „გერმანია არ არის დაინტერესებული ე.წ. „ქართული საკითხით“. მდგომარეობა საფრანგეთშიც არ იყო კარგად“.

პროფესორი შალვა ნუცუბიძე მოგვითხრობს: 1931 წელს გერმანიაში მორიგი სამეცნიერო მივლინების დროს, თავის ძველ ნაცნობ-მეგობრებთან, მიხეილ წერეთელთან და მიხეილ ყაუხჩიშვილთან, აგრეთვე ლეო კერესელიძესთან საუბრის დროს გამოვლენილ საყურადღებო ეპიზოდს: მათ შორის შინაურული საუბარი შეხებია გერმანია-სსრ კავშირის მომავალი ომის შემთხვევაში ქართველი ხალხის სასურველი პოზიციის გააზრებას. იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გენერალსა და „თეთრი გიორგის საზოგადოების“ დამაარსებელს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების დროს, 1924 წლის აჯანყების ისტორიული მაგალითის გამო უთქვამს: „ახალ ვითარებაში საკითხი ისე არ დგას,, როგორც 1924 წელს. აჯანყება კვლავ ავანტიურა იქნება, ეს მენშევიკური უგუნურობაა და ამით საბოლოოდ დაკარგეს კრედიტი ქართველი ხალხის თვალში“¹⁰.

შ.ნუცუბიძის მიერ წარმოჩენილ ინფორმაციასთან მიმართებაში ყურადღებას იპყრობს 1930-იანი წლების დასაწყისში მავნებლობის ბრალდებით დაპატიმრებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორისა და სახელმწიფო საგემო კომიტეტის

მუშაკის ლ.გ.ასათიანის 1934 წლის 4 დეკემბრის დაკითხვის ოქმში დაფიქსირებული ჩვენების ერთ-ერთი ფრაგმენტი. იგი აღიარებს: „აჯანყება, როგორც ცნობილია ავანტიურაში გადაიზარდა და სახელმწიფოების არავითარი გამოსვლა არ ყოფილა. ამის შემდეგ, მალე, მე შევხვდი პროფესორ ნუცუბიძეს, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ვიცნობდი და პოლიტიკაზე ვესაუბრებოდი ხოლმე. მან მითხრა: „სრული სიცხადით გამოირკვა, როგორც ვამბობდი კიდევ, ევროპაზე ქიმურული იმედები“¹¹...

როგორც ცნობილია კონსტანტინე გამსახურდია წერს: 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა თანაგრძნობის გამო დახვრეტას იმით გადაურჩი, რომ ვიდრე ჩემი ჯერი დადგებოდა დახვრეტები შეწყდაო. იგი აჯანყების ოპტიმისტი ლიდერების ქიმურულ ვარაუდებს არ იაზრებდა და ჯერ კიდევ 1923 წელს ამბობდა: „დღეს ვის სცალია საქართველოსათვის ყველა ქვეყანას თავისი გაჭირვება აქვს. გერმანიაში რევოლუციაა, ინგლისში უმუშევრობა, საფრანგეთს თავისი დარდი აქვს“¹².

მაშასადამე ქართული უპარტიო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლობა იმთავითვე სწორად ჭვრეტდა აჯანყების მოსალოდნელ წარუმატებლობას და ამიტომაც გაერიდა მასში მონაწილეობას.

მიხეილ ჯავახიშვილი ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ ერთი დამაარსებელი, მისი ცკ-ის წევრი, არალეგალურ მოძრაობას ჩამოშორებულ ქართველ პატრიოტ მწერალთაგან ყველაზე ანტისაბჭოური სულისკვეთების შემოქმედი) 1924 წლის აჯანყების დროს ჩეკისტების მიერ დახოცილი მამულიშვილების თანაგრძნობის გამო უბის წიგნაკში აფიქსირებს: „ისე დავდივარ ჩემს დედაქალაქში, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ქვრივი“. შემდეგში კი, ხელისუფლების შესახებ ღვარღიან ჩანაწერებს შორის ამასაც წერს: „ნაკლია თუ სიკეთე ჩვენი ქედფიცხლობა? ნაკლია. რობაქიძეს და სხვებს (! – გ.ც.) კი რაინდობად მიაჩნიათ“¹³. მისი აზრით „თავდაპირველია ენერგიის მაქსიმალური გაშლა. ქართველებმა უამრავი ენერგია ჩამარხეს შავ მიწაში. ამის ნაცვლად იგი სავსებით რომ გაეშალნათ“. ამასთანავე მიხეილ ჯავახიშვილი შეგვახსენებს, რომ „ზოგჯერ ერი მთელი საუკუნე მუშაობს იმისათვის, რომ რამდენიმე რჩეული გამოსჭედოს“¹⁴. არადა, არაერთი რჩეული შეიწირა 1924 წლის აჯანყებამ.

„ქთბილისის ქართულმა სამღვდელოებამ, იქონია რა მსჯელობა საქართველოს სხვადასხვა კითხვებში ა.წ. აგვისტოს ბოლოს მომხდარი გამოსვლების შესახებ, იმავე წლის 25-26 ენკენიის თვეს, კრებაზედ გამოიტანა და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ქტივილისის ქართული სამღვდელთა როგორც... მატარებელი დიადი ქრისტიანული პრინციპისა... არც იდეურად, არც მოქმედებით არ იზიარებს ამ სისხლის მღვრელს და ძმათა გამთიშველ გამოსვლებს...“.

რეზოლუციას ხელს აწერს ქ.თბილისის 27 მღვდელმსახური. 28 ენკენისთვის „აქ მოყვანილ რეზოლუციას სავსებით იწონებს და ხელს აწერს „სრულად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დროებითი მოადგილე“, ანუ მოვალეობის შემსრულებელი, ეპისკოპოსი ქრისტეფორე ურბნელი“¹⁵.

მართალია ზემოთ მოხმობილი რეზოლუცია, ისე, როგორც უნივერსიტეტის პროფესორთა დეკლარაცია ხელისუფლების ზეწოლის ვითარებაში დაიწერა, მაგრამ მასშიც ჩადებულია აჯანყებით გამოწვეული უბედურებით განცდილი-უკმაყოფილება.

ახლა ჩვენს და ბერიას ყოფილ უახლოეს თანამშრომელ „კაკოს“, ანუ ბერიას და მისი დამქაშების განადგურების შემდეგ მოსკოვის მირქმის მონასტერში ბერად შემდგარ, ჩვენს ყოფილ გენერალ, მამა ალექსის მოსაზრებებს უნდა შევხვით. იგი თავის მოგონებაში, 1924 წლის 28 აგვისტოს წამოწვებულ აჯანყების უპერსპექტივობის, მომხდარ უბედურებათა და აჯანყების ხელმძღვანელთა ქმედების განცდის საფუძველზე წერს: „ჩემი აზრით, რადგანაც მე ჩემი განყოფილების მუშაკებთან ერთად მოწმე ვიყავი ყველა სამხედრო სტრატეგიული ნაბიჯისა, დამკომის თავმჯდომარის, კოტე ანდრონიკაშვილის მაგივრად აჯანყებას შევაჩერებდი 1924 წლის 18 აგვისტოს (ე.ი. აჯანყების თავდაპირველი გეგმის ჩაშლის შემდეგ – გ.ც.) და ამით თავიდან ავიცილებდი უაზრო სისხლისღვრას“¹⁶. აღნიშნულთან დაგკავშირებით უნდა ითქვას რომ 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყება, იმის მიუხედავად, რომ ყველა მხრიდან (როგორც სტალინისგან, ისე შეიარაღებული ოპოზიციისაგან) იყო პროვოცირებული, მისი შეჩერება შეუძლებელი არ იყო. როგორც ცნობილია სტალინმა, ბერიას უშუალო გამოყენებითა და მოწინააღმდეგე, ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ ძალთა პროვოცირებით, მიზნად დაისახა საკუთარ სამშობლოში არსებული, სოციალიზმის მისივე მოდელის მიმართ დაუმორჩილებელი „ნაციონალ უკლონისტებისა“ და „ტროცკისტების“, აგრეთვე, ყოფილი არალეგალური პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელ წარმომადგენელთა განადგურება. ეს პროცესი ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით გაშილილ ანტისტალინურ (ნაციონალ-უკლონისტურ, ტროცკისტულ, ანტიბოლშევიკურ და სხვ.) მოძრაობის დაძლევა-განადგურებასთან მჭიდრო კომბინაციის ტაქტიკით. ამიტომ აჯანყების 18 აგვისტოს შეჩერების შემდეგაც უთუოდ გვექნებოდა ანტისაბჭოთა და რეჟიმის მოწინააღმდეგე ხელმძღვანელთა რეპრესიები. მაგრამ ამ შემთხვევაში გადარჩებოდა არსებული რეალობით უკმაყოფილო ხალხი...

შედარებით უმტკივნეულო გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო პარტიის და ხელისუფლების მიერ სსრ კომფედერაციული კავშირის, კერძო საკუთრებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალური და თუნდაც მნიშვნელოვნად შეზღუდული სოციალური პრივილეგიებისა თუ ურთიერთობათა გათვალისწინება. მაგრამ ეს იქნებოდა დემოკრატიული და არა საბჭოთა-ბოლშევიკური, ლენინურ-სტალინური ტოტალიტარული სოციალიზმი. იგი ეკუთვნის პროგნოზის და თეორიული ვარაუდის განუხორციელებელ სფეროს, ჩვენი მიზანი კი იყო, რომ გაგვეშუქებინა საქართველოსთვის სტალინური ტოტალიტარიზმის რეჟიმის გაუთვალისწინებლობით გამოწვეული ტრაგედიის სწორი შეფასება.

და ბოლოს, პოლიტიკური დიდაქტიზმის ინტერესებით საჭიროდ მესახება დავუბრუნდე ისევ ანტიბოლშევიკური ტაქტიკითა და სტრატეგიით გრანდიოზული ეროვნული პრობლემების მოგვარების მიზანდასახულობების შეფასებას. როგორც ცნობილია, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის შეიარაღებული აჯანყების ორგანიზების საკითხი ჯერ კიდევ ემიგრანტული ცენტრის მისიონერის ნ.ხომერიკის მეთაურობით წამოიჭრა (1923წ.). ირკვევა, რომ საქართველოს დამკომის ახალმა შემადგენლობამ ამ იდეის ხორცშესხმას დიდი ძალისხმევა მოახმარა და უკვე 1924 წლის აგვისტოსთვის პრაქტიკულ-ორგანიზაციული მზადყოფნის საკითხიც მოგვარდა და აჯანყების თარიღიც განისაზღვრა. სწორედ ამ დროს (04/VI-1924წ.). აჯანყების ბელადებმა მიიღეს თავიანთი პატრიარქის, ნ.ჟორდანიას ე.წ. საღირეპტივო წერილი, რომელშიც მითითებულია: თუ მოხდა, „რუსეთის საგარეო ავანტიურაში ჩართვა ჩვენ მოგვცემს საშუალებას განთავისუფლებისას“... გზა მეორე: ...მდგომარეობს საქართველოს განთავისუფლებაში დამოუკიდებლად რუსეთის კრიზისისა. ეს რასაკვირველია, არ შეიძლება განხორციელდეს მარტო საქართველოს შეიარაღებული ბრძოლით. ეს იქნება დაშნაკური ავანტიურა და დამთავრდება ჩვენი განადგურებით”¹⁷ როგორც ისტორიის მწარე გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ქართული მენშევიზმის ბელადის, ნ.ჟორდანიას ეს ჩაგონება არც ავტორმა დაიჩემა და აღარც დამკომის წევრებმა გაითვალისწინეს. ამიტომაც მოხდა, რომ ბელადების ექსტრემიზმმა და ავანტიურამ ქართველ ერს დიდი უბედურება დაატეხა და მისი ენერჯია მნიშვნელოვნად შეიწირა.

* * *

როგორც ვნახეთ, მოხმობილ პატრიოტ ავტორთა შეფასებების მიხედვით უმრავლესობა ერთხმად აღიარებს 1924 წლის აჯანყების ეროვნულ ღირსებას. მიაჩნიათ რომ აჯანყების დროს ქართველმა ხალხმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ გმირულ ბრძოლაში ის უადრესად დიდი მსხვერპლი გაიღო, რომელიც გადამწყვეტი აზრით მოემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის იდეას. მაგრამ ამასთანავე, მძლავრობს „ჭკვიანი ქართველების“ ის აზრი, რომლის მიხედვით, აჯანყება რეალური სიტუაციის და შედეგების გამო გაუმართლებლად და შეცდომად ფასდება. მაშასადამე ქართული ანტისაბჭოთა ბრძოლის თვალსაჩინო ემიგრანტი და შინა ინტელექტუალების დიდი უმრავლესობა აღიარებს, რომ სამშობლოს განთავისუფლების მიზნით 1924 წლის აჯანყების შედეგად დაღვრილი სისხლის და საერთო ეროვნული უბედურების გამო ხელმძღვანელთა გამართლება არ შეიძლება. აჯანყების უზენაეს ხელმძღვანელთა მხრივ აჯანყების ორგანიზების უდროოდ შერჩეული მომენტის და გათვლების გამო, იგი ერის წინაშე აჯანყების ორგანიზატორთა მიერ დაშვებულ მიუტევებელ შეცდომად და დანაშაულად ფასდება. ბევრი პატრიოტის მიერ კი, მოურიდებლად გამოითქვა სავსებით დამაჯერებელი აზრი, რომლის მიხედვით ხელმძღვანელთა მიერ „უმომენტოდ“ წამოწყებული მოსამზადებელი მუშაობა და უდროოდ მოწყობილი, დამარცხებისა და დიდი უბედურებისათვის წინასწარ განწირული ამ აჯანყების ხელმძღვანელთა ქმედება ფასდება, როგორც ავანტიურა. ეს შეხედულებები, ჩემი აზრით, საჭიროა გავიგოთ, როგორც საქართველოს 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ მოწყობილი გრანდიოზული პატრიოტული აქტის გამო მათი საქმიანობის გაგება-შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი. მაშასადამე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელობა მათ მიერ მოწყობილი აჯანყებისა და მისი შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს, როგორც გმირული თავგანწირვით გამორჩეული ექსტრემისტების ავანტიურა. ეს აზრი სათანადო ისტორიის წყაროების იღუმალი და სხვისთვის შეუძინეველი აზრის შემეცნების გამო თანამედროვე ისტორიკოს სპეციალისტებისგან ერთად-ერთმა, თეზისის სახით გამოვთქვი ჯერ კიდევ 1990 წლის მარტ-აპრილის პუბლიკაციებში და დღესაც ამ აზრის სისწორეს ვიცავ... მე 1989 წლიდან მოყოლებული ჩემი სარქივო წყაროებზე დაფუძნებული პუბლიკაციებით და მათგან დამოუკიდებლად, ფაქტობრივად ყოველთვის, სწორედ იმ „ჭკვიანი ქართველების“ პოზიციაზე ვდგავარ, რომელთაც აჯანყება მისი ბელადების შეცდომად მიაჩნიათ. მე მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ 1924 წლის აჯანყებას მისი მონაწილეების მასობრივი გმირული

თავდადების გამოვლინების მიუხედავად, ხელმძღვანელ ორგანიზატორთა მიერ მომენტის მცდარი შერჩევის, ხელისუფლების შემხვედრი რეაგირების შეუცნობლობის, სათანადო წინდაუხედავობისა და მისი ლოგიკური გამაუბედურებელი შედეგების გამო, გამართლება არ ეძებნება. ჩემი ეს სათანადო ისტორიის მყარ ბალავარზე დაფუძნებული დასკვნა გაგებულ უნდა იქნას არა საინტრიგანოდ, არამედ ისტორიის მწარე გამოცდილების გამაფრთხილებელ გამოცდილებად.

§ ბოლოთქმა

როგორც ჩემს მიერ მობილიზებული წყაროები მოწმობენ:

1. კომუნისტური პარტიის ბელადები და საქართველოს კომპარტიის ლიდერების (სტალინი, ტროცკი, ზინოვიევი, ბუხასინი, ორჯონიკიძე, ლომინაძე, კახიანი და სხვ.) 1924 წლის აჯანყების ისტორიას და შედეგებს თავისებურად წარმოაჩენენ. ისინი აჯანყების შედეგად გამოწვეულ მსხვერპლს მოზნობრივად აკნინებენ და ამასთანავე აჯანყების გამო, დაღვრილ სისხლს მთლიანად ანტისაბჭოთა აჯანყების ხელმძღვანელობას და მონაწილეებს აბრალებენ. ისინი თავიანთ ინტერესებს, მოწინააღმდეგე ძალთა დროული განადგურების მისწრაფებასა და მისი რეალიზაციისთვის გაწეულ მუშაობას გულმოდგინედ მალავენ. ხელისუფლების წარმომადგენლები აჯანყების ხელმძღვანელებს უმთავრესად საერთაშორისო ანტისაბჭოთა ძალების მიერ წაქეზებულებად აღნაშაულებენ. ისინი 1924 წლის აჯანყების ისტორიას ისე წარმოაჩენენ, თითქოს მისი შინაგანი გამომწვევი მიზეზები უმნიშვნელო იყო და ამდენად საბჭოთა ხელისუფლება და მისი ძალისმიერი ორგანოები იძულებული გახდნენ პროლეტარიატისა და სოციალიზმის ინტერესები მაქსიმალურად შეზღუდული მსხვერპლით დაეცვათ.

2. ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ბრძოლის ლიდერების, ანუ ემიგრანტული და საქართველოს ხელმძღვანელი „ორგანოების“ ლიდერების (ნ.ჟორდანიას, ნ.რამიშვილის, კ.ანდრონიკაშვილის, ი.ჯავახიშვილის, შ.ამირეჯიბის და სხვ.) აზრი 1924 წლის აჯანყების მიზეზებისა და შედეგების შეფასების საკითხში, ძირითადად ორი, ურთიერთგამომრიცხავი სახით ჩამოყალიბდა:

I. აჯანყების ხელმძღვანელ-ორგანიზატორთა (ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, კ.ანდრონიკაშვილი, ი.ჯავახიშვილი და სხვ.) აზრით აჯანყება გამოიწვია საბჭოთა-ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ შექმნილმა ანტიეროვნულმა რეალობამ და მისით ქართველი ხალხის უკმაყოფილებამ. მათი აზრით ბოლშევიკურ-იმპერიული პოლიტიკის მიმართ, აჯანყების მონაწილეთა მასობრიობამ და მათ თავგანწირვამ დაამტკიცა ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის მიმართ ქართველი ხალხის შეურიგებლობა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედების მართებულობა, ხოლო მისი შეფასების საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს ისტორია. მათი აზრით აჯანყებით გამოწვეული დიდი მსხვერპლის უმთავრესი მიზეზი იყო ხელისუფლებისა და მისი ძალისმიერი ორგანოების (ჩეკა, ჯარ და სხვ.) სისატიკე

ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი ხალხის მიმართ. ამავე დროს, ისინი მიიჩნევდნენ, რომ 1924 წლის აჯანყებამ ცხადყო ქართველი ხალხის შინაგანი განწყობილება და შეურიგებლობა ბოლშევიზმის ძალმომრეობითი რეჟიმის მიმართ და ასაზრდოვა ისტორიული გამოცდილება, რომელიც ქმნის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გარანტიას.

